ლელო
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
6 ივლისი სამშაბათი 2010
№ 156 (13 144) ფასი 60 თეთრი

1/2 ფინალი
6 ივლისი, სამშაბათი. 22:30
ურუგვაი–ჰოლანდია
კეიპტაუნი

7 ივლისი, ოთხშაბათი. 22:30
გერმანია–ესპანეთი
დურბანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფინალის გზა



## რატომ გაუღიმეს ფეხბურთის ღმერთებმა ესპანეთს?

» გვერდი 2




» გვერდი 4



## ყველა დროის საუკეთესო ბუნდესგუნდი?

» გვერდი 3

## პროფლიგამ კალენდარს ბოლო უყარა

ოლიმპი-ვიტ ჯორჯია პირველივე ტურში

» გვერდი 8



# აბა, ჰე, წავედი...

## დიეგოს პარაგვაის აწ უკვე ყოფილი მწვრთნელი შეცვლისო...

**დიეგო მარადონამ** ერთ-ერთ არგენტინულ ტელეარხს უთხრა, რომ ეროვნული ნაკრებისთვის მეტი არაფრის გაკეთება შეუძლია და გადადგომის შესახებ ოფიციალურ განცხადებას მალე გააკეთებს.

*„ჩემი დრო წასულია, გუნდისთვის თავი არ დამიზოგავს და რაც შემეძლო, ყველაფერი გავაკეთე“*, - განაცხადა მარადონამ, რომელსაც მუნდიალის შესარჩევი ტურნირისას ბევრს აკრიტიკებდნენ, თუმცა ფინალური ეტაპის რამდენიმე წარმატებულმა და სანახაობრივმა მატჩმა, ვიდრე გერმანული კოშმარი დადგებოდა, მთელი არგენტინა ოპტიმიზმით აღავსო...

მარადონამ დასძინა, რომ ნაკრებიდან წასვლის შემდეგ ოჯახთან ყოფნით დატკბება. ხოლო რაც შეეხება მის სავარაუდო შემცვლელს, უკვე ლაპარაკობენ იმაზე, რომ „ალბისელესტეს“ პარაგვაიდან წასული **ხერარდო მარტინო** ჩაიბარებს. ვნახოთ...

**ლევან ჯანეზაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანეთი

# რატომ გაუღიმეს ფეხბურთის ღმერთებმა ესპანეთს?

## ფურია როხას ლორენტე სჭირდება



მიუხედავად იმისა, რომ „ფურია როხამ" მეოთხედფინალში პარაგვაის ნაკრების წინააღმდეგ კარგად ვერ ითამაშა, ესპანური მედია **ვისენტე დელ ბოსკეს** გუნდს მაინც დადებითად გამოეხმაურა. მთავარი მაინც შედეგია და ეს შედეგი საესპანეთო იყო, თანაც როგორ! - გუნდი ისტორიაში პირველად გავიდა მუნდიალის ნახევარფინალში. ესპანურმა მედიამ **დავიდ ვილია** და **იკერ კასილიასი** ლამის ეროვნულ გმირებად მონათლა, დააფასეს **ანდრეს ინიესტას** კარგი თამაშიც. პირველმა მუნდიალზე მე-5 გოლი გაიტანა, რომელიც ერთადერთი აღმოჩნდა ამ მატჩში, მეორემ კი პენალტი და **სანტა კრუსის** ახლო მანძილიდან დარტყმული მოიგერია. ესპანური გაზეთები სხვადასხვა სათაურით გამოვიდა, რომელშიც ყველაზე მეტად სჭარბობდა სიტყვები „ოქროს ასოები". ისე, ყველაზე მოხდენილი სათაური ესპანელთა წარმატებას „ნიუ იორკ თაიმსმა" უძღვნა - *„ფეხბურთის ღმერთებმა ერთხელ ესპანეთსაც გაუღიმეს"*...

ესპანეთის ნაკრების ყველაზე დიდი მიღწევა 1950 წლის მუნდიალზე დაკავებული მე-4 ადგილია, დელ ბოსკეს გუნდს უკვე „ჯიბეში აქვს" აღნიშნული წარმატების გამეორება, თუმცა ამაზე არც არავინ ფიქრობს - „ფურია როხას" მეტი სურს. 1950 წელს მუნდიალზე ფინალური ჯგუფური ეტაპი იყო, რომელშიც ოთხი გუნდი მონაწილეობდა, ესპანეთის ნაკრებმა იქ ბოლო ადგილი დაიკავა. ბოლო წლებში ესპანეთის ნაკრებს მუდამ ძალიან ცოტა აკლდებოდა წარმატების მიღწევამდე, ხშირად ეს სწორედ იღბალი იყო. 1994 წელს ბოსტონში იტალიასთან მეოთხედფინალურ მატჩში „ფურია როხა" დრამატულად დაემშვიდობა ჩემპიონატს, 1:1-ზე ესპანეთის ნაკრების უპირატესობა აშკარა იყო, **ხულიო სალინასმა ჯანლუკა პალიუკასთან** პირისპირ გასვლა ვერ გამოიყენა, ბოლოსკენ კი **რობერტო ბაჯომ** კლასიკური კონტრშეტევით დასაჯა ესპანეთის ნაკრები. მატჩის დასრულებამდე ორიოდე წუთით ადრე **მარიო ტასოტიმ** იდაყვით ცხვირი გაუხეთქა **ლუის ენრიკეს**, თუმცა მსაჯებმა ეპიზოდი „ვერ დაინახეს" (შემდეგ ტასოტის 8-მატჩიანი დისკვალიფიკაცია მისცეს). 1998 წელს ნანტში ესპანელებს სულაც ტრაგედია მოუვიდათ, ნიგერიის ნაკრებმა ჯგუფში ჩატოვა. გუნდის გულშემატკივრები ახლაც დანანებით იხსენიებენ 2002 წლის მუნდიალს, როცა „ფურია როხა" აშკარად დაჩაგრეს მასპინძელი სამხრეთ კორეის ნაკრების წინააღმდეგ მეოთხედფინალში. ამიტომაც სულაც არ არის გასაკვირი, რომ „ცუდი თამაშითაც" გადალახული „დაწყევლილი" მეოთხედფინალი ესპანელთათვის საკმარისი მიზეზია, არ იფიქრონ ფეხბურთელებისა და გუნდის თამაშის კრიტიკაზე. „ცუდი თამაში" ვთქვით და მეორე ტაიმში იყო ეპიზოდი, როცა „ფურია როხამ" ზედიზეც 19 ზუსტი პასი გააკეთა (უმთავრესად მეტოქის ნახევარზე), რომელ სხვა გუნდს შეუძლია კიდევ მსგავსი?

და მაინც, რატომ მოიგო ესპანეთის ნაკრებმა თამაში, იღბლის გარდა რამ განაპირობა ეს? უპირველესად იმან, რომ პარაგვაის ნაკრებს არ ჰქონდა არავითარი გეგმა, თუ როგორ დაემარცხებინა „ფურია როხა". მათ იცოდნენ, რომ შეტევით ვერას გახდებოდნენ ესპანეთის ნაკრებთან (სხვათა შორის, პარაგვაელები იაპონიასაც კი დაცვიდან ეთამაშნენ). პარაგვაიმ მტკიცე რკალი შემოავლო საკუთარ საჯარიმოს, პრესინგში ამყოფა ესპანეთის ნაკრების ნახევარმცველები, მაგრამ თავად მხოლოდ იშვიათად უტევდა. ასეთ შემთხვევაში კი შეიძლება ერთი ან ორი შანსი მოგეცეს, **კარდოსომ** და სანტა კრუსმა კი ეს თითქმის ასპროცენტიანი შანსები ვერ გამოიყენეს.

**ხერარდო მარტინოს** გუნდი ყოველთვის დაამახსოვრდება კარგად ორგანიზებული დაცვით. ნაკრებმა სულ ორი გოლი გაუშვა ტურნირში.

„მარკამ" ესპანელ ფეხბურთელთა თამაში პარაგვაელთა წინააღმდეგ 10-ბალიანი სისტემით შეაფასა. გთავაზობთ ამ შეფასებებს კომენტარებითურთ.

**კასილიასი** (9): შეიძლება მის თამაშს არ ეწოდებოდეს ბრწყინვალე, მაგრამ იკერმა ორჯერ აშკარა გოლისგან იხსნა ესპანეთის ნაკრები, პირველად კარდოსოს პენალტი აილო, ბოლოს კი სანტა კრუსის დარტყმული 10 მეტრიდან ფეხით მოიგერია.

**სერხიო რამოსი** (8): მან ჩვეულ სტილში ითამაშა, შეტევებში ჩართვებით. თამაში თავშეხვეულმა დაასრულა.

**პიკე** (8): პიკეს ბრწყინვალე ტურნირი აქვს და მისი ღვაწლი წარმატებაში დიდია, მაგრამ ვერ აგვიხსნია ის აბსურდული სიტუაცია, როცა პიკემ პენალტი „აიკიდა". მანამდეც და მერეც პიკე შეუდარებელი იყო.

**პუიოლი** (6): იშვიათად ყოფილა ასეთი ცუდი თამაში პუიოლის შესრულებით.

**კაპდევილა** (7): ტურნირის განმავლობაში კაპდევილა სულ უფრო უმატებს, კარგად ერთვება შეტევებში და არც დაცვას ტოვებს უყურადღებოდ. თითქოს, დაღლილობა არ ეკარება.

**ბუსკეტსი** (7): ნაკრებმა საშუალოზე ოდნავ ცუდად ითამაშა, თუმცა ბუსკეტსმა შეძლო მეტოქეების შეტევების ჩაშლა, შეტევებში ვერ იაქტიურა.

**ჩაბი ალონსო** (6): პარაგვაელთა მცველთა სიფხიზლის ერთ-ერთი მსხვერპლია, სათანადოდ ველარ გაილაღა, პლუს ვერ გაიტანა მნიშვნელოვანი პენალტი.

**ჩავი** (7): იმედია, ჩვენ კიდევ ვიხილავთ უკეთეს ჩავის. ის ნელ-ნელა შედის ფორმაში.

**ინიესტა** (9): ვილიას გოლის დროს ნამდვილი სლალომი მოაწყო პარაგვაელთა კართან. დიდებულად ითამაშა მეორე ტაიმში.

**ვილია** (8): თავიდან ერთი ორჯერ ეგოისტურად ითამაშა, მაგრამ გამარჯვების გოლით გამოასწორა თავისი შეცდომა.

**ტორესი** (4): ტურნირზე გამოდის ტრავმის შემდეგ, ვერადა ვერ შევიდა ფორმაში, დელ ბოსკე კი მაინც ენდობა.

**ფაბრეგასი** (7): იშვიათად უწევს თამაში, არადა სხვა ნაკრებში სასტარტოში იქნებოდა. საკმაოდ აგრესიულად ჩაერთო თამაშში და როცა 1:0 გახდა მეტოქის შეტევების ჩაშლაზე გადავიდა.

**პედრო** (6): შესანიშნავი მომენტი შეექმნა, მაგრამ ძელს გაარტყა ბურთი.

**მარჩენა** (შეფასების გარეშე).

დაბოლოს, მატჩის სტატისტიკის თვალიერებისას ერთ დეტალს მივაქციე ყურადღება - ესპანელებმა 90 წუთის განმავლობაში 19-ჯერ ჩააწოდეს საჯარიმოში და მხოლოდ ერთხელ მიუვიდა ბურთი ჩაწოდების შემდეგ ესპანელ ფეხბურთელს (**კაპდევილას ჩაწოდება**). სხვა მხრივ ტყუილად დაიხარჯა **ჩავის** 5 ჩაწოდება, **ინიესტას** და **კაპდევილას** 3-3, **რამოსისა** და **ვილიას** 2-2 და ასე შემდეგ. რაშია საქმე? თუ გავიხსენებთ, ყველაზე მეტად ინერტულად **ფერნანდო ტორესი** ამ ეპიზოდებში ირჯებოდა, თითქოს ცენტრალურ მცველებთან უკეთესი პოზიციისთვის „ჭიდაობის" თავი არ ჰქონდა. სხვა ვის უნდა მიეღო ბურთი, ჩავის? რომელიც ტანდაბალია და ხშირად თავად აწოდებდა? ამიტომაც კიდევ უფრო გვჯერა, რომ **ფერნანდო ლორენტეს** იგნორირება დიდი შეცდომაა.

## ფერნანდო ტორესი

# მთავარია, მოვიგოთ და ვინ გაიტანს, რა მნიშვნელობა აქვს?!

**ფერნანდო ტორესი მიიჩნევს, რომ გერმანიის ნაკრებთან ნახევარფინალური მატჩი მისი გუნდისთვის ფინალის ტოლფასია. ფიფას ოფიციალურ საიტს მან განუცხადა, რომ დიდი იმედით ელის ევრო 2008-ის ფინალის გამეორებას. შეგახსენებთ, რომ „ელ ნინიომ" იმ მატჩის ერთდაერთი გოლი გაიტანა და „ლა როხას" ბოლო 44 წლის განმავლობაში პირველი ტიტული მოუპოვა.**

- ძალიან ამაყი ვარ, ეს ხომ პირველი ნახევარფინალია ჩემი ქვეყნისთვის. მოკლედ, ჩვენმა გუნდმა კვლავ დაწერა ესპანური ფეხბურთის ისტორიის ახალი ფურცელი. იმედი მაქვს, რომ უკეთესი კიდევ წინ გვაქვს. ჩვენ შეგვიძლია მოვუმატოთ და უკეთ ვითამაშოთ, ამის რესურსი ნამდვილად გვაქვს.

**- რას იტყვით მომავალ მატჩზე?**

- დიდებული მატჩი გველის გერმანიის წინააღმდეგ. ეს იქნება ფინალი. ჩვენ კარგად ვიცნობთ მეტოქეს. ჩვენი ნაკრები ძალიან შემტევია, მეტოქე კი ამ ტურნირზე ყველაზე კარგად მოთამაშე გუნდი.

**- გერმანიის ნაკრებიც შესანიშნავად უტევს...**

- მათ 4-4 გოლი გაიტანეს მერვედფინალში და მეოთხედფინალში, მათი შეტევები ძალზე საშიშია. მაგრამ ჩვენ გოლის გატანის ჩვენი შანსები გვექნება. გერმანიის ნაკრები შეეცდება შეგვიტიოს, გაიტანოს და მოიგოს, ამიტომაც ჩვენ უფრო მეტი სივრცე გვექნება და შეიძლება „ავფეთქდეთ".

**- თქვენ ჯერ კიდევ არ გაგიტანიათ გოლი, დავიდ ვილიამ კი უკვე ხუთჯერ გაიტანა...**

- ჩემთვის მთავარია, ესპანეთის ნაკრებმა გაიაროს გერმანული ბარიერი და თუ ასე მოხდა, მაგრამ გოლს ვერ გავიტან, ამაზე არ ვინაღვლებ. არ აქვს მნიშვნელობა, ვის გააქვს გოლი. კარგი იქნება, თუ შანსი მომეცემა და მას გამოვიყენებ. დავიდი ძალიან მნიშვნელოვანი ფიგურაა ესპანეთის ნაკრებისათვის, უმთავრესი ფეხბურთელი. მას გააქვს მნიშვნელოვანი გოლები, რაც იმედს გვაძლევს, რომ მსოფლიოს ჩემპიონები გავხდებით.

**- რჩებით თუ არა „ლივერპულში"?**

- ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა ახლა მუნდიალია, კიდევ ერთი კვირა სხვა რამეზე უბრალოდ ვერ ვიფიქრებ. დარწმუნებული ვარ, რომ მალე შევხვდები როი ჰოჯსონს და ბევრი რამ ამ შეხვედრაზე გაირკვევა.


ფერნანდო ტორესი

## ჟერარდ პიკე:

# ეს სულ სხვა თამაში იქნება

მას „პიკენბაუერს" ეძახიან, რითაც ლეგენდარულ გერმანელ მცველ **ფრანც ბეკენბაუერთან** საფეხბურთო სტილში მსგავსებას უსვამენ ხაზს. 23 წლის **ჟერარდ პიკემ** მართლაც დაიმსახურა ეს წოდება, კარგი თამაშით და უამრავი ტიტულით, მიუხედავად ახალგაზრდული ასაკისა.

*„პარაგვაის ნაკრებმა ძალიან გაგვიძნელა მიზნის მიღწევა. მათ მჭიდროდ ითამაშეს დაცვაში და თავის გამოჩენის შანსებიც ჰქონდათ, პენალტიც კი. მაგრამ პენალტის შემდეგ, ჩემი აზრით, ჩვენ ვაკონტროლებდით თამაშს. შევქმენით გოლის გატანის შესაძლებლობები და, მიუხედავად იმისა, რომ პენალტი ჩვენც ვერ გავიტანეთ, საბოლოოდ გამარჯვების გოლის გატანა მაინც შევძელით"*, - ამბობს „ბარსელონას" მცველი.

ჟერარდ პიკემ ხოტბა შეასხა **იკერ კასილიასს**, გუნდის კაპიტანს: *„ის ბრწყინვალე იყო ამ მატჩში. საუკეთესო ფეხბურთელი. იკერმა ჯერ პენალტი აილო, ბოლოს კი ორი ძალიან რთული დარტყმა მოიგერია. დიდი პატივია, როცა გუნდში ასეთი მეკარე გყავს. მას შეუძლია გამოუვალ მდგომარეობაშიც კი გადაარჩინოს გუნდი"*.

„ლა როხას" მცველი უკვე მომავალ მეტოქეზე ფიქრობს: *„გერმანიის ნაკრები დიდებული გუნდია, ბრწყინვალე ფეხბურთელებით. ძალიან სერიოზული დაპირისპირება გველის. მეტოქე სასწაულ ფორმაშია და ინგლისისა და არგენტინის განადგურების შემდეგ - ბრწყინვალე განწყობაზე. მაგრამ ჩვენც კარგად ვთამაშობთ, ბოლო ორ მატჩში დაცვაში უკეთ ვითამაშეთ და გოლი არ გავუშვით"*.

პიკე ევრო 2008-ის ფინალთან განსხვავებასაც იოლად პოულობს: *„ორივე გუნდში ბევრი ისეთი ფეხბურთელია, რომელსაც არ უთამაშია იმ ფინალში, თუნდაც მე. ასე რომ, ეს რემატჩი კი არა სულ სხვა შეხვედრა იქნება. ყველაფერს გავილებთ, რომ გამარჯვებული ისევ ესპანეთი გამოვიდეს"*, - ამბობს პიკე.


ჟერარდ პიკე

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

ლელო
დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).
მედია პალიტრის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ყველა დროის საუკეთესო ბუნდესგუნდი?

## მეოთხე ტიტული ძალიან ახლოსაა. გახდება გერმანია მსოფლიოს ჩემპიონი?

**საუკეთესო ბუნდესგუნდებს ყოველთვის ჰქონდათ და ჰყავდათ სავიზიტო ბარათები. გერმანიის დღევანდელი ნაკრებისგან კი კონკრეტულს ვერავის გამოვყოფთ. ამ ბუნდესნაკრების წარმატებას ერთი ან ორი კი არა, ძალიან ბევრი მიზეზი აქვს. თანაც, ეს მიზეზები მუნდიალის დაწყებამდე საერთოდ არ ჩანდა. ექსპერტები უკვე ალაპარაკდნენ ყველა დროის საუკეთესო ბუნდესნაკრებზე. არის თუ არა იოახიმ ლიოვის გუნდი უფრო უკეთესი, ვიდრე ბეკენბაუერისა და კომპანიის ბუნდესნაკრები იყო 70-იანებში?**


აი, ასეთი განწყობაა ახლა გერმანიის ნაკრებში: ცენტრალური მცველი პერ მერტეზაკერი და მეკარე მანუელ ნოიერი არგენტინის ნაკრების დამარცხებას და ნახევარფინალში გასვლას ზეიმობენ

საკმარისია, გერმანიის დღევანდელ ნაკრებზე ფიქრი დავიწყოთ, რომ მაშინვე გაურკვევლობაში აღმოვჩნდებით, ან, მინიმუმ, დავიბნევით. გერმანიის ყველა დროის საუკეთესო ნაკრებად 70-იანი წლების დასაწყისის ბუნდესგუნდია აღიარებული, რომელმაც პირველად 1972 წელს გაიმარჯვა. მაშინ, ევროპის ჩემპიონებისგან საუკუნის გუნდი ჩამოყალიბდა, რომელიც ორი წლის შემდეგ, მსოფლიოს ჩემპიონიც გახდა. ამრიგად, 1972 წელი გერმანიისთვის მაგიური წელიწადი იყო. **ზეპ მაიერი, ფრანც ბეკენბაუერი, პაულ ბრაიტნერი, ვოლფგანგ ოვერატი, გიუნტერ ნეტცერი, გერდ მიულერი** - ყველა დროის ყველაზე ლამაზ და წარმატებულ ფეხბურთს ამ ფეხბურთელებისგან შემდგარი ბუნდესგუნდი თამაშობდა. მას მერე, გერმანიას ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატები ზედიზედ აღარც მოუგია.

დღევანდელ გერმანიას ნამდვილად აქვს იმის შანსი, რომ 70-იანი წლების გმირების გზა გაიმეოროს და ბევრის აზრით, ეს უკვე ყველა დროის საუკეთესო გერმანიაა. პირდაპირ ვთქვათ, გერმანიის ნაკრები მთელ მსოფლიოს ასე ძალიან არასდროს უქია. მოკლედ, დისკუსია დაწყებულია და მინიმუმ ესპანეთთან ნახევარფინალურ მატჩამდე აღარც შეწყდება. ამასთან, დღევანდელი ბუნდესგუნდი არა მარტო 70-იანი წლების პირველი ნახევრის გერმანიას, არამედ 1990 წლისა (მსოფლიოს ჩემპიონები) და 1996 (ევროპის ჩემპიონები) წლის ბუნდესნაკრებებსაც უნდა შევადაროთ.

ბეკენბაუერის დროინდელი გერმანია არსებობის ისტორიაში ყველაზე უკეთეს ფეხბურთს თამაშობდა (თუ არ ჩავთვლით დღევანდელ ნაკრებს); 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონი გუნდი, რომელიც **ლოთარ მათეუსის** გარშემო იყო აწყობილი, უაღრესად დინამიკური იყო; **ბერტი ფოგტსის** ფორმაციის გერმანია, რომელიც 1996 წელს ევროპის ჩემპიონი გახდა, უდიდესი მონდომებითა და მიზანსწრაფულობით გამოირჩეოდა. **იოახიმ ლიოვის** გერმანიას კი ყველაფერი აქვს, ყველაფერი ერთად!

## ახალი სისტემა, ახალი ტაქტიკა

დღევანდელი ბუნდესგუნდი უაღრესად შემტევ ფეხბურთს თამაშობს. ლიოვის გუნდის უპირველესი ამოცანა შეტევაა, ოღონდ, არა დაცვითი სამუშაოების დავიწყების ხარჯზე. ლიოვმა ევროპის ჩემპიონატის შემდეგ, ანუ, ბოლო ორ წელიწადში, ფეხბურთელების ისეთი შემადგენლობა შეარჩია, რომელთა უმრავლესობას საუკეთესო სეზონი ნამდვილად არ ჩაუტარებია, სამაგიეროდ, თითოეული მათგანი იდეალურად ჯდება ბუნდესმწვრთნელის კონცეფციაში. ეს ფეხბურთელები ქმნიან კოლექტივს, რომლისთვისაც გადაულახავი ზღუდე ჯერჯერობით არ არსებობს. ამისათვის მუნდიალამდე ლიოვს მაგრად აკრიტიკებდნენ, მაგრამ მას მერე, რაც ბუნდესგუნდმა ჯგუფური ეტაპი გადალახა, ყველა კრიტიკოსი დადუმდა. ხოლო ინგლისისა და არგენტინის განადგურების შემდეგ კი, ყველა კრიტიკოსი იძულებული გახდა, ლიოვი და მისი კონცეფცია ქებით ცამდე აეყვანა.

ორი წლის წინ, ევროპის ჩემპიონატზე ბუნდესგუნდი 4-4-2 ტაქტიკური სქემით თამაშობდა - ორი ჩამშლელი ნახევარმცველით, ორი გარემარბით და ორი ცენტრფორვარდით. ევროპის ჩემპიონატის შემდეგ, ლიოვი 4-5-1-ზე გადაერთო, სადაც სამი საყრდენი ნახევარმცველი თამაშობდა, საბოლოო ჯამში კი 4-2-3-1 სქემაზე ჩამოყალიბდა, ორი საყრდენით და ფლეიმეიქერით. ეს სქემა კი გაცილებით შემტევია, ვიდრე 4-5-1.

ლიოვი არ გამორიცხავს, რომ საჭიროების შემთხვევაში, 4-4-2-ს დაუბრუნდეს, ოღონდ ეს მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში მოხდება. ფაქტია, რომ ამ მუნდიალზე გერმანია 4-4-2-ს აღარ ითამაშებს, რადგან ამჟამინდელმა სქემამ ბუნდესგუნდს უკვე მოუტანა გრანდიოზული წარმატებები. თანაც, 4-2-3-1 ძალიან კრეატიული, ვარირებადი სქემაა, რომელიც მეტოქე გუნდის ნებისმიერ სქემას იოლად ერგება, თუკი ფეხბურთელები და განსაკუთრებით ფლანგის ნახევარმცველები ამის საშუალებას იძლევიან.

*„ტაქტიკა, რომლითაც ვთამაშობთ, 4 დეკემბრის, ანუ მუნდიალის წილისყრის შემდეგ უკვე გადაწყვეტილი იყო. ჩვენ ვიცოდით, რომ მსოფლიოს ჩემპიონობის შანსი მხოლოდ იმ შემთხვევაში გვექნებოდა, თუ შემტევ ფეხბურთს ვითამაშებდით. დრო, როცა გუნდები ასეთ დიდ ტიტულებს დაცვითი, მომლოდინე სტრატეგიით იგებდნენ, როგორც ეს იტალიამ 2006 წელს გააკეთა, საბოლოოდ წარსულს ჩაჰბარდა,“* - აცხადებს ლიოვი.

იოგიმ მოედნის დაფა 18 ოთხკუთხედად დაყო, რათა ფეხბურთელებს თავიანთი ზონების დანახვა/დამახსოვრება გაადვილებოდათ. ლიოვი: *„ეს ოთხკუთხედები აუცილებელია იმისათვის, რომ ტაქტიკური დისციპლინა შედგეს, გუნდმა გამართული ფეხბურთი ითამაშოს და მოთამაშეებმა თავიანთი დავალებები ზედმიწევნით ზუსტად შეასრულონ. აუცილებელია იმისთვისაც, რომ ფეხბურთელი არ ფიქრობდეს: ყველგან შემიძლია სირბილიო. სქემაზე ოთხკუთხედების უმრავლესობა ყოველთვის დაკავებული უნდა იყოს რომელიმე ფეხბურთელით - თუ იმ პოზიციის მოთამაშე იქ არ არის, სხვამ უნდა დააზღვიოს და ა.შ.“*

ლიოვის დაფაზე ისიც ჩანს, რომ მთელი გუნდი მუდმივ მოძრაობაში უნდა იყოს. **პოდოლსკისა** და **მიულერის**თვის მინიმუმ სამ-სამი ოთხკუთხედია გამოყოფილი, გამთამაშებელ **იოზილის** ოთხკუთხედები შუა ხაზსა და მეტოქის საჯარიმოშია, **შვაინშტაიგერმა** კი საკუთარ საჯარიმოსა და შუა ხაზს შორის სივრცეები უნდა აკონტროლოს და ა.შ. სხვათა შორის, ეს უკანასკნელი ლიოვის სქემაში ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურაა.

*„როცა ბურთი გათამაშებულია, ამით ფეხბურთელის მოქმედება არ მთავრდება. მან უნდა იმოძრაოს და ბურთი კიდევ უნდა მოითხოვოს. თამაში ასე უფრო ტალღოვანი და დინამიკური ხდება. ვიცოდი, რომ იოზილს, პოდოლსკის, მიულერს და კროოსს ასეთი ფეხბურთის თამაში შეეძლოთ და ვუთხარი კიდეც, თუ არ იმოძრავებთ, კანადის ნაკრებსაც ვერ მოუგებთ-მეთქი. მოკლედ, ჩემმა გუნდმა მარტივი, მაგრამ წარმატებული ფეხბურთის თამაში ისწავლა“*, - ამბობს ლიოვი.

## შეტევა

გერმანიის ნაკრები ასეთ შემტევ ფეხბურთს **იურგენ კლინსმანის** მწვრთნელობის ხანიდან მოყოლებული თამაშობს. კლინსი კი, ბუნდესმწვრთნელად ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის შემდეგ დაინიშნა. ლიოვმა კი, 2006 წლიდან, კლინსმანისეული ფილოსოფია ტაქტიკურ ჩარჩოებში მოაქცია და კიდევ უფრო დისციპლინირებული გახადა. თუ გახსოვთ, კლინსმანს თავიდან თვითონ ფეხბურთელებიც კი აკრიტიკებდნენ, გერმანიის ნაკრები ასეთ შემტევ ფეხბურთს არ უნდა თამაშობდესო.

ლიოვის ფორმაციის გერმანია ყოველგვარი ზედმეტი პასის, ნერვიულობის გარეშე, სხვადასხვა ვარიაციითა და კრეატიულად უტევს. ფეხბურთს ფეხებით თამაშობენ, მაგრამ ტვინის გარეშე ვერავინ ვერაფერს მოიგებსო, ამბობს „ბაიერნის“ მთავარი მწვრთნელი **ლუის ვან გაალი** და ფაქტია, რომ გასულ სეზონში ლიოვმა ჰოლანდიელი სპეციალისტისგანაც არაერთი მაგალითი აიღო. გერმანიის ნაკრებმა მუნდიალზე ჩატარებულ ხუთ შეხვედრაში 13 გოლი გაიტანა, აქედან, სამჯერ ოთხ-ოთხი ერთ თამაშში. ამ მხრივ, დღევანდელ ბუნდესგუნდს კონკურენციას მხოლოდ 70-იანი წლების გერმანია თუ გაუწევს. სხვა დროს კი, ბუნდესნაკრები არასდროს თამაშობდა ისეთ შემტევ ფეხბურთს, როგორსაც ამ მუნდიალზე აჩვენებს.

## ჰარმონია გუნდში

როცა გაირკვა, რომ **მიხაელ ბალაკი** მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ ითამაშებდა, ბუნდესგუნდში იერარქიული ვაკუუმი შეიქმნა და საფეხბურთო გერმანიაც საგონებელში ჩავარდა, რადგან ბალაკი არსებულ იერარქიას სათავეში 8 წლის განმავლობაში ედგა. კაპიტნის სამკლავური მალევე ჩაჰბარდა ახალ პატრონს და მუნდიალის პირველივე შეხვედრაში გამოჩნდა ისიც, რომ გერმანიის ნაკრებს გამოკვეთილი ლიდერი არც ისე ძალიან სჭირდება, როგორც ივარაუდებოდა. ხუთი „ნახევრად“ ლიდერი (**ლამი, შვაინშტაიგერი, კლოზე, მერტეზაკერი, ფრიდრიხი**) საკმარისი გამოდგა იმისათვის, რომ იერარქია შემდგარიყო. ეს ხუთეული კი თავის მხრივ დემოკრატიის მომხრეა და ახალგაზრდა ფეხბურთელებს ახლა უფრო მეტი ეთქმით, ვიდრე ადრე ეთქმოდათ. შესაბამისად, დღეს გერმანიის ნაკრებში სრული ჰარმონიაა.

## სამწვრთნელო შტაბი

იოახიმ ლიოვმა ევროპის 2008 ჩემპიონატის შემდეგ არაერთ სიძნელეს გაუძლო. თავიდან იყო ჩხუბი ბალაკთან და **ტორსტენ ფრინგსთან**, მერე **კევინ კურანის** გუნდიდან მოკვეთა, კონფლიქტი გერმანიის საფეხბურთო ლიგასთან, კრიტიკა სხვადასხვა ფეხბურთელის უგულებელყოფის გამო და ბოლოს, ზედ მუნდიალის წინ, ჩაშლილი მოლაპარაკებები გერმანიის საფეხბურთო კავშირთან კონტრაქტის გაგრძელების შესახებ. მიუხედავად ყველაფრისა, ლიოვმა ყველა საკითხში თავისი გაიტანა და გზას არ გადაუხვია.

ბუნდესგუნდის ფეხბურთელები შესანიშნავ ფიზიკურ ფორმაში არიან, რაც ვარჯიშების კონცეფციისა და ფიტნესმწვრთნელის დამსახურებაა. ამ ყველაფერს ემატება შეფსკაუტ **ურს ზიგენტჰალერის** ანალიზი, რაც მიზნად ისახავს მომავალი მეტოქეების დეტალურად შესწავლას და მათი ძლიერი თუ სუსტი მხარეების გაშიფვრას. აღსანიშნავია, რომ ბუნდესგუნდს არც ერთ დიდ ტურნირზე არ ჰყოლია ამდენი მუშაკით დაკომპლექტებული სამწვრთნელო შტაბი.

## ფეხბურთელები

ბევრი რომ არ ვილაპარაკოთ, პირდაპირ უნდა ვთქვათ, რომ **ბასტიან შვაინშტაიგერს** იდეალური შანსი აქვს, გახდეს მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი. ბალაკის არყოფნაში, შვაინიმ თავის თავზე პასუხისმგებლობა აიღო და თამამად ვიტყვით, არც ერთ სხვა გუნდში არ ჩანს ისეთი მამოძრავებელი ფიგურა, როგორიც შვაინშტაიგერია ბუნდესგუნდში. ბასტიანი გაცილებით მეტია ბუნდესგუნდისთვის, ვიდრე ჩავი ესპანეთისთვის, ჯერარდი ინგლისისთვის, მესი არგენტინისთვის და კაკა ბრაზილიისთვის.

შვაინშტაიგერთან ერთად, გამორჩეულები არიან ახალგაზრდები, **მესუთ იოზილი** და თომას მიულერი. პირველს „ვერდერში“ არცთუ სახარბიელო სეზონი ჰქონდა, მიულერი კი მხოლოდ და მხოლოდ ერთი წელია, რაც პროფესიონალებში თამაშობს და ერთი წლის წინ „ბაიერნის“ მწვრთნელად ვან გაალი რომ არ დანიშნულიყო, რომელმაც მიულერი პირველ გუნდში გადაიყვანა, კაცმა არ იცის, ვიხილავდით თუ არა მიულერს მუნდიალზე. თუ რაიმე სასწაული არ მოხდა, მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო ახალგაზრდა მოთამაშედ მიულერს დაასახელებენ ანაც იოზილს - გამოკითხვების მიხედვით, მიულერი ლიდერობს, რომელიც დიდი უპირატესობით უსწრებს იოზილს. მესამე ადგილზე განელი **აიევია**, მეოთხეზე ურუგვაელი **სუარესი**, მეხუთეზე კი მექსიკელი **დოს სანტოსი**.

## პერსპექტივა

მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე გამართულ ბოლო პრესკონფერენციაზე, ლიოვმა მეტწილად სამომავლო პერსპექტივებზე ისაუბრა და ისე გამოუვიდა, რომ თითქოს ამ ახალგაზრდა გუნდს რეალური პერსპექტივა 2012 წლიდან უნდა ჰქონოდა. კრიტიკოსებმა კი მაშინვე იფიქრეს, რომ იოგი იმთავითვე იმზადებდა ალიბის. დღეს კი გერმანია ნახევარფინალშია და ინგლისთან და არგენტინასთან მატჩებში ისე იასპარეზა, რომ უკვე მუნდიალის უპირველეს ფავორიტად შერაცხეს. ანუ, ამ ახალგაზრდულ გუნდს მსოფლიოს ჩემპიონობის იდეალური შანსი აქვს. 76 წელია, გერმანიას მსოფლიოს ჩემპიონატზე ასეთი ახალგაზრდული გუნდი არ ჰყოლია, რაც პირველ რიგში უდიდეს პერსპექტივაზე მეტყველებს, მაგრამ რატომ ხვალ, როცა შეიძლება დღეს?

ერთადერთი რამ, რითაც დღევანდელი ბუნდესგუნდი ზემოთ ნახსენებ „დიდ ბუნდესგუნდებს“ ჩამოუვარდება, არის ის, რომ ამ გუნდს ჯერ არაფერი მოუგია. და როგორც იცით, იმისათვის, რომ ნიჭიერი გუნდი დიდ გუნდად მოინათლოს, ტიტულ(ებ)ია საჭირო...

**გოტფრიდ ლენცი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტრადიციული გუნდების მოულოდნელი შეხვედრა

6 ივლისი. კეიპ ტაუნი.
გრინ პოინტ სთედიუმი. 22:30

**ურუგვაი-ჰოლანდია**

სავარაუდო შემადგენლობები

**ურუგვაი:** მუსლერა - მასიმილიანო პერეირა, სკოტი, ვიქტორინო, ალვარო პერეირა - ფერნანდესი, არევალო, პერესი - კავანი, აბრეუ - ფორლანი.

**ჰოლანდია:** სტეკელენბურგი - ბულარუზი, ჰეიტინგა, მატიისენი, ვან ბრონკჰორსტი - ვან ბომელი, დე ზეუვი - კუიტი, სნეიდერი, რობენი - ვან პერსი.

**არბიტრი:** რავშან ირმატოვი (უზბეკეთი)

მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე ნამდვილად ვერავინ წარმოიდგენდა თუ ერთ-ერთ ნახევარფინალურ წყვილს ჰოლანდიისა და ურუგვაის ნაკრებები შეადგენდნენ. არც „ნარინჯისფრები" ითვლებოდნენ ტურნირის ფავორიტებად და მით უმეტეს, არც სამხრეთამერიკელები. თუმცა, ფაქტია და ეს კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რომ ფეხბურთში საერთო დონე გათანაბრდა. ამასთან, ძალიან კარგია, რომ საფეხბურთო ტრადიციების მქონე ქვეყნებზე ვსაუბრობთ, სადაც ძალიან დიდხანს ელოდნენ ასეთ წარმატებას. ჰოლანდიას აქვს შანსი, პირველად გახდეს მსოფლიოს ჩემპიონი და კაცმა რომ თქვას, რატომ არ უნდა იყოს ერთხელ მაინც ეს მართლაც რომ საფეხბურთო ქვეყანა მუნდიალის გამარჯვებული? - თუ მაგალითად, 2002 წელს სამ-





ხრეთ კორეის ნაკრების ლამის ფინალამდე მისვლა ფეხბურთის კონსერვატორ გულშემატკივრებს მაინცდამაინც არ ესიამოვნათ, ამ შემთხვევაში სანერვიულო არაფერია. ჰოლანდია ორჯერ იყო მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში და არ იქნება პარადოქსი თუ თასსაც დაეუფლება. აი რაც შეეხება **ოსკარ ტაბარესის** გუნდს - თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ურუგვაი დაბრუნდა. დიახ, ქვეყანა, რომელიც 1930 და 1950 წლებში ორჯერ დაეუფლა მსოფლიოს საუკეთესო გუნდის სტატუსს, კვლავ გრანდთა შორის გაერია და ერთი ნაბიჯი აშორებს ფინალამდე. ერთი სიტყვით, მართალია ასეთ ნახევარფინალს ვერავინ წარმოიდგენდა, მაგრამ მეორე მხრივ, ტრადიციული გუნდების დაპირისპირების მოლოდინში ვართ.

საკადრო პრობლემები ორივე ნაკრებს აქვს და თავდაპირველად ჰოლანდიელთა შესახებ ვთქვათ: **ბერტ ვან მარვიიკი** ორ ფეხბურთელს მოისაკლისებს: **ნაიჯელ დე იონგს** და **გრეგორიო ვან დერ ვილს**. ორივე მათგანს დისკვალიფიკაცია აქვს და მატჩის ყურება ტრიბუნებიდან მოუწევთ. ვან დერ ვილი მარჯვენა მცველის პოზიციაზე ირჯებოდა და მის ნაცვლად ძირითად შემადგენლობაში **ხალიდ ბულარუზს** უნდა ველოდოთ. სწორედ ის გამოცადა ვან მარვიიკმა მარჯვენა ფრთაზე, როდესაც ჰოლანდიის ნაკრები ჯგუფური ეტაპის უკანასკნელ მატჩს მართავდა. როგორც ჩანს, გულმა უგრძნო, რომ სადღაც კიდევ გამოადგებოდა ბულარუზი და მას ასე საჭირო სათამაშო პრაქტიკა მისცა. დე იონგის ნაცვლად სასტარტო შემადგენლობაში **დემი დე ზეუვი** იასპარეზებს, რომელიც ვან მარვიიკის დიდი ნდობით სარგებლობს.

პრესაში **არიენ რობენის** ტრავმის შესახებ გავრცელდა ინფორმაცია, რამაც მთელი ჰოლანდია შოკში ჩააგდო. თუმცა, მოგვიანებით ცნობა „ნარინჯისფერთა" მთავარმა ექიმმა უარყო. შესაბამისად, არიენი ძირითად შემადგენლობაში მოიაზრება და წესით, **ვესლი სნეიდერს** და **დირკ კუიტს** უნდა დაუმშვენოს მხარი. მცირე ტრავმა ბრაზილიასთან პაექრობაში **რობინ ვან პერსიმაც** მიიღო, თუმცა მალევე მომჯობინდა და წესით, ურუგვაის უმთავრეს გუნდს პირველივე წუთებიდან უნდა შეერკინოს. სწორედ ვან პერსიმ გააკეთა წინასამატჩო კომენტარი, რომელსაც აქვე გთავაზობთ:

*„თუ ჩავთვლით, რომ უკვე ფინალში ვართ, აუცილებლად დავისჯებით. მხოლოდ ჩვენ შეგვიძლია შევუქმნათ პრობლემები საკუთარ თავს და თუ ამას არ დავუშვებთ, წარმატება არ დაახანებს. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ურუგვაისთან თამაში არანაკლებ რთული იქნება, ვიდრე იმავე ბრაზილიელებთან. მეტოქე ბურთს შესანიშნავად აკონტროლებს და მთელი შეხვედრის განმავლობაში მაღალი ტემპი უჭირავს. დაბალანსებული გუნდია და თანაბრად ძლიერია როგორც დაცვით, ისე შეტევით ფაზაში. ასე რომ, იოლი გასეირნება ნამდვილად არ გველის. ფორლანი? – თუ მხოლოდ მასზე მოვახდენთ კონცენტრაციას, აუცილებლად ისარგებ-ლებენ ამით და სწორედ ის დაგვსჯის, ვისგანაც ყველაზე ნაკლებად ელი ხიფათს. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, მაქსიმალური მობილიზებაა საჭირო, ამასთან, ჩვენი ფეხბურთი უნდა ვითამაშოთ და წარმატება აუცილებლად მოვა".*

ვან მარვიიკი რომ ტრადიციულ ტაქტიკას აირჩევს და გუნდს 4-2-3-1 სქემით განალაგებს, ცხადზე ცხადია. ამ ტაქტიკას ჰოლანდია ძალიან კარგად მოერგო, თითქმის ყველა რგოლი ძალიან კარგად გამოიყურება და შედეგიც სახეზეა. ერთადერთი, ვისი მისამართითაც კრიტიკა კვლავ ისმის, ვან პერსი გახლავთ. თუმცა, ვან მარვიიკი „არსენალის" შემტევს სრულ ნდობას უცხადებს. ეს უკანასკნელიც მუდამ იმას აღნიშნავს, ბერტი მენდობაო და მწვრთნელისგან შეგულიანებული, ჟურნალისტებთან თითქმის ყოველდღიურად ურთიერთობს.

საკადრო პრობლემებით დავიწყოთ ურუგვაის ნაკრებზე საუბარი. ოსკარ ტაბარესს მინიმუმ სამი ფეხბურთელის გარეშე მოუწევს ფონს გასვლა: ერთი **ხორხე ფუსილე** გახლავთ, მეორე **ლუის სუარესი**, მესამე კი **ნიკოლას ლოდეირო**. პირველ ორს დისკვალიფიკაცია აქვს, ლოდეირომ კი ტრავმა მიიღო და ლაზარეთში გადაინაცვლა. ურუგვაელთა მთავარი თავსატეხი მაინც სუარესის ტრავმაა, რომელიც თამამად შეგვიძლია მივიჩნიოთ მიმდინარე მუნდიალის მთავარ აღმოჩენად. მის გარეშე, ურუგვაელებს შეტევაში აშკარად გაუჭირდებათ და კიდევ უფრო დიდი ტვირთი დააწვება დიეგო ფორლანს, რომელიც ისედაც გუნდის სული და გულია.

ტაბარესი 4-3-2-1 ტაქტიკას აირჩევს და შეტევის წინა ხაზზე ფორლანს გაამწესებს. თუმცა, აქვე აღვნიშნოთ, რომ დიეგო მხოლოდ ცენტრფორვარდის ფუნქციების შესრულებით არ შემოიფარგლება. ხშირად შედის სიღრმეში და მოედნის შუაგულიდან იწყებს იერიშებს. ფლანგებიდან მას **სებასტიან აბრეუ** და **ედისონ კავანი** დაეხმარებიან. სწორედ მათ უნდა შეძლონ და ფორლანთან ერთად, სუარესის დანაკლისი შეავსონ. დიდი ჯაფა დაადგებათ ნახევარმცველებს, რადგან როგორც უკვე არაერთხელ გამოჩნდა, ჰოლანდიის მთავარი კოზირი ძლიერი შუა ხაზია. ვესლი სნეიდერის წინააღმდეგ სამხრეთამერიკელებს განსაკუთრებული ყურადღებით მართებთ თამაში, რადგან „ინტერისტას" ნებისმიერ წუთს შეუძლია აულებელი დარტყმის განხორციელება. თუ აქამდე, განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში არიენ რობენი იყო, დღეს უფრო ხშირად სწორედ სნეიდერზე საუბრობენ. ტაბარესის თქმით, პერსონალურად არც ერთი მეურვის აყვანას არ აპირებს, მათ შორის არც რობენის. აქვე ვთქვათ, რომ რობენს გალაღების ძალიან კარგი შესაძლებლობა ეძლევა - საქმე ის არის, რომ ურუგვაელებს მარცხენა მცველი ფუსილე აკლიათ და ამ პოზიციაზე, სათადარიგოთა სკამის ფეხბურთელის გამწესება მოუწევთ. მოვუსმინოთ ტაბარესს, რომელიც საინტერესო კომენტარს აკეთებს:

*„ბევრჯერ მსმენია იმის შესახებ, რომ მწვრთნელები შეგირდებს მხოლოდ თამაშზე კონცენტრაციისკენ მოუწოდებენ, რათა ის წნეხი აიცილონ თავიდან, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატზე განუზომლად დიდია. თუმცა, ჩვენს შემთხვევაში სხვაგვარად არის საქმე - მინდა, რომ ბოლომდე გააზრონ ჩემმა შეგირდებმა რა ახლოს არიან იმ დიდ მიზანთან, რომელიც ასე შორს გვეჩვენებოდა. ისინი უკვე შევიდნენ ისტორიაში, თუმცა შეუძლიათ უფრო მეტს მიაღწიონ და სამშობლოში გმირებად დაბრუნდნენ. გაგვიმართლა თუ არა განასთან შეხვედრაში? - გამართლების გარეშე ფეხბურთში ერთ შეხვედრასაც ვერ მოიგებ, ასე რომ, აფრიკელთა მიერ გაცუდებული თერთმეტმეტრიანი ოდნავადაც არ ბლალავს ჩვენს წარმატებას. რაც შეეხება ჰოლანდიის ნაკრებს, ევროპელები ძალიან ორგანიზებულ ფეხბურთს თამაშობენ და მათი მთავარი კოზირი სწორედ ამაშია. ჩვენი ფეხბურთი უნდა მოვახვიოთ მეტოქეს თავს და პირველი ნომრიდან ვითამაშოთ".*

ტაბარესი ამბობს, პირველი ნომრიდან უნდა ვითამაშოთო, მაგრამ ვფიქრობთ, რომ არც მთლად მასე იქნება საქმე. წინასწარი ვარაუდით, ურუგვაი პრიორიტეტად საკუთარი კარის უსაფრთხოებას დაისახავს და კონტრშეტევებზე შეეცდება მეტოქის კართან ხიფათის შექმნას. შესაბამისად, ძალიან დიდი როლი დაეკისრებათ გარემარბებს, რომლებიც ძალიან სწრაფად უნდა გადავიდნენ დაცვიდან შეტევაში. მოკლედ, წინ ძალიან საინტერესო დაპირისპირება გველის და ვნახოთ, ვინ გახდება პირველი ფინალისტი.

**ლაშა წიკლაური**

---

ამბები



## ალბიოლმა ვარჯიში განაახლა

გაზვიადებული გამოდგა ინფორმაცია იმის შესახებ, თითქოს **რაულ ალბიოლისთვის** მსოფლიოს ჩემპიონატი დასრულებული ყოფილიყო. მადრიდის „რეალისა" და ესპანეთის ნაკრების მცველის მიერ ვარჯიშზე ფერნანდო ლორენტესთან შეჯახების შედეგად მიღებული ტრავმა არცთუ სერიოზული აღმოჩნდა, მან უკვე განაახლა წვრთნა.

ალბიოლი გერმანიასთან ნახევარფინალურ დაპირისპირებას სრულ მზადყოფნაში შეხვდება. სხვა საქმეა, დასჭირდებათ თუ არა ესპანელებს მისი სამსახური. შეგახსენებთ, სამხრეთ აფრიკაში იგი სათადარიგოს რანგში წაიყვანეს და მუნდიალზე ჯერ ერთი წამითაც კი არ უთამაშია.

## რუბინი კლოზეს უპატიჟებს

სანამ მიროსლავ კლოზე სამხრეთ აფრიკის სტადიონებზე მუნდიალების ისტორიაში საუკეთესო ბომბარდირობისთვის იბრძვის, ყაზანის „რუბინი" მიუნხენის „ბაიერნისთვის" შესათავაზებელ ფულს ამზადებს. რუსეთის ჩემპიონებს 32 წლის გერმანელი ფორვარდის გადაბირება განუზრახავთ. რუსული პრესის ცნობით, „რუბინის" მთავარ მწვრთნელ **ყურბან ბერდიევს** ბავარიელებთან უკვე წამოუწყია ამ თემაზე წინასწარი მოლაპარაკება.

შესაძლოა, დღეს ამ ტრანსფერის განხორციელება რეალურად არ მოჩანდეს, მაგრამ ვინ იცის... მოსკოვის „დინამომ" ხომ სულ ცოტა ხნის წინ კლოზეს თანამემამულე კევინ კურანი გადაიბირა. კლოზე გერმანიის ნაკრებშია ეფექტური, თორემ გასულ სეზონში „ბაიერნის" ძირითადში ველარ ხვდებოდა და სულაც არ არის გამორიცხული, უკვე ვეტერანის ასაკში გადამდგარმა ყაზანელთა მაცდუნებელ წინადადებაზე უარი არ თქვას...



## ტურისტებმა მილიონს გადააჭარბეს

მსოფლიოს ჩემპიონატის მსვლელობისას სამხრეთ აფრიკას უკვე მილიონზე მეტი ტურისტი ეწვია. მუნდიალის მასპინძელი ქვეყნის ტურიზმის სამინისტროს ინფორმაციით, ყველაზე მეტი სტუმარი მეზობელი სახელმწიფოებიდან ჰყავთ, შორეული ქვეყნებიდან კი ყველაზე მეტი ტურისტი აშშ-იდან, გერმანიიდან, ავსტრალიიდან და მექსიკიდანაა.

სამხრეთ აფრიკაში შესვლა 43 პირს აუკრძალეს, 188 კი უსაქციელობისთვის დროზე ადრე გააბრუნეს სამშობლოში.

## პარეირა ამაყია

მსოფლიოს ჩემპიონატზე ჯგუფში ჩარჩენის მიუხედავად, სამხრეთ აფრიკის ნაკრების თავკაცი **კარლოს ალბერტო პარეირა** აცხადებს, რომ მისმა გუნდმა საშინაო მუნდიალზე ღირსეულად იასპარეზა.


კარლოს ალბერტო პარეირა

*„ძალიან ბევრი ვიშრომეთ იმისთვის, რომ ბრძოლისუნარიანი გუნდი ჩამოგვეყალიბებინა. თუმცა წარმატებისთვის იღბალიც საჭიროა, რაც ჩვენ დაგვაკლდა. ვგულისხმობ წილისყრის შედეგებს, რომელმაც ურთულეს ჯგუფში მოგვახვედრა. ბიჭებისგან გადაჭრით არასოდეს მომითხოვია, რომ მერვედფინალში აუცილებლად უნდა გავსულიყავით, მაგრამ ვხვდებოდით, რომ ამის ძალა შეგვწევდა. მართალია, ეს ვერ შევძელით, მაგრამ ვაჩვენეთ იმ ხარისხის ფეხბურთი, რაც სიამაყის საფუძველს გვაძლევს. ჩვენი გუნდის კარგი თამაში სამხრეთაფრიკული ფეხბურთის ალმავლობის გარანტიაა",* - ამბობს ბრაზილიელი სპეციალისტი.

## პარაგვაელები სამშობლოშ დააფასა
### მწვრთნელი კი პოსტიდან გადადგა

სამშობლოში დაბრუნებულ პარაგვაის ნაკრებს აეროპორტში ოვაციებით ათასზე მეტი გულშემატკივარი დახვდა. გუნდი აეროპორტიდანვე გაემართა ქვეყნის პრეზიდენტ ფერნანდო ლუგოსთან შესახვედრად. პრეზიდენტმა მწვრთნელებსა და ფეხბურთელებს მედლები გადასცა წარწერით: „პარაგვაელი ხალხისგან მსოფლიოს ჩემპიონატზე ღირსეული გამოსვლისთვის".

პარაგვაის ნაკრების წევრებს სოლიდური ფულადი პრემიებიც გადაეცემათ.

ამასობაში, ცნობილი გახდა, რომ გუნდიდან წასვლა გადაუწყვეტიათ არგენტინელ მთავარ მწვრთნელ **ხერარდო მარტინოსა** (გუშინ ის პოსტიდან გადადგა) და თავდამსხმელ **როკე სანტა კრუსს**. ეს უკანასკნელი პარაგვაის ნაკრების ღირსებას 1999 წლიდან მოყოლებული იცავს და 80 მატჩში 21 გოლი გაუტანია.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაიერნი

# ვან გაალმა სტეკელენბურგს დაუმიზნა

მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე, ჰოლანდიელ ექსპერტებს მიაჩნდათ, რომ **მაარტენ სტეკელენბურგის** კარში ჩაყენება „ნარინჯისფრებისთვის" საკმაოდ დიდი რისკი იყო, მაგრამ კითხვაზე, ვის უნდა შეეცვალა ჰოლანდიის ნაკრებში **ედვინ ვან დერ სარი**, პასუხი არ ჰქონდათ. თუმცა მთავარი მწვრთნელი **ბერტ ვან მარვიიკი** ამბობდა, ყველაზე მეტად სტეკელენბურგს ვენდობი და მუნდიალზე ჩემი პირველი ნომერი სწორედ მაარტენი იქნებაო.

დღეს კი ჰოლანდიაში ვან დერ სარი აღარავის ახსოვს, რადგან ამსტერდამის „აიაქსის" 27 წლის კიპერი ძალიან კარგად ასპარეზობს და დღეს გასამართ ნახევარფინალამდე (ურუგვაისთან) არათუ შეცდომა დაუშვია, არამედ, ვან მარვიიკის გუნდი გაშვებული გოლებისგანაც არაერთხელ იხსნა. ამრიგად, სტეკელენბურგი მსოფლიოს ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო მეკარეა. შესაბამისად, ჰოლანდიაში უკვე ალაპარაკდნენ, რომ 1.94 მეტრი სიმაღლის მქონე მეკარე ვან დერ სარის ღირსეული შემცვლელია.

გერმანული გამოცემა „კიკერი" კი წერს, რომ სტეკელენბურგის გადაბირება „ბაიერნის" ჰოლანდიელმა მწვრთნელმა **ლუის ვან გაალმა** მოისურვა. თუმცა ცნობილია, რომ „აიაქსი" თავისი კარის დარაჯს იოლად არ შეელევა და საკმაოდ დიდ თანხას მოითხოვს. „ბაიერნის" მწვრთნელმა და ხელმძღვანელებმა სეზონის დასრულების შემდეგ თქვეს, რომ რეკორდმაისტერის კარს მომავალ სეზონშიც ვეტერანი **ჰანს-იორგ ბუტი** დაიცავს, მაგრამ როგორც ჩანს, სტეკელენბურგზეც ფიქრობენ.

გოტფრიდ ლენცი


მაარტენ სტეკელენბურგს ბაიერნში ეპატიჟებიან

დორტმუნდი


ბორუსიას თავკაცი ახალწვეულებთან ერთად: ლანგერაკი, კლოპი, პიშჩეკი და ლევანდოვსკი

# კლოპის სამი ახალწვეული

## ბარიოსი და ვალდესი ისვენებენ, ზიდანი ეგვიპტის არმიას სჭირდება

მსოფლიოს ჩემპიონატი ჯერ არ დასრულებულა, მაგრამ კლუბების დიდი ნაწილი ახალი სეზონისთვის მზადებას უკვე შეუდგა. ტრადიციულად, ახალი სეზონისთვის მზადება ყველაზე ადრე გერმანულმა კლუბებმა დაიწყეს და მათ რიცხვს გუშინ დორტმუნდის „ბორუსიაც" შეუერთდა. ვესტფალიურმა კლუბმა ვარჯიში იმ ოთხი ფეხბურთელის გარეშე დაიწყო, რომლებსაც შვებულება მსოფლიოს ჩემპიონატის გამო გაუგრძელდებათ. სამაგიეროდ, „ბორუსიას" 18000-მა ქომაგმა პირველ ვარჯიშზე სამი ახალწვეული იხილა. ესენი არიან: პოლონელი თავდამსხმელი **რობერტ ლევანდოვსკი** („დორტმუნდში" „ლეხიდან" გადავიდა), მარჯვენა ფლანგის მოთამაშე **ლუკაშ პიშჩეკი** (ჰერტადან) და მეკარე **მიტჩელ ლანგერაკი** (მელბურნ ვიქტორიდან).

მათგან, ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურა ლევანდოვსკია, რომლის ტრანსფერს „დორტმუნდის" ძალიან დიდხანს ძერწავდნენ. *„ეს იყო ყველაზე რთული ტრანსფერი მათ შორის, რაც კი ოდესმე გამიჩარხავს,"* - თქვა „ბორუსიას" მენეჯერმა ჰანს-იოახიმ ვატცკემ.

პირველ ვარჯიშზე არ გამოჩენილან იაპონელი ახალწვეული **შინჯი კაგავა**, სერბი **ნევენ სუბოტიჩი**, პარაგვაელი **ნელსონ ვალდესი** და არგენტინელი **ლუკას ბარიოსი**, რომლებმაც მსოფლიოს ჩემპიონატზე იასპარეზეს, მაგრამ უკვე გავარდნენ. აქედან, არგენტინელი ბარიოსი პარაგვაის ნაკრების ღირსებას იცავდა. პირველ შეკრებას დააკლდა **მოჰამედ ზიდანიც**, რომელსაც ეგვიპტეში დარჩენის შესაძლებლობა მისცეს. არადა, ამ უკანასკნელის შვებულების გაგრძელების მიზეზი კურიოზულია. საქმე იმაშია, რომ ეგვიპტური კანონების მიხედვით, ზიდანს დაბადების დღემდე ქვეყნიდან გასვლის უფლება არ აქვს, რადგან თეორიულად შესაძლებელია, რომ ის ეგვიპტის ჯარში გაიწვიონ (!). *„იმედი მაქვს, რომ ამ პრობლემას მოვაგვარებთ და ეგვიპტური არმია როგორმე ზიდანის გარეშეც შეძლებს ფონს გასვლას,"* - იხუმრა შავ-ყვითლების მთავარმა მწვრთნელმა **იურგენ კლოპმა**.

„ბორუსიას" ახალი სეზონის პირველი ოფიციალური მატჩი 14 აგვისტოს, გერმანიის თასის პირველ ეტაპზე, „ბურგჰაუზენთან" ელის. ბუნდესლიგაში კი სეზონი 20 აგვისტოს გაიხსნება და პირველ ტურში „დორტმუნდმა" „ლევერკუზენს" უნდა უმასპინძლოს.

გოტფრიდ ლენცი

ამბები

# ედუარდო ჯენოაში

პორტუგალიის ნაკრების მეკარე **ედუარდო** უკვე იტალიაშია და თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, მალე „ჯენოასთან" კონტრაქტსაც მოაწერს ხელს. „ბრაგა" მის სანაცვლოდ 4 მილიონ ევროს ითხოვს, რის გადახდაზეც გენუელებს უარი არ უთქვამთ.

იტალიური პრესის ცნობით, 28 წლის ედუარდო, რომელმაც „ჯენოას" დაინტერესება მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩინებული თამაშით დაიმსახურა, ახალ კლუბთან ოთხწლიან კონტრაქტს გააფორმებს და წელიწადში 800 ათას ევროს მიიღებს.

ლევან ჯანეზაშვილი

# უერვინიო ლივერპულის სამიზნეში

„ლივერპულის" ახალ თავკაც **როი ჰოჯსონს** კოტ დ'ივუარის ნაკრების თავდამსხმელის, **ჟერვინიოს** შეძენა სურს. 23 წლის ფეხბურთელის სანაცვლოდ ფრანგული ლილი 10 მილიონ გირვანქას ითხოვს, მერსისაიდელები კი ჯერჯერობით, მხოლოდ 8 მილიონის გადახდაზე არიან ყაბულს.

ჟერვინიოს მუნდიალზე გოლი არ გაუტანია, მაგრამ სამივე ჩატარებულ მატჩში კარგი შთაბეჭდილება დატოვა. „ლილის" შემადგენლობაში გასულ სეზონში მან მეტოქეთა კარი 13-ჯერ დალაშქრა.

ლევან ჯანეზაშვილი

# ბუმსონგი ჰამბურგში?

„ჰამბურგს" საფრანგეთის ნაკრებისა და „ლიონის" მცველის, ჟან-ალან ბუმსონგის გადაბირება უნდა. ჩვენი ფრანგი კოლეგების ცნობით, „ლიონის" ხელმძღვანელებს 30 წლის მცველის გასხვისება უნდათ და მზად არიან, გარკვეული თანხის სანაცვლოდ შეელიონ, „ჰამბურგს" კი ახალი ცენტრალური მცველი სჭირდება.

ბუმსონგთან ერთად, ჩრდილოგერმანულ კლუბს „პორტსმუთის" 17 წლის ფეხბურთელის, **ლენარდ სოვას** ყიდვაც უნდა, რომელიც ჰამბურგში დაბადებული და გაზრდილია, მაგრამ ახლა ინგლისში თამაშობს. „კიკერის" ცნობით, HSV „პორტსმუთის" ნიჭიერ ფეხბურთელს კონტრაქტს კვირის ბოლომდე გაუფორმებს.

გოტფრიდ ლენცი

# გოვუ სისეს შეუწყვილდა

**სიდნი გოვუმ** თავისუფალი აგენტის სტატუსით ფრანგული „ლიონიდან" ბერძნულ „პანათინაიკოსს" მიაშურა. ფრანგმა შუახაზელმა ათენელებთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა და წელიწადში 1.2 მილიონ ევროს მიიღებს.

როგორც იცით, „პანათინაიკოსის" ღირსებას გოვუს თანამემამულე **ჯიბრილ სისე** იცავს და საინტერესოა, როგორი გამოვა ფრანგული დუეტი. „პანათინაიკოსი" გოვუს კარიერაში მხოლოდ მეორე კლუბია.

ლევან ჯანეზაშვილი

# მაიკონის გარეშეც ძლიერები ვართ!

როგორც ჩანს, მილანის „ინტერის" ხელმძღვანელობა **დუგლას მაიკონის** წასვლას უკვე შეგუებულია. როგორც იცით, ბრაზილიელი მარჯვენა მცველის გადაბირებასთან მადრიდის „რეალია" ახლოს.

„ინტერის" პრეზიდენტი **მასიმო მორატი** მომავალ სეზონს მაინც ოპტიმისტურად უყურებს. *„არა უშავს, მაიკონის გარეშეც ძლიერები ვართ. რა თქმა უნდა, იგი დიდი ფეხბურთელია, მაგრამ მას ღირსეულად შევცვლით. რაფა ბენიტესს ყველა საჭირო თვისება აქვს იმისთვის, რომ „ინტერს" ახალი ტიტულები მოაპოვებინოს"*, - აცხადებს მორატი.

ლევან ჯანეზაშვილი



ოპერაცია

# ბუფონი: მხრებიდან ლოდი მომეხსნა

იტალიის ნაკრებმა რომ მუნდიალზე სრული ფიასკო განიცადა, დიდწილად **ჯანლუიჯი ბუფონის** ტრავმის ბრალი გახლდათ. იმას არ ვამბობთ, რომ ჯიჯისთან ერთად, „აძურა" მთებს გადააატრიალებდა, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ჯგუფურ ეტაპს ყველა შემთხვევაში გადალახავდა. თუმცა, რეალობა სხვაგვარი აღმოჩნდა და რას ვიზამთ, ასეთია ფეხბურთი. „იუვენტუსის" კიპერმა ოპერაცია გაიკეთა და წინასწარი პროგნოზით, რამდენიმე თვით მოუწევს უქმად ყოფნა. აი, რას ამბობს ბუფონი ჟურნალისტებთან საუბარში:

*„თითქოს დიდი ლოდი მომეხსნა მხრებიდან, რადგან მუდმივად იმაზე იყო საუბარი, რომ ეს ოპერაცია უნდა გამეკეთებინა. ექიმები მაფრთხილებდნენ, რომ ცუდ დროს შემახსენებდა ტრავმა თავს და მართლაც ასე მოხდა. ვაღიარებ, ეს ოპერაცია უფრო ადრე უნდა გამეკეთებინა, მაგრამ ჯობს გვიან, ვიდრე არასდროს. მოედანზე დაბრუნებას ნამდვილად არ ვიჩქარებ, დაველოდები ჩემს ბოლომდე გამოჯანმრთელებას და მხოლოდ ამის შემდეგ ჩავდგები კარში. არ მინდა, კიდევ უფრო გავირთულო ტრავმა, რადგან კარიერის დასრულებაზე ჯერ არ ვფიქრობ. მეკარე ვარ და კიდევ არაერთი წელი მომიწევს უმაღლეს დონეზე თამაში"*.

ლაშა ნიკლაური



ნოვაცია

# ფიფა და ფრანს ფუტბოლი გაერთიანდნენ

5 ივლისს იოჰანესბურგში ერთობლივი პრესკონფერენცია ჩაატარეს ფიფას პრეზიდენტმა **ზეპ ბლატერმა** და „ამაური გრუპის" პრეზიდენტმა **მარი-ოდილ ამაურიმ** - ორმა მხარემ, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო და სახალხოდ გააფორმა ხელშეკრულება ორი ტიტულის გაერთიანების შესახებ. აქამდე წლის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელს „ფრანს ფუტბოლი" ცალკე აჯილდოებდა „ოქროს ბურთით", ხოლო ფიფა ცალკე ავლენდა პლანეტის წლის საუკეთესო ფეხბურთელს. ამ ორი ორგანიზაციის გამარჯვებულები ბოლოს 2004 წელს არ დაემთხვა, როცა ფიფამ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად **რონალდინიო** დაასახელა, ხოლო „ფრანს ფუტბოლის" გამოკითხვამ - **ანდრეი შევჩენკო**.

ამიერიდან „ფრანს ფუტბოლი" „ოქროს ბურთს" ფიფას ეგიდით გასცემს. გამოკითხვაში მონაწილეობას მიიღებენ, როგორც ეროვნული ნაკრებების კაპიტნები და მწვრთნელები, ასევე სპორტული მედია. ფიფას „ოქროს ბურთის" 2010 წლის ცერემონიალი ციურიხში 2011 წლის 10 იანვარს გაიმართება.

ნიკოლოზ ნეფარიძე

9 ივლისიდან


რუსეთის დაზვერვის მორიგი მარცხი

რუსეთის სასარგებლოდ ჯაშუშობაში აშშ-ის გამოძიების ფედერალურმა ბიურომ თერთმეტი ეჭვმიტანილი დააკავა. ეს შემთხვევა სპეცსამსახურების ისტორიასა და პრაქტიკაში უნიკალურია სამი გარემოების გამო...

ამჟამად დასტურდება ის ვარაუდი, რომ ეს ჯაშუშური ოპერაცია რუსეთის საგარეო დაზვერვის გრძელვადიანი პროექტი იყო და ითვალისწინებდა აგენტების ღრმად ჩანერგვის მიზნით ჯაშუშური ოჯახური წყვილების შექმნას ამერიკის ტერიტორიაზე.

...სრულად იხილეთ ჟურნალში

მილიონერების მფრინავი სათამაშოები
ნივთიერებები, რომლებმაც შეცვალეს მსოფლიო...
როგორ ესროლა ხრუშჩოვმა ატომური რაკეტა... საბჭოთა კავშირს
ირანი საზღვაო ომისთვის ემზადება

ყველაზე კაცური ჟურნალი არა მარტო მამაკაცებისთვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსალოდნელი ტრანსფერები

# რას ფიქრობენ ლონდონში ბელამიზე?

„ტოტენჰემს" „მანჩესტერ სიტის" ფორვარდ **კრეიგ ბელამის** შეძენა სურს. მოგეხსენებათ, ისტლენდელთა თავკაც **რობერტო მანჩინის** ბელამი გულზე არ ეხატება და თუკი ამ ზაფხულს ვინმეს გაყიდის, სწორედ უელსელი იქნება. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ მას მერე, რაც მანჩინიმ ესპანელი თავდამსხმელი **დავიდ სილვა** იყიდა, „სიტი ოფ მანჩესტერ სთედიუმზე" თავდამსხმელის პრობლემა აღარც დგას - შეგახსენებთ, რომ სილვაში ისტლენდელებმა 24 მილიონი ფუნტი გადაიხადეს და ხელფასად კვირაში 140 ათასი დაუნიშნეს - რამაც ლონდონელებს ხელ-ფეხი გაუხსნა.


კრეიგ ბელამი

ბელამის გარდა, „მანჩესტერ სიტიდან" წამსვლელთა სიაში არიან **სტივენ აირლენდი, ნაიჯელ დე იონგი** და **როკე სანტა კრუსი.** აღსანიშნავია, რომ „სფურზის" თავკაც **ჰარი რედნაპს** ბელამის გარდა „რომას" ბრაზილიელი თავდამსხმელის **ჟულო ბაპტიშტას** ყიდვაც უნდა.

„ტოტენჰემის" სამეზობლოში მყოფ „არსენალს" კი პორტუგალიის ნაკრების გოლკიპერის **ედუარდოს** შეძენა მონდომებია. „სპორტინგის" კარის მცველზე ამბობდნენ, რომ „ჯენოაში" უნდა გადასულიყო, მაგრამ პორტუგალიური კლუბი, რასაკვირველია, საქმის უფრო შეძლებულ „მეთოფეებთან" დაჭერას ამჯობინებს, რომელიც წესითა და რიგით, უპრობლემოდ გადაუხდის 4,3 მილიონ ფუნტს, რაც ედუარდოს გამოსასყიდი თანხა გახლავთ.

27 წლის ედუარდომ მსოფლიოს ჩემპიონატზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, თუმცა, როგორც ამბობენ, „არსენალს" „ფულჰემის" ავსტრალიელი მეკარის **მარკ შვარცერის** ყიდვაც განუზრახავს და, თან, თუ ყველაფერი გეგმის მიხედვით წავა, ესპანელი **მანუელ ალმუნიას** დროულად გაყიდვა დასჭირდება.

**ილია ბაბუნაშვილი**

ინგლისი

# კარაგერი: კაპელო ნამდვილად ღირსია, რომ...


ჯეიმი კარაგერი, ფაბიო კაპელო და უეინ რუნი

**ჯეიმი კარაგერმა** ნაკრებში თავის დაბრუნებას ერთჯერადი აქცია უწოდა და განაცხადა, რომ ამიერიდან მთელ სულსა და გულსა „ლივერპულს" მიუძღვნის. შეგახსენებთ, რომ კარაგერს სანაკრებო ფეხბურთისთვის თავი სამი წლის დანებებული ჰქონდა, მაგრამ სამხრეთ აფრიკის მუნდიალის წინ **ფაბიო კაპელოს** თხოვნას დაჰყვა და შეჯიბრებაზე გაეშურა. კარაგერმა მსოფლიოს ჩემპიონატზე, სადაც ინგლისის ეროვნული გუნდი პირშერცხვენილი დარჩა, ორ შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა. თუმცა, ფიასკოს მიუხედავად, ვეტერანი გუნდის იტალიელ თავკაცს მაინც ამართლებს.

*„კაპელო ნამდვილად ღირსია იმისა, რომ ინგლისში თავის გამოჩენის კიდევ ერთი შანსი მივცეთ, - თქვა 32 წლის მცველმა, - მართალია, შესარჩევ თამაშებში მე არ გამოვსულვარ, მაგრამ შეუიარაღებელი თვალითაც ნათლად ჩანდა, რომ ყველაფერმა დიდებულად ჩაიარა. აი, მსოფლიოს ჩემპიონატმა კი უკვე სხვა შთაბეჭდილება დატოვა, ასე რომ, იქნებ კაპელო მართლაც არაფერ შუაშია? თუ გახსოვთ, ბობი რობსონმა 1990 წელს გუნდი იტალიაში შესანიშნავად ათამაშა, მაგრამ მანამდე, ერთი-ორ შეჯიბრებაში ციდან ვარსკვლავები არ მოუწყვეტია. წარუმატებლობა ფეხბურთის შემადგენელი ნაწილია და დიდი იმედი მაქვს, რომ სამხრეთ აფრიკაში მიღებულ გამოცდილებას ბიჭები შემდეგ ჩემპიონატზე გამოიყენებენ. ძალიან მეეჭვება ქვეყნად კაპელოს დარი მწვრთნელი ბევრი იყოს და მას თუ გავუშვებთ, უკეთესი ვინ მოგვყავს, ხომ უნდა ვიცოდეთ"?*

„ლივერპულის" ვიცე-კაპიტანმა სამწლიანი შესვენების შემდეგ ნაკრებში პირველად მექსიკის წინააღმდეგ ითამაშა. ეს გახლდათ ამხანაგური მატჩი, რომელიც ინგლისელებმა მაისის ბოლო ჩაატარეს და 3:0 მოიგეს. შემდეგ, უკვე მსოფლიოს ჩემპიონატზე, აშშ-ის ნაკრებთან პირველ შეხვედრაში, კარაგერს დაშავებული **ლედლი კინგის** შეცვლა მოუხდა, მეორედ კი ალჟირთან, სრულიად გულდასაწყვეტ შეხვედრაში ითამაშა. ბოლო ორ მატჩში მიღებულმა ყვითელმა ბარათებმა მერსისაიდელ ვეტერანს სლოვენიასთან ჯგუფის ბოლო შეხვედრის გამოტოვება აიძულა და შემდეგ მას გერმანელებთან მერვედფინალურ დაპირისპირებაშიც აღარ უთამაშია. ახლა კი, „ენფილდ როუდზე" დაბრუნებული კარაგერი ამბობს, რომ მისი მთავარი ამოცანა უკვე „წითლების" ახალი თავკაცის **როი ჰოჯსონის** გვერდით დგომა და ლივერპულელი ბიჭების დახმარებაა.

*„ნაკრებში თამაში ჩემთვის ერთჯერადი აქცია იყო. კაპელომ მითხრა, რომ ბევრი ტრავმირებული ჰყავდა და ჩემი დახმარება სჭირდებოდა. მეც, ჯერ ერთი, მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობის და მეორეც, კაპელოს ხელმძღვანელობით მუშაობის შანსი მომეცა და სიამოვნებით დავთანხმდი, თუმცა ყოველთვის ვამბობდი და ახლაც ვიმეორებ, რომ ჩემთვის უმნიშვნელოვანესი „ლივერპულია". „ენფილდზე" ახალი მწვრთნელი გვყავს და მინდა ყველა ღონე ვიხმარო, რათა მას მხარში ამოვუდგე და „ლივერპული" დავაბრუნოთ იქ, სადაც არის მისი ადგილი".*

**ილია ბაბუნაშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

იტალია

# ათი რჩევა პრანდელის

„სკუადრა აძურას" ფიასკო იტალიაში უკვე გადაიტანეს და მომავალზე დაფიქრდნენ. მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ ფიასკო იმაზე უფრო იოლად გადაიტანეს, ვიდრე ეს თავად წარმოედგინათ. ალბათ იმიტომ, რომ ეს „აძურა" თავიდანვე არ გავდა იმ გუნდს, რომელსაც რაიმე ღირებულისთვის უნდა მიეღწია. ალბათ იმიტომ, რომ ნაკრებში თაობათა ცვლის პროცესი მიმდინარეობს. თავად ის ფაქტი, რომ იტალიამ საკმაოდ სუსტ ჯგუფში ბოლო ადგილი დაიკავა, ძალიან უსიამოვნოა, მაგრამ იქნებ კიდევ უარესს გადაურჩა ჯერ კიდევ მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი? - მაგალითად, განადგურებას პრინციპულ მეტოქესთან, რომელიც იტალიურ ფეხბურთს დიდ შავ ლაქად გაჰყვებოდა. დღეს კი უბრალოდ ვამბობთ, რომ ეს არ იყო ის გუნდი, რომელსაც დიდი მიზნების მიღწევა შეეძლო და ვნახოთ, რას იზამს ჩეზარე პრანდელი. შესაძლოა იკითხოთ, როდის იყო იტალია დიდი ანგარიშით აგებდაო, მაგრამ გვერწმუნეთ, ამ გუნდს არც გამანადგურებელი ანგარიშით წაგება გაუჭირდებოდა. სადაც სლოვაკებთან გაუშვეს ერთბაშად სამი ბურთი, ხოლო მთლიანობაში ხუთი, იქაც ერთი იმდენს გაუშვებდნენ მართლა მაღალი კლასის მოწინააღმდეგესთან. თუმცა, ეს ყველაფერი იმას არ ნიშნავს, რომ იტალიას პოტენციალი არ აქვს - აქვს და საკმაოდ დიდი, მაგრამ ამას სწორი გამოყენება სჭირდება. აპენინელმა ჟურნალისტებმა ჩამოთვალეს ის ათი პირობა, რომელიც უნდა შესრულდეს, რათა „სკუადრა აძურამ" ძველი დიდება დაიბრუნოს.


ჩეზარე პრანდელი

## 1. ახალ მწვრთნელს მიეცეს სამუშაო დრო

ბოლო თხუთმეტ წელიწადში მხოლოდ ჯოვანი ტრაპატონის ჰქონდა იმის საშუალება, რომ მთელი ოთხი წლის განმავლობაში ყოფილიყო იტალიის ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელი. ოთხი წელი ლიპიმაც იმუშავა, მაგრამ მისი პერიოდი ორ ნაწილად იყოფა და შესაბამისად, ტრაპატონის გვერდზე ვერ დავაყენებთ. ანუ, იტალიაში მწვრთნელს მხოლოდ ორი წელი ეძლევა იმისთვის, რომ მაქსიმალური შედეგი მოიმკას, რაც თავისთავად, ურთულესი საქმეა. გავიხსენოთ **ლუის არაგონესი**, რომელიც მუნდიალზე ვერას გახდა ესპანეთის ნაკრებთან ერთად, თუმცა ევროფორუმზე ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. ვინ იცის, **რობერტო დონადონისაც** რომ დასცლოდა, იქნებ „აძურას" გაცილებით უკეთ ეასპარეზა მსოფლიოს მიმდინარე ჩემპიონატზე. თანაც, დღეს იტალიის ნაკრებში თაობათა ცვლის პროცესი მიმდინარეობს და პრანდელის დიდი დრო უნდა მიეცეს, რომ მაღალი მიზნებისთვის მებრძოლი გუნდი გააკეთოს.

## 2. შეიქმნას მწვრთნელთა საბჭო

აუცილებლად უნდა შეიქმნას მწვრთნელთა საბჭო, რომელიც გავლენას მოახდენს მთავარი მწვრთნელის გადაწყვეტილებებზე. ნათლად გამოჩნდა, რომ არ შეიძლება მთელი ქვეყანა მხოლოდ ერთ ადამიანს შეჰყურებდეს და მისი სიტყვა განხილვას არ ექვემდებარებოდეს. ბოლოს და ბოლოს, ხომ შეიძლება იმ ერთ ადამიანს ისევე დაუდგეს ცუდი დროება, როგორც ხშირად ფეხბურთელებს ემართებათ ხოლმე? - ამიტომ, აუცილებელია შეიქმნას მწვრთნელთა საბჭო, რომელიც აქტიურად იმუშავებს და ამ შემთხვევაში, პრანდელის, როგორც მინიმუმ, რჩევებს მიაწვდის. ამასთან, უნდა დაისვას იმ პირთა პასუხისმგებლობის საკითხი, რომელთა მუშაობამ მხოლოდ უარყოფითი შედეგი გამოიღო. მარჩელო ლიპი წავიდა და ურიგო არ იქნება თუ მის ბედს ფედერკალჩოს მაღალჩინოსნებიც გაიზიარებენ.

## 3. ფანტაზისტა

იტალიის ნაკრებს ყოველთვის ჰყავდა ერთი ისეთი ფეხბურთელი, რომელსაც თამაშის საკუთარ თავზე აღება შეეძლო. თუნდაც **რობერტო ბაჯო** გავიხსენოთ, ფრანჩესკო ტოტი, ანაც ალესანდრო დელ პიერო. შესაძლოა, ვერც „პუპონემ" და ვერც „პინტურიკიომ" ისე ვერ გაიბრწყინეს, როგორც მაგიურმა ცხენისკუდამ, მაგრამ თავისი გასაკეთებელი მაინც გააკეთეს. ფანტაზისტა, გნებავთ ათიანი იტალიაში თითქოს ტრადიციაა, რომლის დარღვევა **მარჩელო ლიპიმ** სცადა და სრული კრახი განიცადა. საერთოდ რომ არ იყოს აპენინებზე ასეთი ტიპის ფეხბურთელი, ხმას არავინ ამოიღებდა, მაგრამ მან სახლში დატოვა **ანტონიო კასანო**, რომელსაც ამ როლის შესრულება ნამდვილად შეეძლო. დაახლოებით ანალოგიური რამ გააკეთა თავის დროზე კიდევ ერთმა დიდმა მწვრთნელმა **არიგო საკიმ** და თუ რა მოიმკა ამით, ისიც კარგად გვახსოვრებათ. რობერტო ბაჯოს სახლში დატოვება, იტალიას ევროპის 1996 წლის ჩემპიონატზე ჯგუფურ ეტაპზე ჩარჩენად დაუჯდა. ტრადიცია უნდა აღდგეს და თანაც აუცილებლად.

## 4. უარი წარსულ დამსახურებებს

იტალიამ უკვე მეორედ წაიმტვრია ცხვირი იმის გამო, რომ წარსული დამსახურებების გამო, ნაკრებში ადგილი ვეტერან ფეხბურთელებს ერგოთ. გავიხსენოთ 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი და ლეგენდარული **პაოლო მალდინი**, რომელსაც მერვედფინალურ ეტაპზე, სამხრეთკორეელი **იუნ ხვან ანი** აუხტა და თავური დარტყმით, იტალია მუნდიალს გამოამშვიდობა. იმ ჩემპიონატზე პაოლომ არადამაჯერებლად იასპარეზა და ის წაგებული ორთაბრძოლაც თითქოს ამ ყველაფრის ლოგიკური დასასრული იყო. დაახლოებით ანალოგიური რამ მოხდა **ფაბიო კანავაროსთან** დაკავშირებით, რომელმაც სამხრეთ აფრიკის მუნდიალზე არაერთი შეცდომა დაუშვა. სწორედ მის შეცდომებს მოჰყვა გოლები, რომლებიც იტალიელებმა პარაგვაისთან და ახალ ზელანდიასთან გაუშვეს. ვერც სლოვაკებთან პაექრობაში იდგა მოწოდების სიმაღლეზე და ეს იქიდანაც ჩანს, რომ „აძურამ" სამივე გოლი ცენტრალური ზონიდან გაუშვა. ეს ყველაფერი აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს პრანდელიმ და მხოლოდ წარსული დამსახურების გამო, ფეხბურთელს არ ანდოს ადგილი ძირითად შემადგენლობაში.

## 5. ნაკლები ექსპერიმენტი

მარჩელო ლიპიმ ძალიან ბევრი ფეხბურთელი გამოსცადა ამხანაგურ თუ ოფიციალურ შეხვედრებში და ვფიქრობთ, ბოლოს თვითონვე აირია. არაერთი ფეხბურთელი ათამაშა თხუთმეტი წუთით, ნახევარი საათით ან თუნდაც ერთი ტაიმის განმავლობაში - დღევანდელი გადასახედიდან, ძნელი ასახსნელია, რას ემსახურებოდა ყოველივე ეს. შეგვიძლია გავიხსენოთ კიდევ ასეთი ფეხბურთელები, მაგალითად: **მატია კასანი, სალვატორე ბოკეტი, ანტონიო კანდრევა**. ვფიქრობთ, მთავარმა მწვრთნელმა დაახლოებით 30 ფეხბურთელი უნდა გამოარჩიოს, საიდანაც შეავსებს განაცხადს - ამხანაგური შეხვედრები კი უფრო ფეხბურთელთა შესათამაშებლად, გუნდის დასაყენებლად უნდა გამოიყენოს, ვიდრე ახალი ფეხბურთელების გამოსაცდელად. ეს იმას არ ნიშნავს, რომ სასელექციო პროცესი უნდა შეჩერდეს, მაგრამ ლიპიმ ამ მხრივ, აშკარად გადაამლაშა, ძნელი ასახსნელია, რა უნდა დაინახო ასეთი თხუთმეტ წუთში, რომ მოთამაშეზე უარი თქვა.

## 6. იტალიელი ფეხბურთელები საზღვარგარეთ

ბოლო ორ მუნდიალზე, „სკუადრა აძურა" გახლდათ ერთადერთი გუნდი, სადაც არც ერთი ლეგიონერი არ ირიცხებოდა. 2002 წელსაც ანალოგიური ვითარება იქნებოდა, რომ არა **ფრანჩესკო კოკო** და მისი საიჯარო ხელშეკრულება „ბარსელონასთან". ლიპის შეეძლო მუნდიალზე წაეყვანა **ჯუზეპე როსი**, რომელიც „ვილიარეალში" ირიცხება, თუმცა ბოლო მომენტში მასზე უარი განაცხადა. ვფიქრობთ, ურიგო არ იქნება თუ იტალიის ნაკრების თავკაცი უფრო მეტ ყურადღებას დაუთმობს უცხოეთში მოასპარეზე ფეხბურთელებს. მოთამაშე, რომელიც სხვა ქვეყანაში ასპარეზობს, ბევრ ახალს სწავლობს, ეს კი ნაკრების თამაშს უფრო მრავალფეროვანს და საინტერესოს გახდის. თუ ნაკრების მწვრთნელი უფრო მეტ ყურადღებას მიაქცევს ლეგიონერებს, იტალიელი ფეხბურთელები უფრო აქტიურად წავლენ სათამაშოდ საზღვარგარეთ.

## 7. ლეგიონერთა შემცირება იტალიურ გრანდებში

განვლილ სეზონში, „ინტერმა" ისე მოიგო სამი ტურნირი, რომ ძირითად შემადგენლობაში არც ერთ იტალიელ ფეხბურთელს არ უწევდა თამაში. ბოლო შეხვედრებში **მარკო მატერაცმ** მიიღო მონაწილეობა, **მარიო ბალოტელიმაც** მოასწრო თავის გამოჩენა, მაგრამ მთლიანობაში, ეს მაინც ზღვაში წვეთი გახლდათ. ამ მხრივ, სხვა გუნდებში უკეთესი მდგომარეობაა, მაგრამ არა იდეალური. ფაქტია, რომ ბრაზილიელი და არგენტინელი ფეხბურთელების დიდი ნაკადი ხელს უშლის ადგილობრივი ფეხბურთელების განვითარებას. ძალიან კარგი მცველია **დავიდე სანტონი**, რომელსაც დიდი ფეხბურთის თამაში შეუძლია, მაგრამ ღრმა თადარიგში უწევს ყოფნა. ვინ იცის, რომ არა **დუგლას მაიკონი**, დღეს მსოფლიო დონის ვარსკვლავი ყოფილიყო და საკუთარ ქვეყანას მუნდიალზე გამოსდგომოდა.

## 8. საკუთარი სკოლის აღზრდილების წინა პლანზე წამოწევა

ეს თემა ზემოთ ნათქვამის გაგრძელებაა. ანუ, უნდა შემცირდეს ლეგიონერები და მეტი ყურადღება მიექცეთ საკუთარი სკოლის აღზრდილებს. ამაზე კლუბებთან ერთად, ფედერკალჩომაც" უნდა იზრუნოს. მუდმივად ისმის საუბრები იმის შესახებ, რომ კლუბებმა გარკვეული ლიმიტი უნდა დააწესონ ლეგიონერებზე, თუმცა ამის საქმედ ქცევა ერთობ რთული ამბავია. ეს შეიძლება შეფასდეს დისკრიმინაციად, რადგან ჩვენ გლობალიზაციის ეპოქაში ვცხოვრობთ. ამიტომ, ურიგო არ იქნება თუ ფედერკალჩო გარკვეულ პრემიალურებს დააწესებს და თითოეულ იმ ფეხბურთელზე გადაუხდის კლუბს, რომელიც საკუთარი სკოლის აღზრდილია და მთავარ გუნდში ასპარეზობს. ეს ერთგვარი წახალისება იქნება იმის, რომ კლუბების მესვეურები უფრო მეტად იყვნენ დაინტერესებული სკოლის აღზრდილი ფეხბურთელების მთავარ გუნდში გადაყვანით.

## 9. უფრო ახლო ურთიერთობა ნაკრების მწვრთნელსა და კლუბებს შორის

მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე, მარჩელო ლიპიმ ტურნე დაგეგმა და იტალიური კლუბების ბაზებს ესტუმრა. თუმცა, საყოველთაოდ ცნობილია, რომ მხოლოდ რამდენიმე კლუბს ესტუმრა. თანაც, ეს მხოლოდ ერთხელ გააკეთა ორწლიანი მუშაობის პერიოდში. აშკარაა, რომ ნაკრების მწვრთნელს კიდევ უფრო ახლო ურთიერთობა უნდა ჰქონდეს კლუბებთან და გუნდების მწვრთნელებთან, რომლებმაც ყველაზე უკეთ იციან, როგორ ფორმაშია ესა თუ ის ფეხბურთელი. საერთოდაც, მწვრთნელმა უფრო მეტად უნდა მიაქციოს ყურადღება იმას, თუ როგორ ასპარეზობს ფეხბურთელი თავის გუნდში, ვიდრე ამას ლიპი აკეთებდა. მან მუნდიალის სამივე შეხვედრაში ათამაშა ვინჩენცო იაკვინტა, რომელსაც პრაქტიკულად მთელი სეზონი გაუცდა. საქმისადმი ასეთმა მიდგომამ განაპირობა „აძურას" ფიასკო.

## 10. უფრო მეტი კოორდინირება ახალგაზრდულ ნაკრებთან

ბოლო წლებში, იტალიის ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებები რადიკალურად განსხვავებულ ფეხბურთს თამაშობენ, როგორც ტაქტიკურ, ისე სტრატეგიულ ასპექტში. წლების განმავლობაში, **პიერლუიჯი კაზირაგი** კლასიკურ 4-4-2 სქემას იყენებდა, მაშინ როდესაც ლიპი 4-3-2-1-ს ანიჭებდა უპირატესობას. ამასთან, მარჩელო თითქმის არ აქცევდა ყურადღებას იმ ფეხბურთელებს, რომლებიც ახალგაზრდულ გუნდში წარმატებით ასპარეზობდნენ. მაგალითად: **სებასტიან ჯოვინკოს, რობერტ აკვაფრესკას, მარკო მოტას...** არადა, ბევრ ქვეყანაში ეროვნული და 21-წლამდელთა ნაკრებები ერთი ტაქტიკური მოდელით ასპარეზობენ, რათა ახალგაზრდა ფეხბურთელმა უფრო იოლად შეძლოს ადაპტირება ქვეყნის მთავარ გუნდთან. ამის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი ესპანეთია, სადაც ყველა ასაკობრივი ნაკრები ერთი სქემით ასპარეზობს. სწორედ ამის შედეგია ის, რომ **ვისენტე დელ ბოსკეს** გუნდში მოასპარეზე ფეხბურთელთა უმეტესობა ასაკობრივი ნაკრებებიდან ერთად მოდიან. ვფიქრობთ, ფედერკალჩომ ამ კუთხით ბევრი უნდა იმუშავოს.

**ლაშა ნიკლაური**

სიახლე თიაქრის მკურნალობაში







საყლაპავის და მუცლის თიაქრების
მკურნალობა ლაპარასკოპული მეთოდით
კონსულტაცია უფასოა
მედ. მეც. დოქტორი თენგიზ ჩართოლანი
ტელ: 77-19-06; 899 56-13-71; 33-78-74 (სახლი)
ჯანმრთელობის სახლი, „არამიანცის" საავადმყოფო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინიციატივა

# მსოფლიო მნიშვნელობის ექსპერიმენტი: ვიდეორეფერი საქართველოში გამოიცდება?

სამხრეთ აფრიკაში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატზე მსაჯების დაშვებულმა უმძიმესმა შეცდომებმა ვიდეომსაჯის აუცილებლობა თვალსაჩინო გახადა.

ვიდეომსაჯი დროულად რომ დაემონტაჟებინათ, ჯერ კიდევ მსოფლიო პირველობის შესარჩევ პლეი ოფში **ტიერი ანრის** მიერ ირლანდიის კარში ხელით შეტანილ ბურთს გოლად არ ჩათვლიდნენ, ირლანდიასთან საქართველოს ნაკრებს უმიზეზოდ პენალტს არ დაუდებდნენ, სამხრეთ აფრიკაში არგენტინას მექსიკასთან **კარლოს ტევესის** თამაშგარედან გატანილ პირველ გოლს არ ჩაუთვლიდნენ, ინგლისს გერმანიასთან მეორე ბურთს არ გაუუქმებდნენ და ა.შ.

ფეხბურთის მთავარი არსი გამარჯვებულის სამართლიანად გამოვლენაა, რასაც ხელს „მსაჯის შეხედულება" ხშირად უშლიდა, უშლის და ყოველთვის შეუშლის, რადგან ძველი წესის მომხრეთა არგუმენტები არადამაჯერებელია და ვერ აბათილებს ეჭვებს, რატომ არ უნდა დაინერგოს ვიდეომსაჯი და რატომ უნდა გაგრძელდეს „შავოსანთა" „შეცდომები".

ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს მოსაზრება, თითქოს ფეხბურთის ხიბლი ადამიანური შეცდომებია. ადამიანურია სასამართლოც, კანონმდებლობაც, მაგრამ ფეხბურთის და ფიფას გარდა, არსად წერია, რომ დავა განმსჯელის (ამ შემთხვევაში, მსაჯის) შეხედულებისამებრ გადაწყდეს.

მსოფლიო იურისპრუდენციის „ფილტრში" რომ გავატაროთ, ფიფას კანონმდებლობიდან მსგავსი მრავალი „შედევრი" ამოტივტივდება. ყველა კანონი და დებულება მკაფიოდ განსაზღვრული არაა.

რეალურად ყველა ხვდება, რომ მსაჯის ეს „შეხედულება" იარაღია, რომელიც ნებისმიერ დროს სასურველი მიმართულებით არასასურველის წინააღმდეგ გამოიყენება. რატომ უნდა ივარაუდოს მსაჯმა, ბურთმა კარის ხაზი გადაკვეთა თუ არა, როდესაც ვიდეოგანმეორება უზუსტეს პასუხს გვაძლევს? ესეც მსაჯის „შეხედულებისამებრ" რომ წყდება, ფეხბურთში სამართლიანობის განცდა ამიტომაც დაიკარგა.

ან რა ლოგიკა სჭირდება იმას, რომ ყველაფერი ძველებურად, უსამართლოდ აღარ უნდა წყდებოდეს და რომ, ვიდეორეფერი და სამართლიანი გადაწყვეტილება უსამართლოს და სუბიექტურს ბევრად სჯობია და ვილაცებს მანიპულაციის საშუალებას უსპობს.

შესაძლებელია, მთელ მსოფლიოში წამოწყებულ დისკუსიას წერტილი საქართველოში დაესვას და პირველი ვიდეომსაჯი საქართველოს ჩემპიონატში დაინერგოს.

ეს სენსაციური განცხადება გაზეთ „ლელოსთან" ინტერვიუში ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ზვიად სიჭინავამ** გააკეთა.

- ფიფა-უეფასთან მოლაპარაკება დავიწყეთ და ჩვენი დიდი სურვილია, ვიყოთ პირველი ქვეყანა არა მხოლოდ ევროპაში, არამედ, მთელ მსოფლიოშიც, სადაც ექსპერიმენტის სახით, ვიდეომსაჯი დაინერგება.

თუკი „ლოკომოტივის" სტადიონი გადმოგვეცემა, ჩვენი პირველი ნაბიჯი სტადიონზე ვიდეომსაჯის დამონტაჟება იქნება. ვფიქრობ, ეს იქნება მნიშვნელოვანი მოვლენა არა მხოლოდ ეროვნული ჩემპიონატისთვის, არამედ, მსოფლიო ფეხბურთისთვისაც.

სამხრეთ აფრიკაში გამართულ ფიფას VI კონგრესზე უეფამ პირველ საკითხად კარის უკან მსაჯების დამატების საკითხი გამოიტანა, მაგრამ ფიფას პრეზიდენტი ბლატერი წამოწყების წინააღმდეგ წავიდა. არადა, რომ დათანხმებულიყო, სამხრეთ აფრიკაში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატზე ამდენ შეცდომას არ დაუშვებდნენ.

**- ეს ექსპერიმენტი მხოლოდ „ლოკომოტივს" სტადიონზე დაინერგება, თუ უმაღლესის ყველა მატჩში გამოიყენებთ?**

- ჯერ ორ შეხვედრას „ლოკომოტივზე" ვსინჯავთ, თუმცა უეფას თანხმობას ველით. უეფაში წერილები გაგზავნილია, მათ წარმომადგენელს ველაპარაკე და პასუხს უახლოეს პერიოდში გამოგზავნიან.

ინფრასტრუქტურა

# მერია ლოკომოტივს ფედერაციას გადასცემს


მიხეილ მესხის სახელობის სტადიონი

**შვიდი** წლის წინ, როდესაც რკინიგზის დეპარტამენტის მაშინდელი ხელმძღვანელი აკაკი ჩხაიძე პოსტიდან გაათავისუფლეს, ფეხბურთის ფედერაციის ძველმა ხელმძღვანელობამ „ლოკომოტივის" სტადიონის შესყიდვა მოისურვა. ასე სტადიონის მოვლა-პატრონობა გაცილებით ეფექტური უნდა გამხდარიყო.

მას შემდეგ სახელმწიფოსა და ფედერაციას შორის მუდმივად „მოლაპარაკება მიმდინარეობდა", რაც რეალურად იმას ნიშნავდა, რომ არანაირი მოლაპარაკება არ იყო და რომ ფედერაცია მხოლოდ სახელმწიფოს კეთილ ნებას ელოდა.

სტადიონმა მეპატრონე რამდენჯერმე შეიცვალა, ახლა „მიხეილ მესხი" თბილისის მერიის საკუთრებაშია და რეკონსტრუქცია სჭირდება. გუშინ ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ ფედერაციის პრეზიდენტი ზვიად სიჭინავა თბილისის მერ გიგი უგულავას შეხვდა და საკითხი ფაქტობრივად, გადაწყვეტილია - „ლოკომოტივის" სტადიონი ფედერაციას მალე ოფიციალურად დაუმტკიცდება.

ინფორმაცია ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ზვიად სიჭინავასთან გადავამოწმეთ და სხვა მნიშვნელოვან თემებსაც შევეხეთ.

**- ბატონო ზვიად, როგორც გავიგეთ, სტადიონის ფედერაციისთვის გადაცემა ფაქტობრივად გადაწყვეტილია...**

- გადაწყვეტილი როგორ არის... მუშაობა მიმდინარეობს და ვფიქრობთ, სახელმწიფოც წინააღმდეგი არ არის, რომ სტადიონი ფედერაციას გადაეცეს და ევროპულ სტანდარტებამდე მივიყვანოთ. იმედია, ეს ყველაფერი უახლოეს დღეებში გადაწყდება.

**- სტადიონის გადაცემის შემდეგ, რა სამუშაოებს გეგმავთ?**

- სტადიონს მთლიანი რეკონსტრუქცია სჭირდება და „მიხეილ მესხის" არენა ძალიან მაღალი დონის უნდა იყოს. გასაგებია, რომ ის ეროვნული სტადიონის სტატუსს ვერასდროს მიიღებს, მაგრამ ქვეყანაში მხოლოდ ერთი მაღალი დონის არენა ხომ არ იქნება, ასაკობრივმა ნაკრებებმა სწორედ „ლოკომოტივზე" უნდა ითამაშონ.

**- სტადიონის რეკონსტრუქციას ფიფა-უეფას გრანტებით აპირებთ?**

- სტადიონის გადმოცემის შემთხვევაში, სახელმწიფოს არ შევაწუხებთ, მოვიძიებთ ინვესტიციებს და ახალ პროგრამას დავწერთ, ფიფამ და უეფამ გრანტები რომ გამოგვიყონ. ანუ ეს იქნება კომერციული და არა სახელმწიფო პროექტი. თუმცა, სტადიონს თბილისის მერი გვითმობს და ეს უკვე მის კეთილ ნებას ნიშნავს.

**- სტადიონის რეკონსტრუქციის დასრულება როდისთვის იგეგმება?**

- შევადგენთ სამუშაოების გრაფიკს, როდის რა უნდა გაკეთდეს - ჩვენ მთლიანი რეკონსტრუქცია გვსურს. თუმცა, მოედანი მზად უკვე ოქტომბრისთვის უნდა იყოს, რადგან თბილისში 17-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მატჩებს ვუმასპინძლოთ. მოედანზე მუშაობა ისედაც დიდი ხანია მიმდინარეობს და ნამდვილად აღარ ჰგავს იმ ყანას, ირლანდიის ახალგაზრდულ ნაკრებთან მოგებაში ხელი რომ შეგვიშალა.

**- გუნდების განსახელმწიფოებრიობის შედეგი მოულოდნელია - ერთ თვეში ოთხი გუნდი, - „ტორპედო", „სიონი", „ბაია" და „კოლხეთი" კერძო სექტორმა აიყვანა. პროცესი ამით დასრულებულია?**

- არა, რატომ, ახლა რიგში თელავის „კახეთია". ჯერ კონკრეტულ კომპანიას ვერ დავასახელებ, მაგრამ უკვე გეგმაც შედგენილია, რომ თელავის სტადიონის რეკონსტრუქცია 2011 წლისთვის დასრულდეს.

**- უმაღლეს ლიგაში სახელმწიფო საკუთრებაში ცხინვალის „სპარტაკი" და „სამტრედია" რჩებიან - მათი მდგომარეობა უიმედოა?**

- არა მგონია. იმედია, ეროვნული ჩემპიონატის დაწყებამდე ამ პრობლემასაც მოვაგვარებთ. ბოლო დროს რეგიონებში ხშირად დავდივარ და ადგილობრივ ხელისუფლებას შევხვდები, რათა მთელი ქვეყნის მასშტაბით, ბავშვთა ფეხბურთის განვითარება დაიწყოს. სანამ არ იქნება ნორმალური მოედნები, ძლიერი თაობა ვერ წამოვა. სხვათა შორის, აგვისტოში პლაჟის ფეხბურთის ტურნირის გამართვას ბათუმსა და ქობულეთში ვაპირებთ. ამას გარდა, სპორტისა და ახალგაზრდობის ახალ მინისტრ ლადო ვარძელაშვილს, ანაკლიის მიდამოებში საფეხბურთო ინფრასტრუქტურის მოწყობაზე უნდა ველაპარაკოთ. ანაკლიასა და განმუხურში უდიდესი სამუშაოებია ჩატარებული და სერიოზული ტურნირების ჩატარებაა შესაძლებელი. 31 აგვისტოს საქართველოს მიშელ პლატინი ესტუმრება და სახელმწიფოსთან განხორციელებული და სამომავლო პროექტები უნდა დავახვედროთ. ჩვენი სურვილია, უეფას დახმარებით, ანაკლიაში სერიოზული პროექტი განვახორციელოთ. ჩვენი ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი, ზღვისპირა რეგიონებში, სამეგრელოში, გურიასა და აჭარაში უმაღლესი დონის საფეხბურთო ინფრასტრუქტურის მოწყობაა, ფეხბურთით საქართველოს შავიზღვისპირეთიც რომ დაიტვირთოს. ანაკლიაში აფხაზეთის კლიმატია, ნალექი მცირეა და ეს სავსებით შესაძლებელია. 15 ივლისს კი ფედერაციაში მოვიწვევთ საზოგადოებას და ეს იქნება ანგარიში მათ წინაშე, თუ რა იყო ფედერაციაში ჩვენი მისვლის დროს და რა გავაკეთეთ ამ ექვს თვეში.

საქართველოს ჩემპიონატი
I წრის კალენდარი



# ყვითლები ცალ-ცალკე დაითვლება

გუშინ პროფესიული ფეხბურთის ლიგის ოფისში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის კალენდრის კენჭისყრა გაიმართა. საშეჯიბრო კომიტეტის ხელმძღვანელმა **ნოდარ კაკულიამ** კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ პირველობა ოთხ წრედ გაიმართება: პირველი ეტაპი იწყება 6-7 აგვისტოს და მთავრდება 12 დეკემბერს. მეორე ეტაპის პირველი ტური 12-13 თებერვალს ჩატარდება და 27 მაისს ჩემპიონატი მთავრდება. მოგეხსენებათ, დიდთოვლობის გამო, თებერვალში რამდენიმე მატჩი გადაიდო და ამ პერიოდში ჩემპიონატის განახლება მიზანშეუწონლად ჩაითვალა - თებერვალში სტადიონები მოუმზადებელია, ბალახის საფარი არასასურველ მდგომარეობაშია და გამოითქვა მოსაზრება, რომ მეორე ეტაპი თებერვლის ბოლოს ან მარტის დასაწყისში დაწყებულიყო.

კაკულიას თქმით, ეს შეუძლებელი აღმოჩნდა, რადგან მარტში სანაკრებო შეკრებებია დაგეგმილი და დროს ვერ დაკარგავენ, რადგან ახალ ჩემპიონატში 36 ტურია გასამართი. მჭიდრო გრაფიკი კი ამხელა პაუზის უფლებას არ ტოვებს - სანაკრებო შეკრებების გამო კი, ფაქტობრივად, თვე-ნახევარზე მეტი უქმეა. თუმცა, ეს ფაქტია, რომელსაც ვერაფერი შეცვლის.

კაკულიას თქმით, კალენდარი I-III და II-IV წრეებში იდენტური იქნება, როგორც ეს ზოგადად ბერგერის სისტემითაა გათვალისწინებული. მნიშვნელოვანი ცვლილება ის, რომ საქართველოს ჩემპიონატზე და თასზე ამიერიდან ყვითელი ბარათები დაითვლება არა ერთად (როგორც ადრე იყო), არამედ ცალ-ცალკე. ეროვნულ თასზე, მოთამაშე შეხვედრას ორი ყვითელი ბარათის შემდეგ გამოტოვებს, ჩემპიონატში კი - სამის შემდეგ.

გვერდი მოამზადა
**მერაბ მამულაშვილმა**

## I წრე

### I ტური

დინამო (თბილისი)-სპარტაკი (ცხინვალი)
ზესტაფონი (ზესტაფონი)-ტორპედო (ქუთაისი)
ოლიმპი (რუსთავი)-ვიტ ჯორჯია (თბილისი)
ბაია (ზუგდიდი)-სიონი (ბოლნისი)
კოლხეთი (ფოთი)-სამტრედია (სამტრედია)

### II ტური

სპარტაკი-სამტრედია
სიონი-კოლხეთი
ვიტ ჯორჯია-ბაია
ტორპედო-ოლიმპი
დინამო-ზესტაფონი

### III ტური

ზესტაფონი-სპარტაკი
ოლიმპი-დინამო
ბაია-ტორპედო
კოლხეთი-ვიტ ჯორჯია
სამტრედია-სიონი

### IV ტური

სპარტაკი-სიონი
ვიტ ჯორჯია-სამტრედია
ტორპედო-კოლხეთი
დინამო-ბაია
ზესტაფონი-ოლიმპი

### V ტური

ოლიმპი-სპარტაკი
ბაია-ზესტაფონი
კოლხეთი-დინამო
სამტრედია-ტორპედო
სიონი-ვიტ ჯორჯია

### VI ტური

სპარტაკი-ვიტ ჯორჯია
ტორპედო-სიონი
დინამო-სამტრედია
ზესტაფონი-კოლხეთი
ოლიმპი-ბაია

### VII ტური

ბაია-სპარტაკი
კოლხეთი-ოლიმპი
სამტრედია-ზესტაფონი
სიონი-დინამო
ვიტ ჯორჯია-ტორპედო

### VIII ტური

სპარტაკი-ტორპედო
დინამო-ვიტ ჯორჯია
ზესტაფონი-სიონი
ოლიმპი-სამტრედია
ბაია-კოლხეთი

### IX ტური

კოლხეთი-სპარტაკი
სამტრედია-ბაია
სიონი-ოლიმპი
ვიტ ჯორჯია-ზესტაფონი
ტორპედო-დინამო



ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული დიასპორა ფეხბურთის სამსახურში

# უცნობი ქართველები ტოტენჰემში, პანათინაიკოსსა და ლოკომოტივში

1 ივლისს დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე **ნიკოლოზ ავალიანმა** და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ზვიად სიჭინავამ** ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერეს ხელი.

მემორანდუმი საზღვარგარეთ მცხოვრები, ნიჭიერი ახალგაზრდა ქართველი ფეხბურთელების მოძიებას (15, 16, 17 წლის ასაკობრივ ჯგუფებში), შერჩევასა და საქართველოს სხვადასხვა ასაკის ნაკრებში ჩამოყვანას ითვალისწინებს. ფეხბურთის ფედერაცია კი ვალდებულია, ინფორმაცია გამოიყენოს და გადაამუშაოს.

მემორანდუმზე ხელმოწერის შემდეგ ნიკოლოზ ავალიანმა ზვიად სიჭინავას ევროპაში მცხოვრები ახალგაზრდა ფეხბურთელების სია გადასცა, რომელთაც აქვთ სურვილი, მათი ნიჭი და გამოცდილება საქართველოს სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებ გუნდებს მოახმარონ.

ფედერაციის პიარმენეჯერმა **თათია ბურდულმა** არა მხოლოდ სია, არამედ, ამ ბავშვების კლუბებიც გაგვაცნო:

1. **გიორგი მაისურაძე** (ესპანეთი, ბარსელონას საფეხბურთო სკოლა); 2. **ლუკა ჰუფნაგელი** (გერმანია, „ბაიერნის" 17-წლამდელთა გუნდი); 3. **ლუკა ჩხაიძე** (გერმანია, „მიუნხენ1860" 17-წლამდელთა გუნდი); 4. **სანდრო ჰუფნაგელი** (გერმანია, მიუნხენის „ჰალკირხენი"); 5. **დიმიტრი ზუკაკიშვილი** (გერმანია, მიუნხენის „ჰერაკლესი"); 6. **ომარ ნარსია** (გერმანია, მიუნხენის „ჰერაკლესი"); 7. **რეზო ნარსია** (გერმანია, მიუნხენის „ჰერაკლესი"); 8. **ლუკა ძიძიგური** (ავსტრია, ინსბრუკის „ტიროლის" საფეხბურთო აკადემია); 9. **სანდრო ბარამიძე** (ბელგია); 10. **ნიკა ბარამიძე** (ბელგია); 11. **გიორგი მეგრელიძე** (ბელგია); 12. **თორნიკე მეგრელიძე** (ბელგია); 13. **ჯაბა პეტრიაშვილი** (ბელგია); 14. **ზურა ყაველაშვილი** (ბელგია); 15. **მერაბ ჭითანავა** (ბელგია); 16. **გურამ მეტრეველი** (ბელგია); 17. **ავთანდილ პატარაია** (შვეიცარია, ლუგანოს „რაპიდი"); 18. **ერიკ ჩარკვიანი** (საბერძნეთი, „პანათინაიკოსი" დუბლები, 18 წლის); 19. **რევაზ ბერძენაძე** (საბერძნეთი, 13 წლის „აპოლონის" სკოლაში); 20. **გიორგი ბულისკირია** (რუსეთი, ნახევარმცველი პლეიმეიკერი, 1989-წლიანი, თამაშობდა „ხიმკისა" და მოსკოვის „ლოკომოტივის" დუბლებში); 21. **გიგა თეიმურაზი** (რუსეთი, სმოლენსკის „დნეპრის" ძირითადი შემადგენლობა); 22. **გიორგი მიქაძე** (უკრაინა, გუნდი უცნობია); 23. **ჯაბა მამამთავრიშვილი** (უკრაინა, „არსენალი 93-ის" მეკარე); 24. **გოგა კირვალიძე** (უკრაინა, „არსენალის" ასაკობრივი გუნდი, ცენტრალური ნახევარმცველი, 19 წლის); 25. **ვასიკო ბაჩიაშვილი** (უკრაინა, „არსენალის" 19-წლამდელები); 26. **იოსებ ლომიძე** (ინგლისი, 17 წლის, „ტოტენჰემის" 17-წლამდელები); 27. **რომან მკერვალიძე** (საბერძნეთი, 15 წლის, საფეხბურთო კლუბი „ფინიკია").

ალსანიშნავია, რომ ბელგიის სხვადასხვა კლუბში 8 ფეხბურთელი ვარჯიშობდა, მაგრამ ბრიუსელში ქართველმა სპეციალისტმა **გია მეტრეველმა** ისინი შეკრიბა და 13-18 წლის ბიჭებს (**სანდრო** და **ნიკა ბარამიძეები, გიორგი** და **თორნიკე მეგრელიძეები, ჯაბა პეტრიაშვილი, ზურა ყაველაშვილი, მერაბ ჭითანავა, გურამ მეტრეველი**) ერთად ავარჯიშებს.

ბურდულის თქმით, ამ ფეხბურთელებთან ურთიერთობა ფედერაციის ტექნიკურ დეპარტამენტსა და ნაკრებების მწვრთნელებს დაევალათ და შესაძლებელია, მათი ახლოს გაცნობის მიზნით, ვიზიტებიც დაუგეგმონ. **კობა ჟორჟიკაშვილმა** ჰუფნაგელი და ჩხაიძე სწორედ ასე შეარჩია.

ალმოჩნდა, რომ დიასპორის სამინისტრო ისლამურ ქვეყნებში საკმაოდ მრავალ ტექნიკურ პრობლემას წააწყდა. მაგალითად, ირანში საკმაოდ ბევრია წარმოშობით ქართველი. თავადაც სურთ საქართველოს სახელით ასპარეზობა, მაგრამ ირანის კანონმდებლობით, საზღვარგარეთის პასპორტი არასრულწლოვანებზე არ გაიცემა. მათ ჯერ სავალდებულო სამხედრო სამსახური უნდა მოიხადონ, ეს კი ფეხბურთელთა ჩამოყვანას ხელს უშლის.

**მერაბ მამულაშვილი**



მათე ლვინიანიძე და ლუკას ჰუფნაგელი

ფუტსალი

# უკრაინელი მწვრთნელითა და ბრაზილიელებით

6 ივლისს უეფას შტაბბინაში უეფას ფუტსალის ლიგის წილისყრა გაიმართება, რომელზეც გათამაშების ძირითად ეტაპზე საქართველოს ჩემპიონის „იბერიას" მეტოქეების ვინაობას შევიტყობთ. შეგახსენებთ, რომ „იბერია", რომელსაც ძალიან მაღალი საკლუბო რეიტინგი აქვს, საკვალიფიკაციო ეტაპიდან გათავისუფლებულია. სხვათა შორის, ფუტსალის ლიგა, რომელიც დიდ ფეხბურთში ჩემპიონთა ლიგის ანალოგია, მეათე სეზონს იწყებს და „იბერია" ერთადერთი კლუბია ევროპაში, რომელმაც უკლებლივ ყველა გათამაშებაში მიიღო მონაწილეობა.

წილისყრამდე ორი დღით ადრე კი იბერიელებს შვებულება დაუმთავრდათ და ახალი სეზონისთვის მზადება დაიწყეს. გუნდი ჯერ სატრენაჟორო დარბაზსა და აუზზე გადის მზადებას. გუნდს შეუერთდა ახალი მთავარი მწვრთნელი, გამოცდილი უკრაინელი სპეციალისტი **ოლეგ სოლოდოვნიკი**, რომელმაც პირველი ვარჯიშის დაწყებამდე მოთამაშეებს ერთხელაც აუხსნა, რომ ახალ სეზონში გუნდს შარშანდელი შედეგის გაუმჯობესებას უსახავს მიზნად.

შეგახსენებთ, „იბერიამ" წინა სეზონში საქართველოს ჩემპიონობა და თასი მოიგო, ჩემპიონთა ლიგაში კი ევროპის 12 საუკეთესო კლუბს შორის მოხვდა. პირველ ვარჯიშზე გუნდთან ერთად იყვნენ ახალწვეულებიც - საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მოთამაშე **კახა მაისაია** და ორი ბრაზილიელი - **ფუმასა** და **ბეტინიო**.

კლუბის პრეზიდენტ **ვახტანგ წერეთლის** თქმით, „იბერია" კიდევ სამ ბრაზილიელს ელოდება, რომლებიც გუნდს უახლოეს პერიოდში შეუერთდებიან.

**მერაბ მამულაშვილი**

თარიღი

# დღეს მიხეილ მესხს გაიხსენებენ...

დღეს, 13:00 საათზე საბურთალოს პანთეონში ვეტერანი ქართველი ფეხბურთელები **მიხეილ მესხის** საფლავთან შეიკრიბებიან.

*„საფლავი სამი წლის წინ გაძარცვეს და თითქმის ყველაფერი მოიპარეს, ფეხბურთელის ბრინჯაოს ქანდაკება და ბურთი. როგორც ალმოჩნდა, ამ ხნის განმავლობაში, ოჯახმა ფედერაციას დახმარებისთვის რამდენჯერმე მიმართა. ივნისის დასაწყისში ეს ამბავი ზვიად სიჭინავამ გაიგო და ერთ თვეში ქართული ფეხბურთის ლეგენდის საფლავი მოაწესრიგებინა. 6 ივლისს საფლავთან ქართული ფეხბურთის ვეტერანი ფეხბურთელები შეიკრიბებიან და მიხეილ მესხის ხსოვნას პატივს მიაგებენ"*, - ამბობს ფედერაციის პიარ-მენეჯერი **თათია ბურდული**.

**მერაბ მამულაშვილი**

adjara
სპორტ ბარი & ბუკმეკერები
ცენტრალური

უყურეთ მსოფლიო ჩემპიონატის
ყველა თამაშს პირდაპირ ეთერში
13 პლაზმურ & LCD ეკრანებზე!

ESPN sky SPORTS FOX SPORTS

სპეციალური შემოთავაზება
მსოფლიო ჩემპიონატის მატჩების დროს:
1 = 2 ჩამოსასხმელი ლუდი
შაბათ-კვირას:
50 % ფასდაკლება ნებისმიერ კერძზე

SOUTH AFRICA 2010 FIFA WORLD CUP

LIVE GAMES LIVE BETS

სამორინე აჭარა & გასართობი კომპლექსი. 26 მაისის მოედანი №1, 2-ე სართული. ტელ.: +995 32 33 44 76

ტრანსფერები

# შუალედური ეტაპი

ერთი თვის წინ იყო, ქართული სატრანსფერო კამპანიის მიმოხილვა რომ შემოგთავაზეთ; მაშინაც აღვნიშნეთ და ახლაც გავიმეორებთ, წინა 21 ჩემპიონატის განმავლობაში მსგავსი რამ არასდროს მომხდარა. უჩვეულოდ ნაადრევ „სატრანსფერო აქტიურობას" ვგულისხმობთ - წინა სეზონის დამთავრებიდან ორი კვირაც არ იყო გასული, უმაღლესი ლიგის გუნდების უმრავლესობამ ახლისთვის მზადება რომ დაიწყო! ჰო, ადრე ხომ ყოველთვის სხვანაირად იყო ხოლმე: სატრანსფერო კამპანია პიკს ახალი სეზონის დაწყებამდე ორი-სამი კვირით ადრე აღწევდა, ამჯერად კი ჩემპიონატის სტარტამდე... ორი თვით ადრე დაიწყო...

XXII ჩემპიონატი ზუსტად ერთ თვეში, ექვს აგვისტოს დაიწყება, თუმცა ათიდან ოთხი გუნდის სატრანსფერო კამპანიის შეფასება უფრო ადრეც იქნება შესაძლებელი. მოგეხსენებათ, რომ „დინამომ" და „ზესტაფონმა" ევროტურნირებზე პირველი მატჩები უკვე ჩაატარეს, ხოლო „ოლიმპი" და „ვიტ ჯორჯია" თავიანთ შეხვედრებს მომდევნო კვირაში გამართავენ. ახლა კი ქართული სატრანსფერო კამპანიის „შუალედური ეტაპისათვის" მომხდარ ცვლილებებზე ვისაუბროთ; თანაც, „სუბორდინაციას" დავიცავთ და წინა სეზონში ვინ რომელი ადგილი დაიკავა, იმ თანამიმდევრობით „გავყვებით"...

ქვეყნის ჩემპიონი „ოლიმპი"... პირველობას „სატრანსფერო ბაზარზეც" არ თმობს! ერთი მხრივ, რუსთაულ გუნდში მომხდარი ცვლილებები არც უნდა გაგვკვირვებოდა: უკვე მივეჩვიეთ, რომ ყოველ ექვს თვეში „ოლიმპის" შემადგენლობა სანახევროდ იცვლებოდა. მაგრამ, სანახევროსა და, ფაქტობრივად... მთლიანად შეცვლას შორის, ალბათ, არის სხვაობა და მომავალ კვირაში, ევროტურნირებზე **თემურ მახარაძე** აბსოლუტურად განახლებულ გუნდს გამოიყვანს. შორს წაგვიყვანს „ოლიმპიდან" წასული თუ გუნდში მოსული ახალწვეულების ჩამოთვლა (აქვე, სატრანსფერო ცხრილში იხილავთ), უბრალოდ, მხოლოდ ერთს დავძენთ: ჩემპიონი გუნდი ცამეტ (!) ფეხბურთელს რომ შეელევა, ეს ფაქტი მთლად დადებით ემოციებს ნამდვილად არ გამოიწვევს. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, „ოლიმპის" ახალწვეულები ერთმანეთთან შეთამაშებას უმოკლეს დროში რამდენად შეძლებენ? ან, რამდენად უმტკივნეულოდ მოხდება გუნდის ძირითადი „ღერძის" (**ჭანტურია-ფრაგა-იმედაშვილი, კვარაცხელია-აკინო**) სრულფასოვანი შეცვლა? აქვე, ისიც უნდა ვთქვათ, რომ ჩემპიონი გუნდის ახალწვეულთა აბსოლუტურ უმრავლესობას გამოცდილება და ოსტატობა არ დაენუნება; ოღონდ, ყოველივე ეს ქართველ ახალწვეულებზე ითქმის, თორემ ჯერჯერობით არავინ იცის, რა დონის ფეხბურთელია კენიელი ფორვარდი **ვანგა ვეტენდე**, „ოლიმპში" ამჟამად რომ ისინჯება. შეგახსენებთ, რომ რუსთაულ გუნდში სინჯებზე მანამდე მყოფმა ოთხმა უცხოელმა ფეხბურთელმა (**რომეო ჰამზაი, კარლოს ენრიკე მანზატო დოს სანტოსი, იგორ კუცი, ურმას როობა**) „ოლიმპის" მწვრთნელ-ხელმძღვანელებს თავი ვერაფრით მოაწონა.

„ოლიმპი" ამჟამად ურეკშია და იქ ემზადება ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპისთვის. აი, „დინამომ" კი ევროტურნირებზე პირველი მატჩი უკვე ჩაატარა და იმედი დავიტოვოთ, რომ **კახა კაჭარავას** გუნდი განმეორებით შეხვედრასაც თავისთვის სასურველი ანგარიშით დაამთავრებს. ოღონდ, ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ესტონურ „ფლორასთან" განმეორებით მატჩს, ცოტა არ იყოს, პესიმისტური განწყობით ვხვდებით. ჯერ ერთი, პირველი შეხვედრის ანგარიშიც (2:1) არ იყო შთამბეჭდავი, რომ აღარაფერი ვთქვათ, საერთოდ, დინამოელთა თამაშზე. მაგრამ ყველაფერი ეს... მოსალოდნელიც იყო! მოდი, ჯერ ის ვთქვათ, რომ ჩვენი ყველაზე ტიტულოვანი კლუბი ახალი სეზონისათვის თბილისში ემზადებოდა; არადა, როგორც წესი, ზამთარსა თუ ზაფხულში „დინამო" მუდამ უცხოურ შეკრებაზე მიემგზავრებოდა ხოლმე. ახლა კი, ასეთ არგუმენტს ვისმენთ: გერმანიაში იმიტომ არ წავედით, შესაფერისი სპარინგპარტნიორები არ გვეყოლებოდაო!.. „დინამოს" სატრანსფერო „აქტიურობაზე" ხომ აღარც ღირს საუბარი: გუნდიდან ძირითადი შემადგენლობის ხუთი ფეხბურთელი წავიდა (მათ შორის, კაპიტანი და უპირობო ლიდერი - **გურამ კაშია**), სანაცვლოდ კი მხოლოდ ორი (**ლევან ხმალაძე, ზვიად მეტრეველი**) მოვიდა...

აბსოლუტურად განსხვავებული სიტუაციაა „ზესტაფონში" - წინა სეზონის მესამე პრიზიორმა მზადება ყველაზე ადრე, პირველ ივნისს დაიწყო. რაც მთავარია, გუნდმა ტრადიციას არც ახლა უღალატა და თბილისში ათდღიან მზადებას ორკვირიანი უცხოური შეკრებაც „მოაყოლა". თანაც, **გია გეგუჩაძის** გუნდმა ავსტრიაში ჩატარებულ ოთხივე საკონტროლო მატჩში ჩინებული შთაბეჭდილება დატოვა; არადა, საკმაოდ ძლიერი მეტოქეები ჰყავდა: ავსტრიის ჩემპიონი „ზალცბურგი", ჩეხეთის თასის მფლობელი „პლზენი" და რუსული პრემიერლიგის ორი გამორჩეული გუნდი - „ზენიტი" და მოსკოვის „დინამო". „ზესტაფონს" წინა სეზონშიც საკმაოდ დაბალანსებული შემადგენლობა ჰყავდა და ახლა უფრო გაძლიერდა. ყოველ შემთხვევაში, **შოთა ბაბუნაშვილის, გოგა ფიფიას** და **კახა ალადაშვილის** (ბოლოს მახაჩყალის „ანჟიში" რომ თამაშობდა) დამატებით „ზესტაფონის" თამაში ბევრად მრავალფეროვანი უნდა გახდეს. ამასთან, უკვე ახლავე შეგვიძლია გუნდს ევროპის ლიგის მომდევნო ეტაპზე გასვლა მივულოცოთ და ასეთი მწვრთნელფეხბურთელებით სლოვაკურ „ბისტრიცასთან" პაექრობაშიც წარმატების იმედი უნდა გვქონდეს.



გურამ კაშია

„დიდი ოთხეულის" გუნდებიდან ყველაზე გვიან მზადება „ვიტ ჯორჯიამ" დაიწყო - საქართველოს თასისა და სუპერთასის მფლობელი ჯერ თბილისში ემზადებოდა, ამჟამად კი უკრაინაშია შეკრებაზე. ბევრს ჰგონია, რომ გუნდიდან ხუთი წამყვანი ფეხბურთელის (**გრიგოლ ბედიაშვილი, ალექსანდრე კვახაძე, ლაშა ჯაფარიძე, გიორგი დათუნაიშვილი, ლუკა რაზმაძე**) წასვლის შემდეგ „ვიტ ჯორჯიას" ახალ სეზონში მოკრძალებული მიზნები ექნება; სხვისი რა მოგახსენოთ, და ჩვენ ასე ნამდვილად არ ვფიქრობთ - გუნდის ფარმკლუბში ერთი-მეორეზე ნიჭიერი ახალგაზრდები თამაშობდნენ და თითოეულ მათგანს ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრების ჩინებული შანსიც ეძლევა. ნუ დაგვავიწყდება, რომ გუნდში დარჩა „ვიტ ჯორჯიას" ორი ლიდერი - **ჯაბა ლიპარტია** და **ირაკლი კლიმიაშვილი**, რომელთა ასპარეზობაზეც დიდად იქნება დამოკიდებული „ვეტერინართა" წარმატება-წარუმატებლობა. კიდევ ვიმეორებთ: კატეგორიულად არ ვეთანხმებით იმ ფაქტს, ვითომდა, „ვიტ ჯორჯია" წინა სეზონთან შედარებით ბევრად სუსტი გუნდი იქნებაო. ჯერ ერთი, გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **გელა გომელაურმა** ძალიან მოკლე დროში დაამტკიცა საკუთარი კვალიფიკაცია; ამასთან, კლუბის უცვლელი პრეზიდენტიც **გურამ რუხაძეც** არ დაუშვებს, რომ უმაღლეს ლიგაში სუსტი ან უმოტივაციო გუნდი ჰყავდეს.

*(დასასრული ხვალინდელ ნომერში)*

**გია ტუხაშვილი**

## სატრანსფერო მიდი-მოდი

| გუნდები | წავიდნენ | მოვიდნენ | შეკრება/ საკონტრ. მატჩები |
|---|---|---|---|
| ოლიმპი<br>თემურ მახარაძე | აკინო, ფრაგა (ორივე - ბრაზილია), გველესიანი (კოლხეთი), ა. გილაური (?), პ. დათუნაიშვილი (?), ჭანტურია (?), მერლანი (?), გ. კვარაცხელია (ბელარუსი), მაჭავარიანი (ტორპედო), ელოხი (?), ხუბუა (პოლონეთი), იმედაშვილი (ხაზარი, აზერბაიჯანი), ს. იაშვილი (ყაზახეთი) | გენაძე (გაბალა, აზერბაიჯანი), ბოლქვაძე (სიმურგი, აზერბაიჯანი), ბათიაშვილი (სპარტაკი), ბედიაშვილი, რაზმაძე, ა. კვახაძე, ჯაფარიძე (ყველა - ვიტ ჯორჯია), დოლიძე (დინამო), გ. ნუგ. ჭელიძე (ლოკომოტივი), ქემოკლიძე (სიონი), მოდებაძე (მეტალურგი ზ, უკრაინა), ვანგა ვეტენდე (ბაქი, კენია) | 4 ივნისიდან - რუსთავში<br>დინამო 0:3<br>ვიტ ჯორჯია 0:2<br>25 ივნისიდან - ურეკში<br>სამტრედია 4:1<br>კოლხეთი (ფ) 0:0 |
| დინამო<br>კახა კაჭარავა | გ. კაშია (?), შ. კაშია (?), აკირემი (?), კრსტესკი (?), ჩიკვილაძე (ტორპედო), მომჩილოვიჩი (ფიზმომზადების მწვრთნელი), ნემსაძე (?), ქანთარია (სპარტაკი) | ხმალაძე (ჰაპოელი ჰაიფა, ისრაელი) მეტრეველი (გაგრა), გავაშელიშვილი (35-ე სკოლა), ვარდოსანიძე (?) | 7 ივნისიდან - თბილისში<br>ოლიმპი 3:0<br>სპარტაკი 2:0<br>35-ე სკოლა 5:0<br>ევროპის ლიგა<br>ფლორა 2:1 |
| ზესტაფონი<br>გია გეგუჩაძე | კორღალიძე, გამეზარდაშვილი (ორივე დაჩია, მოლდოვა), კაჭკაჭიშვილი (?), მჭედლიშვილი (?) | ბაბუნაშვილი (სექთცია, ისრაელი), ფიფია (ბაია), კ. ალადაშვილი (ანჟი, რუსეთი) | 1-9 ივნისი - თბილისი<br>10 ივნისიდან - ავსტრიაში<br>პლზენი (ჩეხეთი) 1:2<br>ზენიტი (რუსეთი) 0:0<br>ზალცბურგი (ავსტრია) 3:2<br>დინამო (მოსკოვი) 3:1<br>ევროპის ლიგა<br>ფაეტანო 5:0 |
| ვიტ ჯორჯია<br>გელა გომელაური | ბედიაშვილი, რაზმაძე, ა. კვახაძე, ჯაფარიძე (ყველა - ოლიმპი), გ. დათუნაიშვილი (ტორპედო), | ძაძამია (გურია), ი. ჭანკვეტაძე (ტორპედო 2008) | 10 ივნისიდან - თბილისში<br>ოლიმპი 2:0<br>სპარტაკი 1:0<br>23 ივნისიდან - უკრაინაში<br>ტავრია 1:2<br>ნაფტოვიკი 0:3<br>ჰელიოსი 1:0 |
| სპარტაკი<br>გოჩა ჩიქოვანი | უხურგუნაშვილი (ბანანცი, სომხეთი), ბათიაშვილი (ოლიმპი), ფოფხაძე (ტორპედო), დემეტრაძე (?), ბურდული (აზერბაიჯანი), მედ ნალო (?), ზონი (?), ნონოსი (?), ბაქრაძე (?), ჩირიკაშვილი (?), ჩივაძე (სიონი), გ. კვახაძე (?), თარხნიშვილი (ტორპედო?), მგალობლიშვილი (?) | ჩალაძე (სამტრედია), ზარქუა (ბაია), ბილიხოძე, თავბერიძე (ორივე IBSU), ქანთარია (დინამო), სარალიძე (ლოკომოტივი), გრიშიკაშვილი (მიკა, სომხეთი) | 7 ივნისიდან - თბილისში<br>ვიტ ჯორჯია 0:1 |
| სიონი<br>ხვიჩა ქასრაშვილი | ქემოკლიძე (ოლიმპი), ლ. მელქაძე (?), გ. მაისურაძე (?), ი. შენგელია (?), ლ. მერებაშვილი (?), გ. დეკანოსიძე (?), ჯ. უგულავა (?) | ჩივაძე (სპარტაკი), ორბელაძე (სტანდარტი, აზერბაიჯანი), რ. გოცირიძე (ისრაელი), ბობოხიძე (უგუნდოდ) | 20 ივნისიდან - თბილისში |
| სამტრედია<br>გელა სანაია | ჩალაძე (სპარტაკი), ზ. ხაჭიპერაძე (ტორპედო) | გელა სანაია (მთავარი მწვრთნელი, ლოკომოტივი), ბაკარანძე (ბაია), ჩხიკვაძე (მარტვილი), სოსელია, ხუმარაშვილი (ორივე - ლოკომოტივი), ი. შალიკაშვილი, თ. შალიკაშვილი (ორივე გაგრა, იჯარით) | 10 ივნისიდან<br>ტორპედო 0:1<br>ოლიმპი 1:4 |
| ბაია<br>ელგუჯა კომეთიანი | ფიფია (ზესტაფონი), ჩისამბა ლუნგუ (ურალი, რუსეთი), ზარქუა (სპარტაკი), | ოთარ გაბელია (კონსულტანტი), რიგვავა (კვიპროსი), ახალკაცი (სიმურგი, აზერბაიჯანი), კ. ჩხეტიანი (სიმურგი, აზერბაიჯანი), გ. ნოდ. ჭელიძე (?) | 15 ივნისიდან |
| ტორპედო<br>რამაზ მუმლაძე | ი. ჭანკვეტაძე (ვიტ ჯორჯია), ბ. ხაჭიპერაძე (?), ხარებავა (?), ცაგარეიშვილი (?), ჩიხლაძე (?) | რამაზ მუმლაძე (ავაზა/ვისოლი,მთავარი მწვრთნელი), ჩიკვილაძე (დინამო), გ. დათუნაიშვილი (ვიტ ჯორჯია), დ. ფოფხაძე (სპარტაკი), მაჭავარიანი (ოლიმპი), ზ. ხაჭიპერაძე (სამტრედია) ქვილითაია (ლიკომოტივი), თარხნიშვილი (სპარტაკი), ნ. კვასხვაძე (ზესტაფონი) | 11 ივნისიდან - ქუთაისში<br>სამტრედია 1:0<br>მარტვილი 3:0 |
| კოლხეთი (ფ)<br>ბესიკ შეროზია | გ. თოდუა (?), დ. ქირია (?) | სტურუა (გაგრა), გველესიანი (ოლიმპი) | 10 ივნისიდან<br>ოლიმპი 0:0 |

შენიშვნა: მუქი შრიფტით აღნიშნულია გადაწყვეტილი ტრანსფერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

# გიორგი დათუნაიშვილი: საინტერესო ჩემპიონატი გველის...

ქუთაისის „ტორპედომ" სეზონისთვის მზადება დაიწყო. ახალი „ტორპედოს" ერთ-ერთი გამორჩეული სახე ნახევარმცველი გიორგი დათუნაიშვილია, რომელიც წლების განმავლობაში „ვიტ ჯორჯიას" ლიდერი გახლდათ.

**- შენი ტრანსფერის შემდეგ ხალხი მიხვდა, რომ ქუთაისის „ტორპედო" „ქერის ორმოშია" - „ზესტაფონზე" უარს ტყუილად არ იტყოდი.**

- ფინანსები მნიშვნელოვანია, მაგრამ გადამწყვეტი არ ყოფილა. ჩემთვის ბევრს ნიშნავდა ის ფაქტი, რომ „ტორპედოს" ამბიციები გააჩნია, მთავარი მწვრთნელი კი რამაზ მუმლაძეა. ბატონ რამაზთან მთელი ოთხი წელი ვმუშაობდი, დიდ პატივს ვცემ და მისი ხელმძღვანელობით თამაში მსიამოვნებს. ამას გარდა, როდესაც გადასვლა შემომთავაზეს, „ვისოლის" ხელმძღვანელებს შევხვდი და მათი პოზიცია მომეწონა. ახალგაზრდა ხალხია და ცხოვრებას ახლებურად უყურებენ. ბევრი არც მიფიქრია და ქუთაისში თამაში გადავწყვიტე.

**- შენი აზრით, „ტორპედოში" შეთავაზებული პირობებით ქუთაისში აზერბაიჯან-ყაზახეთში მოთამაშე ქართველების დაბრუნება შესაძლებელია?**



- ამაში დარწმუნებული ვარ. „ტორპედოში" ძალიან კარგი პირობებია, საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესო.

**- გუნდების წლევანდელი შემადგენლობა მეტ-ნაკლებად გაირკვა - შენი აზრით, ჩემპიონობისთვის ბრძოლა რომელ მათგანს შეუძლია?**

- ძალიან კარგი შემადგენლობა შეიკრიბა „ოლიმპში", „ზესტაფონმა" გუნდი შეინარჩუნა და ისეთი კარგი ფეხბურთელი დაიმატა, როგორიც ბაბუნაშვილია და დარწმუნებული ვარ, შარშანდელზე ძლიერი იქნება. მართალია, „ვიტ ჯორჯიადან" ბევრი წამოვედით, მაგრამ იქ ისეთი კარგი ახალგაზრდები დარჩნენ, ეჭვიც არ მეპარება, გუნდი წელსაც ბევრს გაამწარებს და ტიტულებისთვის იბრძოლებს. ბოლოს და ბოლოს, დუბლების ჩემპიონები გახდნენ და კარგ ფეხბურთს აჩვენებენ. „დინამო" ყოველთვის ამბიციური იყო და წელსაც მაღალი მიზნებისთვის იბრძოლებს. ასე რომ, ვფიქრობ, წელს კარგი ჩემპიონატი გველის, რადგან ბევრი ამბიციური კლუბი ყალიბდება.

**- უცხოეთში ტრადიციაა, ფეხბურთელი სასურველ ნომერს თავად არჩევს. „ტორპედოში" ასეთი მოთხოვნა თუ წამოაყენე?**

- ჯერ არაფერი მითქვამს, მაგრამ ნომერზე მართლა მიფიქრია. ბავშვობაში შვიდი ნომრით ვთამაშობდი და ეს ნომერი ყველაზე მეტად მიყვარს. თუმცა ასეთი მოთხოვნა „ვიტ ჯორჯიაში" ჩარიცხვის დროს არც გამჩენია, მაშინ პატარა ბიჭი ვიყავი და ამის უფლებას თავს ვერ მივცემდი. მომცეს 26 ნომერი, ხუთი წელი ასე ვითამაშე და შეიძლება „ტორპედოშიც" ეს ნომერი შევინარჩუნო. ერთი თვეა, რაც ახალ გუნდში ვარ, მაგრამ „ვიტ ჯორჯიაში" გატარებულ წლებს ვერასდროს დავივიწყებ. მინდა შემთხვევით ვისარგებლო და კლუბის პრეზიდენტ გურამ რუხაძეს, მწვრთნელებს, გელა გომელაურს, მერაბ კოჭლაშვილს, ბიჭებს და საერთოდ ყველას, ვინც იქ დავტოვე, მადლობა გადავუხადო. ამ გუნდში შვიდი საუკეთესო წელი გავატარე და „ვიტ ჯორჯიამაც" ბევრი მომცა. ამის დავიწყება უმადურობა იქნება.

მერაბ მამულაშვილი

ლეგიონერი

# რევიშვილი მალაფეევმა ანუგეშა

**ნუკრი რევიშვილი** „ზენიტისა" და „ანჟის" შეხვედრისას „ჯაბულანმა" დაალალატა - მატჩის მიწურულს მახაჩყალელთა ქართველ გოლკიპერს ბურთი ხელიდან გაუვარდა და დამატებაზე გატანილი გოლით **კონსტანტინ ზირიანოვმა** თავის გუნდს გამარჯვება მოუტანა.

რევიშვილს „ზენიტისა" და რუსეთის ნაკრების მეკარემ, **ვიაჩესლავ მალაფეევმა** უთანაგრძნო: *„ჩემმა კოლეგამ იმ ეპიზოდამდე შესანიშნავად ითამაშა და თავისი გუნდი რამდენიჯერმე იხსნა. ყველაფერი „ჯაბულანის" ბრალია, სწორედ ამ ბურთს აქვს მინიდან უცნაურად ასხლეტის უნარი. ვიმედოვნებ, მალე „ჯაბულანით" აღარ ვითამაშებთ".*

ლევან ჯანეზაშვილი

წიგნის თარო

# ლელო და მეკარეები

„ლელომ" სამარადჟამოდ შემოინახა ქართული და მსოფლიო სპორტის ყველაზე ღირსსახსოვარი მოვლენები, ათლეტთა სპორტული გმირობების ამბები.

ამ დღეებში რედაქციაში მივიღეთ ხონიდან გამოგზავნილი ბროშურა „XX საუკუნის ლეგენდარული მეკარეები „ლელოს" ფურცლებზე", რომლის ავტორია 1962 წლიდან ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი დემურ ტორაძე. ბროშურაში ქართველ თუ უცხოელ გოლკიპერთა სპორტული ცხოვრების ამსახველი ის მასალებია თავმოყრილი, რომლებიც 1934 წლიდან გამოქვეყნებულა"ლელოში". ინტერესს იწვევს აგრეთვე ცალკე გამოტანილი ფეხბურთის ცნობილ სპეციალისტთა შეფასებები მეკარეებზე.

გამოცემა დაბეჭდილია ქუთაისში „ხომლი ენ"-ის სტამბაში.




თენგიზ თომაშვილი

ინტერვიუ




# ვიდეორეფერი ბევრ პრობლემას მოხსნის

## კაპიტანმა მუნდიალიდან მიულერი და ესპანეთი გამოარჩია

**მსოფლიოს ჩემპიონატი, სიურპრიზები და მოულოდნელობები, რჩეული ფეხბურთელი და დარჩენილი კვარტეტიდან ყველასთვის მოსაწონი გუნდი... ნაკრების კაპიტან კახა კალაძესთან საუბრის მთავარი თემა მუნდიალი იყო. გარდა ამისა, კალაძეს „მილანზე", ახალ მწვრთნელსა და სავარაუდო ტრანსფერზეც ვკითხეთ.**

**- მსოფლიოს მიმდინარე ჩემპიონატმა, თამაშების დონით, ინტრიგითა და დაძაბულობით, გაგიმართლათ იმედები?**

- თამამად შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიოს ეს ჩემპიონატი დახუნძლულია სიურპრიზებით. არაერთი მატჩი დასრულდა ისეთი შედეგით, რომელიც მილიონობით გულშემატკივრისთვის, როგორც საქართველოში, ასევე უცხოეთში, მოულოდნელი იყო. არგენტინისა და ბრაზილიის ნაკრებების გათამაშებიდან გამოთიშვამ ბევრს შოკი მოჰგვარა. იგივე შეიძლება ითქვას იტალიის, საფრანგეთისა და სხვა ნაკრებებზე. ფეხბურთი იმით არის გამორჩეული, რომ არაპროგნოზირებადია და სიურპრიზებსაც გვთავაზობს.

**- ყველაზე უფრო რომელმა ნაკრებებმა გაამართლეს თქვენი იმედები და რომელმა გუნდებმა ვერა?**

- სიმართლე გითხრათ, ამოჩემებული არ მქონია რომელიმე ნაკრები, რომელსაც ვგულშემატკივრობდი. უბრალოდ, თვალს ვადევნებდი ჩემპიონატს, ვეძებდი სიახლეს საფეხბურთო კომპონენტებში, ტაქტიკაში, შიგადაშიგ საფეხბურთო სანახაობით ვტკბებოდი... 10 წელიწადია, იტალიაში ვთამაშობ და ამ ქვეყნის ნაკრებში ჩემი არაერთი მეგობარია და „სკუადრა აძურას" მიმართ ბუნებრივად მქონდა სიმპათია. ჯგუფური ეტაპიდან გამომდინარე ვვარაუდობდი, რომ ბრაზილია და არგენტინა ფინალამდე მივიდოდნენ, მაგრამ ამ ორმა გუნდმა ვერც თავისი გულშემატკივრის და ვერც ჩემი იმედები ვერ გაამართლეს.

**- რომელმა ნაკრებმა გაგაოცათ?**

- ასეთი არაერთია, თუნდაც ურუგვაის ნაკრები, პარაგვაი, განა... ჩემპიონატის დაწყებამდე ალბათ ბევრი არ ელოდა, თუ აშშ-ის ნაკრები ჯგუფში პირველ ადგილს დაიკავებდა.

**- როგორია თქვენი პროგნოზი, ვინ ითამაშებს ფინალში და ვინ მოიპოვებს მსოფლიოს თასს?**

- იმდენი სიურპრიზი იყო ამ მუნდიალზე, რომ პროგნოზის გაკეთება გამიჭირდება. ჩემპიონატს შემორჩენილ ოთხივე გუნდს შეუძლია ბოლომდე ბრძოლა, ფინალში გასვლაც და თასის მოპოვებაც. ასე რომ, ვნახოთ...

**- პროგნოზი გვერდზე რომ გადავდოთ, მუნდიალზე დარჩენილი კვარტეტიდან, განსაკუთრებით რომელი მოგწონთ?**

- ალბათ მაინც ესპანეთი, რადგან ლამაზ ფეხბურთს თამაშობს. ძალიან კარგი ფეხბურთი აჩვენა ჰოლანდიამ ბრაზილიასთან და გერმანიამ არგენტინასთან. ურუგვაის ნაკრებიც კარგად ასპარეზობს... ერთი სიტყვით, ნახევარფინალში სუსტი გუნდი არ არსებობს.

**- მიმდინარე მუნდიალიდან რომელ ფეხბურთელს გამოარჩევდით?**

- სიმართლე რომ ვთქვათ, ამ ჩემპიონატზე კაშკაშა ვარსკვლავი არ გამოჩენილა, შესაძლოა, დარჩენილ მატჩებში გამოიბრწყინოს ასეთმა ვარსკვლავმა. თუმცა მაინც გამოვყოფდი თომას მიულერს. მუნდიალის გარდა, მიულერს წარმატებული სეზონი ჰქონდა მიუნხენის „ბაიერნშიც". თომას მიულერი ჯერ 21 წლის არის და ბუნდესლიგაში ოქროს მოპოვების გარდა, ჩემპიონთა ლიგაზეც კარგად იასპარეზა, ლიგის ფინალიც ითამაშა. მსოფლიოს ჩემპიონატზე 4 გოლი აქვს გატანილი. მიულერი ლიონელ მესის მსგავსად, დიდი ნიჭითა და სიკაშკაშით არ გამოირჩევა, მაგრამ თავის საქმეს ჩინებულად აკეთებს. კრიშტიანო რონალდო ნიჭიერი კი არის, მაგრამ ამ მუნდიალზე ვერაფრით დაგვამახსოვრა თავი.

**- მსოფლიოს ჩემპიონატის მსაჯობაზე რა აზრის ხართ?**

- სამწუხაროდ, მსაჯების მხრიდან ძალიან ბევრი შეცდომა იყო, მათ შორის უხეში შეცდომებიც, რომლებმაც ამა თუ იმ მატჩის საბოლოო შედეგზეც იქონიეს გავლენა. ამის გამო, ფიფას ხელმძღვანელობას ვიდეორეფერის შემოღებაც კი შესთავაზეს. 90 წუთის განმავლობაში ორი გუნდი თავს იკლავს სასურველი შედეგისთვის და შესაძლოა, ერთმა ეპიზოდმა ყველაფერი გადაწყვიტოს. მეორე მხრივ არბიტრიც ადამიანია და შეცდომისგან არავინ არის დაზღვეული. ასე რომ, ეს ვიდეორეფერის პროექტი საინტერესოა, თუ შემოიღებენ ის გუნდი გაიმარჯვებს, ვინც მართლაც იმსახურებს ამას. ისე აღარ მოხდება, რომ მსაჯის შეცდომის გამო რომელიმე გუნდი დაისაჯოს. ასე რომ, ვიდეორეფერის დანერგვა ბევრ პრობლემას მოხსნის.

**- ამ რამდენიმე დღის წინ ოფიციალურად გაცხადდა „მილანის" ახალი თავკაცის ვინაობა - მასიმილიანო ალეგრი. „კალიარიდან" მას რამდენად იცნობთ და როგორ დაახასიათებდით?**

- კი, „კალიარიში" მუშაობდა და წარმატებითაც. მას ვიცნობ, მაგრამ რაც „მილანის" მთავარი მწვრთნელი გახდა, ჯერ არ მისაუბრია. 20 ივლისს ვიკრიბებით და ახალი სეზონისთვის ვიწყებთ მზადებას.

**- სანამ არ გაცხადდა, „მილანიდან" ლეონარდოს წასვლის ამბავი, მანამდე კლუბის შეცვლას აპირებდით. იტალიურ პრესაში კვლავაც ქვეყნდება ინფორმაციები, რომელთა თანახმადაც დღის წესრიგიდან თქვენი ტრანსფერი კვლავ არ მოხსნილა. კონტრაქტს „მილანში" ჩაამთავრებთ თუ სხვა გუნდში გიხილავთ?**

- სატრანსფერო სპეკულაციებში ხშირად ჩნდება ხოლმე ჩემი გვარ-სახელი. „პარმა", „პანათინაიკოსი", კიევის „დინამო", „იუვენტუსი", „რუბინი" ამ და სხვა კლუბში ელოდნენ ჩემს გადასვლას. თუმცა დღესაც „მილანში" ვარ და ალალად გეუბნებით, ამ სატრანსფერო პერიოდისას არც ერთი კლუბის წარმომადგენელთან არ მისაუბრია. ახალი მწვრთნელი გვყავს, ახლა სხვა ვითარებაა, ჩავალ, ადგილზე გავეცნობი სიტუაციას და შესაბამისად ვიმოქმედებ. ამ შემთხვევაში საკითხი მარტივად დგას, თუ ხელმძღვანელობას ჩემი გასხვისება უნდა, პრობლემას ვერ ვხედავ. თუ „მილანიდან" წავალ, თავად გადავწყვეტ, სად გავაგრძელებ კარიერას. ისეთ გუნდში გადავალ, რომელსაც ამბიციური მიზნები აქვს, ჩემპიონთა ლიგაზე ასპარეზობს და მაღალი მიზნებისთვის იბრძვის. მაგალითად, შარშან ზაფხულში „ფიორენტინადან" და „რომადან" მისალები წინადადება მქონდა. „ფიორენტინასთან" ფაქტობრივად ყველა საკითხზე მოვილაპარაკე, მაგრამ „სიენას" თამაშის შემდეგ, გალიანიმ და ლეონარდომ არაერთხელ დამირეკეს და მთხოვეს, კლუბი არ შემეცვალა, ჩვენ გვჭირდებიო. „მილანთან" კონტრაქტი მაკავშირებდა და გუნდში დარჩენა გადავწყვიტე. თუ კლუბის ხელმძღვანელობას, ჩემი გასხვისება უნდა, მაშინ წავალ. „მილანიდან" „პარმაში" ან ისეთ გუნდში არ წავალ, რომელიც ლიგაში დარჩენისთვის იბრძვის. ამას მირჩევნია, რუსეთის ან უკრაინის ისეთ გუნდში გადავიდე, რომელიც ჩემპიონთა ლიგაში ასპარეზობს. ჩემს ადგილზე, შესაძლოა ზოგი დუბაიში ან ყატარში გადასულიყო... ყველას თავისი შეხედულება აქვს, მე კი ასე არ ვფიქრობ.

**- თუ წასვლას გადაწყვეტთ, რომელი ქვეყნისკენ უფრო მიგიწევთ გული?**

- იტალიის დატოვება ჩემთვის პრობლემა არ არის. თუ ისე მოხდა, რომ კლუბთან ერთად ქვეყნის შეცვლაც დამჭირდა, მაშინ ინგლისში, ესპანეთში ან გერმანიაში თამაშს ვისურვებდი. ამ ბოლო ხანს, გერმანიის ჩემპიონატის დონემ საგრძნობლად აიწია.

დავით ცაბაძე

ჭიდაობა — მზადება მსოფლიოს პირველობისთვის

# მინსკი გამორიცხა, ალუშტა?

## ახალგაზრდებმა გეგმები არიეს

როგორც თავისუფალი, ასევე ბერძნულ-რომაული სტილის ნაკრებებმა დაამთავრეს შეკრება სომხეთის მაღალმთიან კურორტ წახკაძორში და თბილისში დაბრუნდნენ. ეს იყო საბაზო შეკრება, რომელიც ძირითადად საერთო ფიზიკურ მომზადებას ეთმობოდა. მართალია, იშვიათად ლეიბზეც ვარჯიშობდნენ, მაგრამ მხოლოდ მსუბუქი დატვირთვით, მთავარი მიზანი კი ფიზიკური კონდიციების ამაღლება იყო. წახკაძორის ყოველმხრივ მოწესრიგებულ ბაზაზე მხოლოდ ჩვენები ვარჯიშობდნენ, თუმცა მათთან ერთად სომხეთის ნაკრების რამდენიმე წევრიც ემზადებოდა. ეს ბაზა ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს არსებობდა და ერთ-ერთი მთავარი მოსამზადებელი ცენტრიც იყო. სომხებმა იქაურობა ხელუხლებლად შეინარჩუნეს და დღესაც ისეთი ბაზაა, სადაც სპორტსმენებს ვარჯიშისთვის ყველანაირ პირობას უქმნიან. ამიტომ არცაა გასაკვირი, ორივე ნაკრების თავკაცები - **ზაზა თურმანიძეც** და **ბეგი დარჩიაც** ძალზე კმაყოფილები რომ არიან.

წახკაძორით ნაკრებებმა მსოფლიოს პირველობისთვის მიზანმიმართული მზადება დაიწყეს. დარჩენილი პერიოდი ორ შეკრებას და თითო ტურნირს მოიცავს, თუმცა არაა გამორიცხული, ზოგ-ზოგიერთები დამატებით კიდევ ერთ შეჯიბრებაში გამოიყვანონ.

ჩვენი გუნდებისთვის უახლოესი მოსამზადებელი ღონისძიება 16-18 ივლისს ბაქოში გასამართი „ოქროს დიდი პრიზის" ფინალური ტურნირია. იქ 16-ში "თავისუფლები" ჭიდაობენ, 17-ში - ქალები, ბოლო დღე კი ბერძენ-რომაელებს დაეთმობათ. ასეთი კალენდარის გამო „თავისუფლები" ბაქოში ბერძენ-რომაელებზე ორი დღით ადრე გაემგზავრებიან. მოგეხსენებათ, აქ მონაწილეობა ლიმიტირებულია - სპორტსმენმა საკვალიფიკაციო ტურნირებში უნდა მოიპოვოს ეს უფლება, ქვეყანას კი თითო წონაში სამი კვოტა ეძლევა. თან, ლიმიტის დაცვა სავალდებულოა, წინააღმდეგ შემთხვევაში სოლიდური ფულადი ჯარიმაა დაწესებული. არადა, მონაწილეობაზეც საკმაოდ დიდი გადასახადია - კაცზე 100 დოლარი და მეტი (გააჩნია სპორტსმენთა რაოდენობას). **რაფაელ მარტინეტიმ** ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაცია რომ წარმატებულ ქარვასლად აქცია, არაერთხელ გვითქვამს და ეს ტურნირიც ამის დასტურია. ბუნებრივია, ნებისმიერი ფედერაცია შეჯიბრებების მომრავლებას უნდა ესწრაფვოდეს; გასაგებია მარტინეტის სურვილიც, რომ „ოქროს დიდი პრიზი" გავლენიან და წონად შეჯიბრებად აქციოს, მაგრამ საეჭვო არავისთვისაა, რომ ამხელა გადასახადი კომერციულ მიზნებს ემსახურება და ძალზე მძიმე ტვირთად აწვება ჩვენნაირ უფულო ფედერაციებს. ქართველები იქ ორივე ნაკრებში დაახლოებით 40-კაციანი გუნდით გამოვლენ და, ცხადია, საკმაოდ დიდი გადასახადი გამოგვდის. ალბათ, ამ გადასახადის გამოა, საერთაშორისო ფედერაცია ასეთ დათმობაზეც რომ მიდის - თუ რომელიმე ნაკრებს უკვე ლიცენზირებული მოჭიდავე დაუშავდა, მისი შეცვლის უფლებას აძლევს, მაგრამ არამც და არამც არ უზღუდავს კვოტას.

„თავისუფალთაგან" ბაქოში ჭიდაობის უფლება ამ ფალავნებმა მოიპოვეს: **ბესარიონ გოჩაშვილი, ლაშა ლომთაძე, ამირან ელბაქიძე** (55), **მალხაზ ქურდიანი, მალხაზ ზარქუა, გიორგი ბალიაშვილი** (60), **შალვა მუზიაშვილი, პაატა ნოზაძე, გოგა ხუჭუა** (66), **გელა სალირაშვილი, ოთარ ურატაძე, მარადი ზოიძე** (74), **დავით მარსაგიშვილი, არჩილ ქიტიაშვილი, თორნიკე სვანიძე** (84), **გიორგი გოგშელიძე, ბელდუხ გავაშელიშვილი, დაჩი ქერაშვილი** (96), **ლევან ბერიანიძე, დავით მოძმანაშვილი, კობა კერესელიძე** (120), ბერძენ-რომაელთა ტურნირში კი **ლაშა გოგიტაძე, ზურაბ კეკელიძე, მინდია წულუკიძე** (55), **რევაზ ლაშხი, გოგა გოგიბერაშვილი** (60), **ანტონ მამაგეიშვილი, მუხრან მაჭუტაძე, საჩინო დავითაია** (66), **გიორგი ცირეკიძე, გენადი გოგიშვილი, შმაგი გულიაშვილი** (74), **ვლადიმერ გეგეშიძე, აკაკი ჯოხაძე** (84), **ვასილ იმერლიშვილი, იოსებ ჯაბიძე, სერგო ნინუა** (96), **ოთარ ბოლქვაძე, გურამ ფერსელიძე, სერგო გოგისვანიძე** (120) იჭიდავებენ. თუმცა ახლავეა ცნობილი, რომ ამ სიებში რამდენიმე მონაწილე შეიცვლება. ამის მიზეზი ორია - ტრავმები და ახალგაზრდული ნაკრების ინტერესები. ახალგაზრდებმა ახლახან მოილიეს ევროპის ჩემპიონატი (ბერძენ-რომაელები სულაც დღეს ბრუნდებიან ბულგარეთიდან, სადაც ეს ტურნირი გაიმართა), მაგრამ მსოფლიოს საჭიდაო სამყაროში გამეფებული უთავბოლობის გამო რამდენიმე დღეში - 20-25 ივლისს ბუდაპეშტში უკვე მსოფლიოს პირველობა ელით. ამიტომ იქ წასასვლელი ხალხი ბაქოში ვერ იჭიდავებს, მაგრამ საქმე ისაა, რომ ჯერ ახალგაზრდული ნაკრებების მწვრთნელებსაც არ გადაუწყვეტიათ, ვინ წაიყვანონ უნგრეთში. თუმცა ცხადია, ამ შემთხვევაში პირველ ადგილზე მათი ინტერესები დადგება და ამას არც ეროვნულის თავკაცები ეწინააღმდეგებიან. ასე, მაგალითად: ბეგი დარჩიამ მინდია წულუკიძის შემცვლელად უკვე დაასახელა **გიორგი გვენეტაძე**, მაგრამ მას შემდეგ, რაც წულუკიძემ ევროპის ჩემპიონატი წააგო - მეხუთეზე გავიდა, იქნებ, ეს გეგმებიც არიოს. თუმცა ახალგაზრდულის თავკაც **ვლადიმერ ადეიშვილს** ამ წონაში ევროპის შარშანდელ ჩემპიონზე უკეთესი არც ჰყავს, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილება მაინც მან უნდა თქვას. დარჩიამ ასევე ადრე განაცხადა, რომ დავითაიას ევროპის შარშანდელი პრიზიორი და მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი **მანუჩარ ცხადაია** შეცვლიდა. დავითაიამ ევროპაზე ვერცხლი კი მოიპოვა, მაგრამ, სავარაუდოდ, ეს ცვლილება მაინც ძალაში დარჩება. არ ვიცი, წაიყვანს თუ არა მას ადეიშვილი მსოფლიოზე, მაგრამ, ალბათ, ორივე მწვრთნელი და ფედერაციაც ყველაფერზე მაღლა ცხადაიას ინტერესს დააყენებენ - ტრავმის გამო მას ისედაც ბევრი გაუცდა და საშეჯიბრო პრაქტიკა აკლია, ბაქოში კი ამ დეფიციტის აღმოფხვრის შანსი ეძლევა. ის მსოფლიოს პირველობისთვის ემზადება და გასაგებია, რომ ყველანაირად დაეხმარებიან.

კიდევ უფრო გაურკვეველი მდგომარეობაა „თავისუფალთა" ნაკრებში. უპირველესად, მარსაგიშვილის ირგვლივ. როგორც ირკვევა, ახალგაზრდულის თავკაცი **ნუგზარ სხირელი** მისი თბილისის ტურნირზე ჭიდაობის წინააღმდეგიც ყოფილა და ევროპირველობაზე განცდილ მარცხს ამით ხსნის. ის შეგირდის ბაქოში ჭიდაობასაც სასტიკად ეწინააღდეგება და თურმანიძეც მის შემცვლელად **ბექა ჭელიძეს** ასახელებს. გაურკვეველია ბერიანიძის საკითხიც - სხირელს ჯერ არ გადაუწყვეტია, მსოფლიოზე ის წაიყვანოს თუ მისი კონკურენტი **გიორგი საკანდელიძე**, რომელიც ახლახან ახალგაზრდებში ევროპის ჩემპიონი გახდა. სხირელის თქმით, ის შეგირდებს შეკრებაზე დააკვირდება და გადაწყვეტილებასაც ამის შემდეგ მიიღებს, მანამდე კი ორივე შეგირდის თავისთან ყოფნა სურს და ბერიანიძის ბაქოში წასვლასაც ამიტომ ეწინააღმდეგება.

ამ პრობლემების გარდა, არის ტრავმებით გამოწვეული ცვლილებებიც. მაგალითად, ბერძენ-რომაელი გულიაშვილი აპენდიციტის უმძიმესი ოპერაციების შემდეგ ვარჯიშს ჯერაც არ შესდგომია და მის ნაცვლად ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი **მანუჩარ კვირკველია** იჭიდავებს. მსოფლიოს შარშანდელი პირველობის შემდეგ ტურნირებისგან ისიც ისვენებს და საშეჯიბრო პრაქტიკა აკლია, ახლა კი მსოფლიოს წლევანდელი პირველობისთვის ემზადება, რომელსაც 6-12 სექტემბერს მოსკოვი უმასპინძლებს.

არაა გამორიცხული, ბაქოს ტურნირამდე გუნდებში კიდევ მოხდეს გარკვეული ცვლილებები, აი, ამ შეჯიბრების შემდეგ კი გაირკვევა, ვის ექნება სატურნირო პრაქტიკის დეფიციტი და ვის დასჭირდება დამატებით შეჯიბრებაზე ჭიდაობა. ბერძენ-რომაელებს ასეთად პოლონეთის ტურნირი აქვთ შეგულებული. სავარაუდოდ - „თავისუფლებსაც", თუმცა ესენი თავიდან ესპანეთზეც ლაპარაკობდნენ. საერთოდ, მსოფლიოს პირველობისთვის მზადების გამო, ივლისი და განსაკუთრებით - აგვისტო საერთაშორისო ტურნირებით ღარიბია. თუმცა, სადაც უნდა წავიდნენ ჩვენები, ერთი რამ ცხადია - იქ მხოლოდ რამდენიმე ფალავანი წავა და არა სრული გუნდები.

ბაქოს შემდეგ ნაკრებები ისევ შეკრებებით გააგრძელებენ მსოფლიოს პირველობისთვის მზადებას, ოღონდ აქ მათი გზები, შესაძლოა, გაიყოს - „თავისუფლები" ნამდვილად დუშეთში, ახალგახსნილ ოლიმპიურ ბაზაზე გაივლიან ამ შეკრებას, ბერძენ-რომაელებს კი უცხოეთში სურთ ერთობლივ ვარჯიშებზე წასვლა. მათ ამის გაკეთება მინსკში, „სტაიკების" ოლიმპიურ ბაზაზე სურდათ, მასპინძლებთან შეთანხმებულნიც იყვნენ, მაგრამ მოულოდნელად თავად **ალექსანდრ მედვედის** შეგირდებმა შეცვალეს გეგმა და სახლის ნაცვლად უკრაინულ ალუშტაში ამჯობინეს წასვლა. მათ ჩვენებს შესთავაზეს, ესენიც იქ წასულიყვნენ. წინასწარი მონაცემებით, სომხებიც იქ ჩადიან, იქნებიან უკრაინელებიც. ერთი-ორი გუნდიც და ძალიან ძლიერი ერთობლივი შეკრება გამოვა, მაგრამ ჩვენებს წასვლა ჯერ არ გადაუწყვეტიათ. ეს საკითხი უახლოეს დღეებში გაირკვევა. მესამე, დასკვნით შეკრებას კი ორივე გუნდი ისევ დუშეთში გაივლის.

**ირაკლი თავაძე**

ჭადრაკი — ფიდეს გრან-პრი




# ჯერმუკი გადათელა და გრან-პრიშიც დაწინაურდა

ბოლომდე ფიგურებიც რომ არ განუვითარებიათ, ისე მოაწერეს მე-13 სვლაზე ზავს ხელი **ნანა ძაგნიძემ** და ჩინელმა **ჰოუ იფანმა**. ეს მოსალოდნელიც იყო, რადგან ქართველ დიდოსტატს, სხვათა შედეგის მიუხედავად, სომხურ ჯერმუკში ფიდეს გრან-პრის მე-4 ტურნირში სუფთა გამარჯვების მოსაპოვებლად ნახევარი ქულა სჭირდებოდა. ნანამ 11 შესაძლებლიდან 9 ქულით (7 მოგება, 4 ყაიმი) დამსახურებულად დაიკავა პირველი ადგილი და გრან-პრის სერიის 160 ქულასთან ერთად ფულადი ჯილდო — 6500 ევროც დაიმსახურა. გზად 36 სარეიტინგო ქულაც გამოიმუშავა. ბოლო ტურში სომეხ ელინა დანიელიანთან მარცხის მიუხედავად, 7,5 ქულით მეორე ადგილი ევროპის ორგზის ჩემპიონმა, რუსმა ტატიანა კოსინცევამ დაიკავა, რითაც 130 ქულა და 4750 ევროც შეირგო.

კვლავ წააგო ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონმა **მაია ჩიბურდანიძემ**, ამჯერად ბულგარელ **ანტუანეტა სტეფანოვასთან**. ამ უკანასკნელმა სომეხ **ლილით მკრტიჩიანთან** (ბაირა კოვანოვას დაუზავდა) და ელინა დანიელიანთან ერთად 6,5-6,5 ქულით მესამე-მეხუთე ადგილები გაინაწილა.

ბოლო ტურის დანარჩენი ორი შეხვედრის შედეგი: **მარტა ფიერო** (ეკვადორი)-**პია კრამლინგი** (შვედეთი) 0:1, **შენ იანი** (ჩინეთი)-**სიუ იუჰუა** (ჩინეთი) 0,5:0,5.

საბოლოოდ ტურნირზე ადგილები ასე განაწილდა: 1. ნანა ძაგნიძე (9 ქულა; 6500 ევრო). 2. ტატიანა კოსინცევა (7,5; 4750), 3. ლილით მკრტიჩიანი (6,5; 4000), 4. ანტუანეტა სტეფანოვა (6,5; 3750), 5. ელინა დანიელიანი (6,5; 3500), 6. ჰოუ იფანი (6; 3250), 7. პია კრამლინგი (5,5; 3000), 8. შენ იანი (5,5; 2750), 9. მაია ჩიბურდანიძე (4,5; 2500), 10. სიუ იუჰუა (4; 2250), 11. ბაირა კოვანოვა (3; 2000), 12. მარტა ფიერო (1,5; 1750).

ოთხი ტურნირის შემდეგ ქალთა გრან-პრის გათამაშებაში 390 ქულით (3 ტურნირის ჯამში) ერთპიროვნულად ნანა ძაგნიძე დაწინაურდა. ლიდერს 70 ქულით ჩამორჩება ჰოუ იფანი (3), 290 ქულით (2) მესამე ადგილზეა ტატიანა კოსინცევა. მომდევნო ადგილებზე მოდიან ჩინელი ჟაო სიუ — 250 (3) და პია კრამლინგი — 225 (3).

გრან-პრის თითოეული მონაწილე 6-დან 4 ტურნირს ითამაშებს, საიდანაც 3 საუკეთესო შედეგი საერთო ჩათვლაში შევა. გამარჯვებული 2011 წლის მიწურულს მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულისთვის რუს ალექსანდრა კოსტენიუკს დაუპირისპირდება.

გრან-პრის სერიის მეხუთე ტურნირი ულან-ბატორში 29 ივლისიდან 12 აგვისტომდე გაიმართება.

**ვაჟა დანელია**

# პენსილვანია გულუხვობს

ამერიკის ქალაქ ველი-ფორჯში (პენსილვანია) დასასრულს უახლოვდება მოჭადრაკეთა მსოფლიოს ღია ტურნირი, რომლის საპრიზო ფონდია 250 000 დოლარი. შვეიცარიული სისტემით 9 ტურად 9 ნომინაციაში გამოვლინდებიან გამარჯვებულები და პრიზიორები (თითოეულში 10-10 საუკეთესო დაჯილდოვდება). ღია სექციაში უძლიერესმა მოჭადრაკეებმა მოიყარეს თავი. 118 მონაწილიდან 36 დიდოსტატია. მათ შორის — ესპანელი **ფრანსისკო ვალიეხო** (რეიტინგი 2705), ამერიკელი **გატა კამსკი** (2702), ებრაელი **ილია სმირინი** (2634), ინდოელი **ჰარიკრიშნა** (2660), ჰოლანდიელი **ლიუკ ვან ველი** (2653). საპრიზო ადგილებისთვის ქართველი დიდოსტატები — **გიორგი ყაჭეიშვილი** (2587) და **მიხეილ კეკელიძეც** (2436) იბრძვიან.

ტურნირი შესანიშნავად დაიწყო ჩეხმა **ვიქტორ ლაზნიჩკამ**, რომელმაც ზედიზედ ექვსი პარტია მოიგო, მეშვიდეში კი ჰარიკრიშნას დაუზავდა და შვიდი შესაძლებლიდან 6,5 ქულით ერთპიროვნულად მეწინავეობს. ლიდერს თითო ქულით ჩამორჩებიან ჰარიკრიშნა, სმირინი, ინგლისელი **ლუკ მაკშეინი** (2623), ყაზახი **მურთაზ კაჟგალიევი** (2609), ამერიკელი **რობერტ ჰესი** (2595). 9 მოჭადრაკეს 5-5 ქულა აქვს, ხოლო 16 მონაწილეს — 4,5-4,5 ქულა. ამ ჯგუფში არიან ჩვენებურები — ყაჭეიშვილი და კეკელიძე. მე-7 ტურში გიორგიმ ამერიკელ მოლნერს სძლია (ზედიზედ 4 პარტია მოიგო), ხოლო მიხეილმა ინდოელ სანდიპან ჩანდასთან გაიყო ქულა.

ველი-ფორჯის ღია სექციის გამარჯვებული 20 000 ამერიკული დოლარით დაჯილდოვდება, მეორეადგილოსანს 10 000 დოლარი შეხვდება, მესამეადგილოსანი 5000 დოლარს მიიღებს...

**ვაჟა დანელია**



მარიამ დანელია

# დესანტი მონაგარს ზრდის

კონიაში მოჭადრაკეთა თურქეთის გუნდურ ჩემპიონატზე გუშინ ორი ტურის პარტიები გათამაშდა. მე-8 ტურში ლიდერების — „მანისას" და „ადანას" დაპირისპირება ფრედ (5:5) დამთავრდა, მესამე-მეოთხე ადგილებზე მყოფმა „ბეშიქთაშმა" და „ისეკმა" მეტოქეები — „ბურსას" საჭადრაკო კლუბი და ამავე ქალაქის უნივერსიტეტის ნაკრები, შესაბამისად, 8:2 და 8,5:1,5 გაანადგურეს. „ისეკს" პირველ ოთხ დაფაზე ქულები მოუტანეს ფიდეს მსოფლიოს ჩემპიონმა **რუსტამ კასიმჟანოვმა** (**გიორგი მარგველაშვილი** დაამარცხა), **მაიკლ ადამსმა, სუათ ატალიკმა** და **ლევან ფანცულაიამ**, ხოლო ევროპის ჩემპიონმა **ეკატერინა ატალიკმა** მხოლოდ ნახევარი ქულა შესძინა გუნდს.

მეცხრე ტურში ისევ გაიმარჯვეს „მანისამ" და „ადანამ", რომლებსაც 17-17 ქულა აქვთ. „ისეკმა" უშუალო კონკურენტ „ბეშიქთაშს" მინიმალური ანგარიშით - 5,5:4,5 აჯობა და 14 ქულით მესამე ადგილზე დამკვიდრდა.

უკვე გაუწყეთ, რომ თურქეთის გუნდურ ჩემპიონატში საქართველოს 12 წარმომადგენელი მონაწილეობს. განსაკუთრებით ყოჩაღობენ **მარიამ დანელია** და **ლევან ფანცულაია**, რომლებმაც 9 შესაძლებლიდან 8,5-8,5 ქულა მოაგროვეს. დანარჩენ ჩვენებურთა მონაგარი ასეთია: **სოფიკო გურამიშვილი**-7(9), **მიხეილ მჭედლიშვილი**-6 (9), **ქეთი წაწალაშვილი**-5 (9), **გიორგი მარგველაშვილი**-5 (9), **სალომე მელია**-5 (9), **მერაბ გაგუნაშვილი**-5 (8), **დავით არუთინიანი**-5 (9), **თამაზ გელაშვილი**-4 (8), **სოფიო გვეტაძე**-4 (9), **თორნიკე სანიკიძე**-2,5 (9) ქულა.

**ვაჟა დანელია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველოსპორტი — საქართველოს ჩემპიონატი

# ნადირაძემ ყველგან იპირველა

საქართველოს ჩემპიონატი საგზატკეცილო ველორბოლაში თბილისის, ქუთაისის, ზესტაფონისა და აჭარის წარმომადგენლების მონაწილეობით გაიმართა.

დიდი ინტერესი გამოიწვია უფროსი ასაკის ჯგუფურმა რბოლამ მარშრუტით: თბილისი-ფასანაური-ბაზალეთი (135 კმ). 40 კმ-ის შემდეგ დაწინაურდნენ აჭარელები **გიორგი ნადირაძე** და **ნოდარ კაცაძე**, თბილისელი **არჩილ მახარაშვილი** და ქუთაისელი **ნოდარ ყვავაძე**.

ნადირაძის ტემპს ვერც ერთმა მეტოქემ ვერ გაუძლო და მან პირველმა, ხოლო ორი წუთის შემდეგ მახარაშვილმა გადაკვეთა ფინიშის ხაზი., მესამე-მეოთხე ადგილი გაიყვეს ყვავაძემ და კაცაძემ, რომლებიც 6 წუთით ჩამორჩნენ გამარჯვებულს.

ეულად რბოლა მთაგორიან ტრასაზე მომაბეზრებელია, მაგრამ ნადირაძეს სხვა რა დარჩენოდა - მან სამივე ეტაპი მოიგო და ქვეყნის აბსოლუტური ჩემპიონი გახდა.

დაკომპლექტდა ნაკრები, რომელიც მოზრდილთა შორის ირანის საერთაშორისო შეჯიბრებაში იასპარეზებს. ზემოხსენებული ოთხეულის გარდა ნაკრებში გამოვლენ ქუთაისელი **ვიტალი ეროხინი** და თბილისელი **ჯულხა არაბული**.

| ქვარცხლბეკი |
|---|
| **დიდები. პროლოგი. რბოლა მთაში 2,7 კმ** |
| 1. გიორგი ნადირაძე (აჭარა) – 5.57 |
| 2. არჩილ მახარაშვილი (თბილისი) – 6.32 |
| 3. ნოდარ კაცაძე (აჭარა) – 6.33. |
| **ინდივიდუალური რბოლა 32 კმ** |
| 1. გიორგი ნადირაძე – 42.39 |
| 2. ნოდარ კაცაძე – 44.43 |
| 3. ნოდარ ყვავაძე (ქუთაისი) – 46.45 |
| **ჯგუფური რბოლა 135 კმ** |
| 1. გიორგი ნადირაძე – 3.22 |
| 2. არჩილ მახარაშვილი – 3.24 |
| 3. ნოდარ ყვავაძე – 3.28 |
| **ჭაბუკები. პროლოგი (რბოლა მთაში 2,7 კმ)** |
| 1. გიორგი ნარეკლიშვილი (თბილ.) – 6.29. |
| 2. ლევან მიქელაძე (თბილისი) – 6.43 |
| 3. გიორგი სიდიანი (თბილისი) – 6.44 |
| **ინდივიდუალური რბოლა 15 კმ** |
| 1. გიორგი სიდიანი – 21.27 |
| 2. ირაკლი ბაბლიძე (თბილისი) – 21.52 |
| 3. გიორგი ნარეკლიშვილი – 21.56 |
| **ჯგუფური რბოლა 69 კმ** |
| 1. ირაკლი ბაბლიძე |
| 2. გიორგი ნარეკლიშვილი |
| 3. გიორგი სიდიანი |

„ლელოს“ კორ.



გიორგი ნადირაძე

სუმო





გაგამარუ (მარცხნივ) და ტოჩინოშინი ახალ ბანძუკეში თავიანთ ადგილს აჩვენებენ

# არის მეორე ქართველი კომუსუბიც!

## სამი ჩვენებური ელიტაში

სათამაშო ბიზნესთან დაკავშირებულ სკანდალში გახვეულმა სუმოს ასოციაციამ ერთი კვირის დაგვიანებით გამოაქვეყნა ივლისის ბანძუკე (რეიტინგ-ლისტი). სუმოს ქართველი გულშემატკივრებისთვის კარგი ამბავი გვაქვს - როგორც მოსალოდნელი იყო, **ლევან გორგაძე (ტოჩინოშინი)** სუმოს იერარქიაში რანგით მეოთხე (იოკოძუნას, ოძეკის, სეკივაკეს შემდეგ), კომუსუბის ტიტულით დააჯილდოვეს. დღეიდან 22 წლის ტოჩინოშინი დასავლეთის კომუსუბია.

პირველად ისტორიაში ელიტურ დივიზიონ მაკუუჩიში სამი ქართველი სუმოისტი იჭიდავებს. ტოჩინოშინზე უკვე მოგახსენეთ და, მე-12 მაეგაშირას რანგი მიენიჭათ 23 წლის **თეიმურაზ ჯუღელს (გაგამარუ)** და 29 წლის **ლევან ცაგურიას (კოკაის)**. თუკი პირველი ალზევდა ძურიოს დივიზიონიდან, პრეზიდენტის ბრწყინვალების ორდენოსანი კოკაი წინა ბაშოზე ცუდი ასპარეზობის გამო დაქვეითდა და ახლა დებიუტანტ თანამემამულეზე ნახევარი საფეხურით დაბლა დგას, რადგან გაგამარუ აღმოსავლეთის მე-12 მაეგაშირაა, ხოლო კოკაი - დასავლეთის.

რეიტინგში შეყვანილია ოძეკი **კოტომიცუკიც**, რომელიც სუმოს ასოციაციამ დიდძალი თანხით (ლაპარაკია მილიონობით დოლარზე) იატაკქვეშა ტოტალიზატორებში თამაშის გამო უკვე სამუდამოდ მოჰკვეთა სპორტიდან. კოტომიცუკის სახელს და მის რეკორდებს მომდევნო ბანძუკეზე ამოიღებენ კლასიფიკაციიდან. ბუნებრივია, იაპონელთა საყვარელი ოძეკი ვერ იასპარეზებს ნაგოიას ბაშოზე, რომელიც ერთობ უჩვეული იქნება. კოტომიცუკის გარდა, კიდევ 18 სუმოისტი დაისაჯა, ოღონდ გაცილებით რბილად - მათ ივლისის ბაშოს გამოატოვებინებენ. „შავ სიაში“ არიან: ყოფილი ოძეკი **მიაბიამა** (მე-5 მაეგაშირა), ყოფილი სეკივაკეები **ტოიონოშიმა** (მე-5 მაეგაშირა) და **გოეიდო** (მე-4 მაეგაშირა), ყოფილი კომუსუბი ფუტენო, ტოიოჰიბიკი (მე-6 მაეგაშირა), ოკინოუმი (მე-14 მაეგაშირა), ვაკაკოიუ (მე-8 მაეგაშირა), ძურიოს დივიზიონის რიკიშები **ჩიოჰაკუჰო, კასუგანიშიკი, კიოსეუმი, დაიდო** და სხვები. როგორც ხედავთ, უმაღლეს დივიზიონს ერთბაშად 7 სუმოისტი დააკლდება.

მაკუუჩიში სულ სამი დებიუტია და აქედან ორი ქართველებს ეხება: ორივე კომუსუბი პირველად ავიდა ამ სიმაღლეზე, ტოჩინოშინი და 27 წლის მონღოლი **ჰაკუბა**. დივიზიონსაც ერთადერთი დებიუტანტი ჰყავს - გაგამარუ. ნაგოიას ბაშო 11 ივლისს დაიწყება აიჩის პრეფექტურის გიმნაზიუმში და 25 ივლისამდე გასტანს. თანამედროვე სუმოს ისტორიაში ყველაზე უცნაური ბაშო ბევრს დაკარგავს, რადგან უკვე უარი თქვეს სპონსორმა „ნაგატანი ენმა“ და მზღვეველმა „ასაჰი სეიმეიმ“. ტელეკომპანია ნჰკ-ს ეთერში ყოველდღიურად ათასობით იაპონელი რეკავს და ითხოვს, კომპანიამ გააუქმოს ბაშოს პირდაპირი ტრანსლაცია, იმდენად აღშფოთებულნი არიან გულშემატკივრები მათი საყვარელი რიკიშების საქციელით. 40-მდე რიკიში შემჩნეულია იაპონური კარტის ჰანაფუდას ფულზე თამაშში, მათ შორის დიდი ჩემპიონი **ჰაკუჰო**. თუმცა საქმე ეხებოდა სულ რამდენიმე ასეულ დოლარს, რომლითაც მეგობრები მოცალეობის ჟამს ირთობდნენ თავს. ამიტომაც სუმოს ასოციაციამ მკაცრად არ დასაჯა ეს სუმოისტები, თუმცა მათი სახელით ტელეეთერით ბოდიში ჰაკუჰომ მოუხადა იაპონელ ხალხს. აი, ასეთი მკაცრი წესებია სუმოს სამყაროში.

**ივლისის თვის ბანძუკე**

| აღმ. | რანგი | დას. |
|---|---|---|
| ჰაკუჰო | იოკოძუნა | - |
| ჰარუტო | ოძეკი | ჰარუმაფუჯი |
| კოტოოშუ | ოძეკი | ~~კოტოოიცუკი~~ |
| - | ოძეკი | კაიო |
| კისენოსატო | სეკივაკე | კოტოშოგიკუ |
| ჰაკუბა | კომუსუბი | **ტოჩინოშინი** |
| ტოჩიოძანი | მაეგ.1 | ასასეკირიუ |
| არანი | მ 2 | ამინიშიკი |
| კიოკუტენჰო | მ 3 | ტოკიტენკუ |
| ~~გოეიდო~~ | მ 4 | კიტატაიკი |
| ~~ტოიონოშიმა~~ | მ 5 | ~~მიაბიამა~~ |
| კაკურიუ | მ 6 | ~~ტოიოჰიბიკი~~ |
| ვაკანოსატო | მ 7 | ტოკუსეგავა |
| ~~ვაკაკოიუ~~ | მ 8 | იოშიკაძე |
| შიმოტორი | მ 9 | კაკიძოე |
| მოკონამი | მ 10 | ტოსაიუტაკა |
| ტაკეკაძე | მ 11 | ტაკამისაკარი |
| **გაგამარუ** | მ 12 | **კოკაი** |
| ჰომაშო | მ 13 | კიმურაიამა |
| ტამავაში | მ 14 | ~~დაიდოუმი~~ |
| ბუშუიამა | მ 15 | ჰოკუტორიკი |
| ტამაასუკა | მ 16 | შოტენრო |

*შენიშვნა: სიაში გადახაზულია ნაგოიას ბაშოზე დისკვალიფიცირებული სუმოისტები.*

ნიკოლოზ ნეფარიძე

ჩოგბურთი

# ტატიშვილი და კალაშნიკოვა ერთად

უიმბლდონის ტურნირის გამო ორკვირიანი შესვენების შემდეგ გამოქვეყნდა ახალი რეიტინგ-ლისტი. უპირველესად ქალთა შორის ცვლილებები გვაინტერესებს, რადგან ვაჟებში კატასტროფული ვითარება გვაქვს. ჩვენმა პირველმა ჩოგანმა უკან დაიხია, მეორემ კი წაიწია, ამიტომაც ახლა მსოფლიო კლასიფიკაციაში 20 წლის ანა ტატიშვილი და 19 წლის ოქსანა კალაშნიკოვა ერთად არიან. ორივეს 368-368 ქულა აქვს, ანამ ამ ქულებს 29 ტურნირში მოუყარა თავი, ოქსანამ - 27-ში. ტატიშვილი მსოფლიოს 155-ე (-9) ჩოგანია, ხოლო კალაშნიკოვა - 156-ე (+4), ამით ოქსანამ თავისი საუკეთესო მიღწევა გაიმეორა. ტატიშვილი წლის რბოლაში 140-ე პოზიციაზეა, წყვილთა რეიტინგში - 118-ეზე. კალაშნიკოვა წლის რბოლაში 213-ეა, წყვილებში - 120-ე. სხვათა შორის, ტატიშვილი და კალაშნიკოვა ახლაც ერთად არიან შვედეთში ამ ქვეყნის ღია პირველობაზე, რომლის წყვილთა ბადეში იასპარეზებენ, ოღონდ სხვადასხვა დუეტში.



ანა ტატიშვილი

მე-2 ასეულს დაუბრუნდა **მაკა ჩახნაშვილი**, რომელმაც სულ სამი საფეხურით წაიწია - მაკა 268 ქულით (ანუ თანამემამულეებზე 100 ქულით ნაკლები) მსოფლიოს 198-ე ჩოგანია. წინსვლა აქვს **სოფიო შაფათავასაც**, იგი 153 ქულით 293-ე (+9) პოზიციაზეა. სხვები: 371 (-1) **თათია მიქაძე** - 101 ქულა; 400 (-) **მანანა შაფაქიძე** - 85; 416 (+8) **სოფიო ქვაცაბაია** - 81; 552 (-3) **ეკა გორგოძე** - 49; 1032 (+10) **ანა ჯიქია** - 4.

ვაჟთა რეიტინგში 600-ეულიდანაც გავარდა ჩვენი საუკეთესო ჩოგბურთელი **ნიკოლოზ ბასილაშვილი**. 18 წლის ჩოგბურთელი 33 ქულით მსოფლიოს 626-ე (-35) ჩოგანია. 63 საფეხურით დაიხია უკან **ლაზარე კუხალაშვილმა**, რომელიც 3 ქულით 1 226-ე პოზიციაზეა. სიაში კიდევ ოთხი თითოქულიანი ქართველია.

ნიკოლოზ ნეფარიძე



ოქსანა კალაშნიკოვა

თბილისის მერიის თასი

23 ივლისი
ბელარუსი-უკრაინა 15:30
საქართველო-რუმინეთი 18:00

24 ივლისი
უკრაინა-რუმინეთი 15:30
საქართველო-ბელარუსი 18:00

25 ივლისი
რუმინეთი-ბელარუსი 15:30
საქართველო-უკრაინა 18:00

GBF
adjarabet

www.sport.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მარიამ ბებიას ბოიფრენდი გააცნო

უიმბლდონის მერვედფინალში წაგების შემდეგ რუსმა ჩოგბურთელმა **მარია შარაპოვამ** ბელარუსში გამგზავრება გადაწყვიტა. იქ მარია ორი მიზეზით ჩავიდა - ჩოგბურთელი გაერთიანებული ერების კეთილი ნების ელჩია და საქველმოქმედო მიზნებით ბელარუსის ტერიტორიაზე ჩერნობილის ავარიით დაზარალებულ რაიონებს ეწვია. გარდა ამისა, შარაპოვამ ქალაქ გომელში მონატრებული ბებია მოინახულა და მას თავისი ბოიფრენდი - „ლოს ანჯელეს ლეიკერსის" სლოვენიელი კალათბურთელი **საშა ვუიაჩიჩი** გააცნო.

შარაპოვა 10 წელია, რაც ბელარუსში არ ყოფილა. მარია სწორედ გომელში ჩაისახა, მაგრამ ატომური სადგურის ავარიის შემდეგ მისი მშობლები ნიაგანში გადასახლდნენ, ოთხ წელიწადში გომელში დაბრუნდნენ და იქ ორი წელი იცხოვრეს, შემდეგ იყო სოჭი და ბოლოს - ამერიკა.

ჩოგბურთელი თავის ბოიფრენდთან ერთად ბელარუსში საკუთარი თვითმფრინავით ლონდონიდან ჩავიდა. რამდენიმე ოფიციალური ღონისძიების შემდეგ, მარია ბებიას ესტუმრა, რომელსაც ახალი ბინა აქვს ცხრასართულიან „ხრუშჩოვკაში". ბოროტი ენები ამბობენ, რომ მარიამ ბებიას საცხოვრებელი ადგილის გაუმჯობესებისთვის მხოლოდ 3 ათასი დოლარი გამოუყო, თუმცა შეეძლო თავისი მილიონებით უკეთესი სახლი შეეძინა, მით უმეტეს, რომ „ხრუშჩოვკის" გვერდით პრესტიჟული საცხოვრებელი კომპლექსი მდებარეობს.

ჟურნალისტის კითხვაზე, ეხმარება თუ არა მარია ბებიას, მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა სიცილით უპასუხა: *„რა თქმა უნდა! ჭურჭელს ვრეცხავ!"*.

# ბერდიხმაც უარი თქვა



უიმბლდონის ფინალისტი **ტომაშ ბერდიხი** არ ითამაშებს მომავალ უქმეებზე დევისის თასის მეოთხედფინალში, რომელშიც ჩეხეთის ნაკრები ჩილეს ქალაქ კოკიმბოში შეხვდება. მატჩი 9-11 ივლისს გაიმართება.

ფინალში **რაფაელ ნადალთან** დამარცხების შემდეგ ბერდიხმა მუცლის ტრავმა მოიმიზეზა და ამის გამო თქვა უარი ჩეხეთის ნაკრებში თამაშზე. შეგახსენებთ, რომ უფრო ადრე, დევისის თასზე გამოსვლა იუარა ჩეხების მეორე ლიდერმა **რადეკ შტეპანეკმა** - მას მუხლი აქვს დაზიანებული. ასე რომ, მომავალ შეხვედრაში ევროპელთა გუნდის შანსმა მნიშვნელოვნად იკლო.

შეგახსენებთ, რომ დანარჩენ წყვილებში ერთმანეთს ხვდებიან: რუსეთი-არგენტინა, საფრანგეთი-ესპანეთი და ხორვატია-სერბეთი.

### რეიტინგები

| ATP-ის რეიტინგი | |
|---|---|
| 1(1). რაფაელ ნადალი (ესპ) | 10 745 |
| 2(3). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 6 905 |
| 3(2). როჯერ ფედერერი (შვეიც) | 6 885 |
| 4(4). ენდი მიურეი (ბრიტ) | 5 155 |
| 5(6). რობინ სიოდერლინგი (შვედ) | 4 935 |
| 6(5). ნიკოლაი დავიდენკო (რუს) | 4 740 |
| 7(8). ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ) | 4 350 |
| 8(13). ტომას ბერდიხი (ჩეხ) | 3 845 |
| 9(7). ენდი როდიკი (აშშ) | 3 490 |
| 10(9). ფერნანდო ვერდასკო (ესპ) | 3 475 |
| 11(10). ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ) | 3 455 |
| 12(11). დავიდ ფერერი (ესპ) | 3 100 |
| 13(12). მარინ ჩილიჩი (ხორ) | 2 865 |
| 14(14). მიხაილ იუჟნი (რუს) | 2 700 |
| 15(16). იურგენ მელცერი (ავსტრია) | 2 215 |
| 15(15). ივან ლუბიჩიჩი (ხორ) | 2 200 |
| 17(20). გაელ მონფილსი (საფ) | 1 995 |
| 18(19). ჯონ ისნერი (აშშ) | 1 925 |
| 19(21). სემ კუერი (აშშ) | 1 910 |
| 20(18). ნიკოლას ალმაგრო (ესპ) | 1 880 |

| WTA-ის რეიტინგი | |
|---|---|
| 1(1). სერენა უილიამსი (აშშ) | 8475 |
| 2(3). ელენა იანკოვიჩი (სერ) | 5900 |
| 3(4). კაროლინ ვოზნიაცკი (დან) | 5630 |
| 4(2). ვენუს უილიამსი (აშშ) | 5606 |
| 5(6). სამანტა სტოსური (ავსტრა) | 4890 |
| 6(5). ელენა დემენტიევა (რუს) | 4670 |
| 7(8). კიმ კლაისტერსი (ბელ) | 4510 |
| 8(7). ფრანჩესკა სკიავონე (იტა) | 4425 |
| 9(21). ვერა ზვონარევა (რუს) | 3965 |
| 10(12). ნა ლი (ჩინ) | 3756 |
| 11(9). აგნიეშკა რადვანსკა (პოლ) | 3730 |
| 12(10). ფლავია პენეტა (იტა) | 3450 |
| 13(16). ჟუსტინ ანენი (ბელ) | 3415 |
| 14(13). მარიონ ბარტოლი (საფ) | 3366 |
| 15(17). მარია შარაპოვა (რუს) | 3260 |
| 16(15). შაარ პეერი (ისრ) | 3175 |
| 17(18). იანინა ვიკმაიერი (ბელ) | 3135 |
| 18(11). ვიქტორია აზარენკა (ბლრ) | 3090 |
| 19(14). ნადია პეტროვა (რუს) | 3075 |
| 20(19). სვეტლანა კუზნეცოვა (რუს) | 2880 |

*ინტერვიუ სერენა უილიამსთან*

# 38 წლამდე არ ვითამაშებ

**სერენა უილიამსმა**, რომელმაც შაბათს თავისი მეოთხე უიმბლდონი და „დიდი სლემის" მე-13 ჩემპიონატი მოიგო, ვერა ზვონარევასთან ფინალის შემდეგ აღიარა, რომ არ უყვარს საკუთარი რეკორდების თვლა, რადგან ცხოვრებაში სხვა, უფრო საინტერესო საქმეები ეგულება, მაგალითად, გაჭირვებული ადამიანების დახმარება.

**- თქვენი ძველი გამარჯვებების შეფასებისას, რა ადგილს მიაკუთვნებდით წლევანდელ ტრიუმფს?**

- ეს გამარჯვება ბევრს ნიშნავს - ის ხომ რიგით მეცამეტეა?! შესანიშნავია, რადგან ტიტულების რაოდენობით ბილი ჯინ კინგს გავასწარი. მაგრამ არ ვიცი ეს მოგება რომელ ადგილზე დავაყენო. მთავარია, რომ ახლა უიმბლდონის ოთხი ტიტული მაქვს.

**- ჯერ კიდევ ნერვიულობთ ასეთი მატჩების დროს?**

- რა თქმა უნდა. მე ხომ ადამიანი ვარ?! ადამიანს კი არ შეუძლია ასეთ დაძაბულ მატჩებს მშვიდად შეხვდეს. მით უმეტეს, რომ ჩემგან ყველა გამარჯვებას ელოდა, ეს კი ფსიქოლოგიურ ზეწოლას ზრდის.

**- თქვენ თქვით, რომ საუკეთესო ჩოგბურთი ვერ აჩვენეთ, მაგრამ პირველი მოწოდებებით მოგებული ქულების 94 პროცენტი - ბრწყინვალე მაჩვენებელია.**

- დიახ, ეს კარგი შედეგია. თუმცა პირველი მოწოდების სიზუსტის პროცენტი იყო მეტისმეტად დაბალი.

**- ოდესღაც მამათქვენი გასწავლიდათ ჩაწოდებას. მაშინ წარმოიდგენდით, რომ თქვენი მოწოდება საუკეთესო გახდებოდა ქალთა ტურის ისტორიაში?**

- ახლა ამას ასე უწოდებენ? კარგი, დაყენებული მოწოდება მაქვს და შემიძლია ბურთი იქითკენ გავუშვა, საითაც მომინდება. ხანდახან ეს უკეთ გამომდის, ვიდრე უბრალოდ ძლიერი მოწოდება. მაგრამ ბავშვობაში ამაზე არასოდეს მიფიქრია. მე და ვენუსი მოწოდებაზე ვვარჯიშობდით და ამას სერიოზულად არ აღვიქვამდით.

**- „დიდი სლემის" რამდენი ტურნირის მოგებას აპირებთ კარიერაში? საერთო ჯამში რამდენი ტიტული დაგაკმაყოფილებთ?**

- ჯერჯერობით იმითაც კმაყოფილი ვარ, რომ 13 ტიტული მაქვს. არასოდეს იცი, რა გელის მომავალში. ვერავინ იფიქრებდა, რომ 13 გამარჯვებას მივაღწევდი, მაგრამ ვარჯიშებმა და ოცნების რეალიზაციისკენ სწრაფვამ თავისი საქმე გააკეთა და ახლა ტიტულოვანი ჩოგბურთელად მიმიჩნევენ.

**- რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის ჩოგბურთის ისტორიაში მოხვედრა და დიად ჩოგბურთელთა გვერდით ადგილის დაკავება?**

- რა თქმა უნდა, ამას დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ, თუმცა ამის შესახებ ბევრი არასოდეს მიფიქრია.

**- დაახლოებით ოთხი წლის წინ ბევრი გაკრიტიკებდათ ჩოგბურთისადმი ერთგვარი ინდიფერენტული დამოკიდებულების გამო. ამბობდნენ, რომ სხვადასხვა პროექტს უფრო მეტ დროს უთმობთ, ვიდრე უშუალოდ ჩოგბურთს. თქვენ მიგაჩნიათ, რომ კარიერაში ყველაფერს მიაღწიეთ და მოახერხეთ სრულად საკუთარი ნიჭის რეალიზება?**

- დღესაც მიყვარს სხვა პროფესიებში ძალების მოსინჯვა, უფრო მეტიც, დაკავებული ვარ სხვა საქმეებით. სხვის აზრს არასოდეს ვუსმენდი - მათი გადასაწყვეტი არ არის, ჩოგბურთს ვითამაშებ თუ არა. ეს მე არ მაღელვებს და არც არასოდეს მაღელვებდა. მთავარია ცხოვრებაში ბედნიერი იყო. ვიგებ თუ ვმარცხდები კორტზე - ეს ჩემი ცხოვრებაა.

**- თქვენ თქვით, რომ ბილი ჯინ კინგს გაუსწარით. რას ფიქრობთ იმ ჩოგბურთელებზე, რომლებიც „დიდი სლემის" ტიტულების რაოდენობით ჯერ კიდევ თქვენზე წინ არიან?**

- ვიცი, რომ მისწრებს მარტინა ნავრატილოვა და კიდევ ხუთი თუ ექვსი ჩოგბურთელი, ზუსტად არ მახსოვს (სერენაზე წინ ხუთი ჩოგბურთელია: მარგარეტ კორტი - 24 ტიტული, შტეფი გრაფი - 22, ჰელენ უილს მუდი - 19, მარტინა ნავრატილოვა - 18, კრის ევერტი - 18 - რედ.). ხომ გითხარით, რომ ასეთ რამეებზე არ ვფიქრობ. მიყვარს ჩემი ოჯახი, ჩემი ძაღლები, კინოში სიარული, კითხვა, მაღაზიების თვალიერება... რეკორდების შესწავლა კი არ მაინტერესებს. მირჩევნია, რაც შეიძლება მეტი სკოლა გავხსნა აფრიკასა და ამერიკაში, დავეხმარო ადამიანებს. მინდა მათ არა მხოლოდ კარგ ჩოგბურთელად ვახსოვდე, არამედ კარგ ადამიანადაც, რომელიც სხვებს დახმარებას უწევდა.

**- დაახლოებით თუ გაქვთ განსაზღვრული კარიერის დასრულების მომენტი? ადრე იფიქრებდით, რომ 28 წლამდე გააგრძელებდით თამაშს?**

- დიახ, ამაზე მიფიქრია. რაც შეეხება კონკრეტულ მომენტს... ვინ იცის?! ყოველთვის ვზრუნავ ჯანმრთელობაზე და თან ვცდილობ საუკეთესო თამაში ვაჩვენო. ზუსტად არ ვიცი რა ასაკამდე ვითამაშებ.

**- არსებობს თუ არა იმის ალბათობა, რომ ეს ასაკი 38 წელი იქნება?**

- თუ ასეთი რამ მოხდება, პირადად თქვენ გთხოვთ, რომ კორტზე გამოხვიდეთ და იქიდან გამათრიოთ. ვერ ვხედავ მიზეზს ჩოგბურთში 38 წლამდე დავრჩე.

**- ფრენკ სინატრას რამდენი სიმღერა გაქვთ აიპოდში?**

- საერთოდ უცნაური კრებული მაქვს. აქ არის სინატრა, მოცარტი და მათთან ერთად ლილ ჯონი და როსკო დეში.

**- თქვენ ახსენეთ პროექტები აფრიკასა და ამერიკაში. დღეს ბევრ პროექტზე მუშაობთ? აპირებთ თუ არა მომავალში მათი რაოდენობის სერიოზულად გაზრდას?**

- ყოველთვის მინდა უფრო მეტის მიღწევა, ვიდრე აქამდე გამიკეთებია. გავაგრძელებ აფრიკული პროექტების მხარდაჭერას და შევეცდები ბავშვებს ამერიკულ სკოლებში სწავლის საშუალება მივცე.

**- რამდენად რთულია იმ ფინალებში თამაში, როცა კორტის მეორე მხარეს ვენუს უილიამსი დგას?**

- გაცილებით რთულია რამდენიმე მიზეზის გამო. ჯერ-ერთი, ის ძალიან კარგად აწვდის, აკეთებს ბევრ ეისს და სერიოზულად მირთულებს ცხოვრებას. რთულია ფსიქოლოგიური თვალსაზრისითაც - მე ხომ ვიცი, რომ ყველაზე ძლიერ კონკურენტთან მაქვს საქმე. ასე რომ, ასეთ მატჩებში უფრო მაღალ დონეზე მიწევს თამაში.

**- თქვენი დის გარდა, რომელ მეტოქეს ახასიათებს მიღებასა და მოწოდებაზე კარგი თამაში?**

- ვფიქრობ, ასეთი იყო ლინდსი დავენპორტი. ის ძალიან მაღალია და ყოველთვის აგრესიულად და ზუსტად თამაშობდა. ალბათ, მის წინააღმდეგ ყველაზე მეტად მიჭირდა. საერთოდ ვცდილობ ყველა მეტოქეს სერიოზულად მოვეკიდო - პირველი წრიდან დაწყებული, ფინალით დამთავრებული. ყველას პატივს ვცემ და სერიოზულად ვემზადები მათთან სათამაშოდ, რადგან ვიცი, რომ ჩემ წინააღმდეგ ყველა საუკეთესო ჩოგბურთის ჩვენებას ცდილობს.

**- იდეალური ჩოგბურთის საჩვენებლად, რომელი ცნობილი ჩოგბურთელის სათამაშო ელემენტებს გადაიღებდით სიამოვნებით?**

- იმისთვის, რომ იდეალურ ჩოგბურთელად ჩამოვყალიბდე, რაფაელ ნადალის სისწრაფეს ავიღებდი, როჯერ ფედერერის ფორჰენდს... საკუთარ მოწოდებას დავიტოვებდი და ამას ვენუსის რეაქციას დავუმატებდი.

**- ფსიქოლოგია?**

- აქაც საკუთარის დატოვებას ვამჯობინებდი.

**- თქვენ უიმბლდონის ერთ-ერთი უდიადესი ჩემპიონი ხართ. წინა წლების დიდი ჩემპიონებიდან ვისთან ისურვებდით ცენტრალურ კორტზე თამაშს?**

- რა თქმა უნდა, მარტინა ნავრატილოვასთან. გარდა ამისა, ყოველთვის მინდოდა გაბრიელა საბატინისთან და კრის ევერტთან თამაში.

**- ვიდეოგამეორებების სისტემა - Hawk-eye ჩოგბურთში მნიშვნელოვან როლს თამაშობს. ფეხბურთში დიდი ხანია მიდის კამათი იმაზე, საჭიროა თუ არა მსგავსი ხერხით გოლის დაფიქსირება. რა შეგიძლიათ ურჩიოთ მათ, ვისაც ფეხბურთში ასეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება მოუწევს?**

- ამასთან დაკავშირებით არაფრის თქმა არ შემიძლია, რადგან მე ფეხბურთს არ ვთამაშობ. მაგრამ არასამართლიანად მიმაჩნია, როცა გოლს გაგაქვს და მსაჯი მას არ თვლის. ასე მოხდა ორჯერ ამერიკისა და ერთხელ ინგლისის ნაკრების შემთხვევაში. ეს აღმაშფოთებელია, ასე რომ...

**- ასე რომ, ფეხბურთში Hawk-eye-ის შემოღების მომხრე ხართ?**

- ვფიქრობ, საჭიროა ამის გაკეთება. ასეთი მომენტების გამო დიდ იმედგაცრუებას გრძნობს როგორც დაზარალებული გუნდი, ასევე მისი გულშემატკივარი, რომელმაც გამეორება ნახა და იცის, რა უსამართლობაც მოხდა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



ეროვნული ბიბლიოთეკა

მოტოსპორტი — მსოფლიოს ჩემპიონატი. VII ეტაპი

# თითქმის ჩემპიონი




მოტოგრან-პრის კლასში ჩემპიონატი პრაქტიკულად დასრულებულია, უფრო სწორად, თითქმის გარკვეულია ჩემპიონი - „იამაჰას“ პილოტმა **ხორხე ლორენსომ** აქამდე ჩატარებულ შვიდ რბოლაში მეხუთე მოიგო და დიდი უპირატესობით უსწრებს კონკურენტებს, თანაც ნუ დაგვავიწყდება, რომ ტრავმის გამო კარგა ხანი ვერ დაბრუნდება ტრასაზე მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი **ვალენტინო როსი.**

სტარტზე განსაკუთრებული უსიამოვნებები **დანი პედროსას** ელოდა. დისტანციის პირველ მეტრებზე ესპანელი მეორე ადგილზე გავიდა, მაგრამ პირველ მოსახვევში შეცდა და მეათე ადგილამდე ჩამოქვეითდა. ამასობაში, ლორენსომ შეინარჩუნა ლიდერის პოზიცია, თუმცა **სტოუნერი** კვალში ჩაუდგა. კეისიმ შეძლო ტემპის შენარჩუნება და ბრძოლა გაუმართა ესპანელს.

მაგრამ ავსტრალიელი არ გამხდარა ლორენსოს მთავარი პრობლემა. **ანდრეა დოვიციოზომ** დამაჯერებელი სტარტი აილო და მეორე წრე მეორე პოზიციაზე დაასრულა - სტოუნერი ჩამორჩა და იტალიელმა რბოლის ლიდერზე მიიტანა იერიში. ეს ტრიო მეტად მჭიდროდ მიდიოდა და ადრე თუ გვიან გასწრება გარდაუვალი იყო. ხორხე ლორენსომ გაქცევა ვერ შეძლო, როგორც ამას წინა ეტაპებზე აკეთებდა და მეოთხე წრეზე დოვიციოზო გაატარა.

მაგრამ ანდრეამ ლიდერობის შენარჩუნება ვერ შეძლო - რამდენიმე წუთის შემდეგ ხორხემ დაიბრუნა თავისი საყვარელი და ჩვეული პოზიცია. იტალიელი არ დანებდა, თუმცა მეორედ გასწრების რამდენიმე მცდელობის შემდეგ, ტრასაზე დაეცა და პრაქტიკულად აჩუქა გამარჯვება ესპანელს. ამ მომენტში ჩემპიონატის ლიდერის უკან... დანი პედროსა იმყოფებოდა. კატალონიელმა რამდენიმე წუთში რვა პოზიციის მოგება მოახერხა. ამაში მას კეისი სტოუნერიც დაეხმარა, რომელმაც მცირე შეცდომა დაუშვა.

ავსტრალიელმა არა მარტო დაკარგა გამარჯვების შანსი, არამედ კინაღამ პოდიუმის მიღმა დარჩა - კეისი მეხუთე ადგილამდე ჩამოქვეითდა, მაგრამ შემდეგ მოახერხა **რენდი დე პუნიეს** გასწრება, მესამე ადგილი კი დოვიციოზოს წაქცევის შემდეგ ერგო. ფინიშთან ახლოს სტოუნერმა პედროსას შეუტია, მაგრამ „ჰონდას“ საუკეთესო პილოტს ვერაფერი დააკლო.

**კატალონიის გრან-პრი**

1. **ხორხე ლორენსო** (ესპ, „იამაჰა“) - 43.22,805; 2. **დანიელ პედროსა** (ესპ, „ჰონდა“) - +4,754; 3. **კეისი სტოუნერი** (ავსტრა, „დუკატი“) - +4,956; 4. **რენდი დე პუნიე** (საფ, „ჰონდა“) - +18,057; 5. **ალვარო ბაუტისტა** (ესპ, „სუძუკი“) - +21,361; 6. **ბენ სპისი** (აშშ, „იამაჰა“) - +21,503...

**საერთო ჩათვლა**

1. **ხორხე ლორენსო** (ესპ, „იამაჰა“) - 165 ქულა; 2. **დანიელ პედროსა** (ესპ, „ჰონდა“) - 113; 3. **ანდრეა დოვიციოზო** (იტა, „ჰონდა“) - 91; 4. **რენდი დე პუნიე** (საფ, „ჰონდა“) - 69; 4. **ნიკი ჰეიდენი** (აშშ, „დუკატი“) - 69; 6. **კეისი სტოუნერი** (ავსტრა, „დუკატი“) - 67...

ფორმულა 1

# ისტორიული ალლუმი

ბრიტანეთის ქალაქ გუდვუდში ფორმულა 1-ის ისტორიული მანქანების ალლუმი გაიმართა. მოქმედმა და „ძველმა“ პილოტებმა ლეგენდარული ბოლიდებით რამდენიმე წრე გაიარეს.

მაგალითად, მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი **ჯენსონ ბატონი** იმ „მაკლარენის“ საჭესთან იჯდა, რომლითაც **ალენ პროსტი** 1986 წლის ჩემპიონატში გამოდიოდა, **ბრუნო სენამ** თავისი ლეგენდარული ბიძის - **აირტონ სენას** „მაკლარენი“ აირჩია, **იარნო ტრულიმ** კი ემერსონ ფიტიპალდის „ლოტუსის“ მართვის შანსი მიიღო.

„ისპანია რეისინგის“ მეორე პილოტმა **კარუნ ჩანდჰოკმა** ფინელი **კეკე როსბერგის** საჩემპიონო ბოლიდი მოსინჯა, ვეტერან **ჯეკი სტიუარტს** Lotus 38 ერგო, რომლითაც 45 წლის წინ **ჯიმ კლარკმა** „ინდიანაპოლისის 500 მილი“ მოიგო. **მიკა ჰაკინენმა** 1954 წლის „მერსედესით“ გაისეირნა.

**ჯონ სერტისმა** საკუთარი „ფერარი 158“ „დაიბრუნა“ - სწორედ ამ მანქანით მოიგო მან ტიტული 1964 წელს.

რა თქმა უნდა, ტრასაზე უფრო თანამედროვე ტექნიკაც გამოჩნდა. **მარკ უებერმა** პუბლიკას „რედ ბულის“ შარშანდელი ბოლიდი წარუდგინა, **მარკ ჟენემ** „ფერარი F60“ შეამოწმა, **ნიკო როსბერგმა** - „ბრაუნ გრან-პრის“ შარშანდელი საჩემპიონო ბოლიდი, რომელიც „მერსედესის“ ფერებში იყო გადაწყვეტილი, ჯენსონ ბატონმა კი 2008 წლის „მაკლარენის“ საჭე დაიჭირა ხელში.




ჭადრაკი

# ჩემპიონს ამოთხრიან

ისლანდიის უმაღლესმა სასამართლომ ლეგენდარული ამერიკელი მოჭადრაკის **ბობი ფიშერის** გვამის ექსჰუმაციის გადაწყვეტილება მიიღო. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც დიდოსტატის ყოფილმა მეგობარმა ქალმა პრეტენზია გამოთქვა ფიშერის მემკვიდრეობაზე.

ბობი ფიშერი ორი წლის წინ 64 წლის ასაკში ისლანდიაში გარდაიცვალა, სადაც 2005 წლიდან ცხოვრობდა. ცნობილი მოჭადრაკე დედაქალაქ რეიკიავიკიდან 50 კილომეტრის მოშორებით, ქალაქ სელფოსის კათოლიკური ეკლესიის ტერიტორიაზე დაასაფლავეს. ფიშერის მემკვიდრეობაზე, რომელიც 2 მილიონ დოლარს უტოლდება, მისი ქვრივი, ორი ნათესავი და ამერიკის მთავრობა აცხადებენ პრეტენზიას. მთავრობა იმიტომ, რომ მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი გადასახადებს არიდებდა თავს.

და აი, ახლა ბრძოლაში ჩაება ფილიპინელი ქალბატონი, რომელიც ამტკიცებს, რომ ფიშერი მისი 9 წლის ვაჟის - **ჯინკი იანგის** მამა გახლავთ. ამ ვერსიის დასამტკიცებლად ქალმა სასამართლოში წარადგინა ფულადი გადარიცხვების ქვითრები, რომელიც მოჭადარაკემ თავისი ვაჟის დედისთვის 2006 და 2007 წლებში განახორციელა.

ახლა, დნმ-ის ანალიზის ჩასატარებლად საფლავიდან გვამის ამოღება გახდა საჭირო.

ოლიმპიზმი

# მიუნხენური ტერაქტის ორგანიზატორი გარდაიცვალა

სირიის დედაქალაქ დამასკოში გარდაიცვალა პალესტინელი „ბოევიკი“ **მუჰამედ დაუდ უდე**, რომელიც მიუნხენში 1972 წლის ოლიმპიადის დროს მოწყობილი ცნობილი ტერაქტის ორგანიზატორი იყო. როგორც სააგენტო UPI იუწყება, 73 წლის დაუდ უდეს გარდაცვალების მიზეზი თირკმლის უკმარისობა გახდა. „ბოევიკის“ დასაფლავებას პალესტინური ორგანიზაციების ლიდერები დაესწრნენ.

1972 წლის 5 სექტემბერს დაჯგუფება „შავი სექტემბრის“ რვა ბოევიკმა ოლიმპიურ სოფელში მძევლად აიყვანა ისრაელის ნაკრების 11 სპორტსმენი. ამ ოპერაციისას თავდამსხმელებმა ორი ოლიმპიელი მოკლეს. მუჰამედ დაუდ უდე უშუალოდ მკვლელობაში მონაწილეობას არ იღებდა, მაგრამ მოგვიანებით ეს სისასტიკე იმით გაამართლა, რომ სპორტსმენებმა ბოევიკებს წინააღმდეგობა გაუწიეს.

მძევლების გათავისუფლების სპეცოპერაციას თერთმეტივე ოლიმპიელი და ერთი პოლიციელი შეეწირა.

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

| | |
|---|---|
| **ნორვეგია** | |
| სტაბეკი-მიოლდე | 4:3 |
| **შვედეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| იორგრიტე-ჰამარბიუ | 3:0 |
| ლანდსკრონა-იონჩოპინგი | 0:3 |
| ოსტერსი-ტროლჰატანი | 0:3 |
| სუნდსვალი-ნორჩოპინგი | 1:1 |
| **შვედეთის თასი** | |
| **1/8 ფინალი** | |
| ანგელჰოლმი-აიკ | 1:1 დ.დ. 1:2 |
| ჰელსინგბორგი-ჰაკენი | 2:1 |
| **ფინეთი** | |
| ტამპერე-ვაასა | 3:0 |
| იუვასკილა-ოულუ | 6:1 |
| **ირლანდია** | |
| დანდალკი-დროგედა | 2:1 |
| გალვეი-ბრეი | 2:2 |
| სპორტინგი-სლიგო | 1:1 |
| უნივერსიტი-ბოჰემიანსი | 0:2 |
| შემროკი-სტ. პატსი | 2:1 |
| **ისლანდია** | |
| ჰაუკარი-ფილკირი | 1:1 |
| სელფოსი-ბრეიდაბლიკი | 1:3 |
| ფრამი-ვალური | 2:2 |

**ჩოგბურთი**

| | |
|---|---|
| **ATP. ნიუპორტი** | |
| დენტი-სოედა | 4:6, 6:3, 4:6 |
| კ. ბეკი-ჰარისონი | 1:6, 2:6 |
| ბრაუნი-ფაუ | 7:6, 6:7, 6:4 |
| ჟიკელი-დანჩევიჩი | 5:7, 4:6 |
| ო. როხუსი-ვასელენი | 7:6, 6:4 |
| **WTA. ბაშტადი** | |
| კანეპი-პარა სანტონხა | 4:6, 5:7 |
| რეზაი-ოსტერლო | 6:4, 6:2 |
| შპრემი-კამერინი | 7:5, 6:2 |
| ამანმურადოვა-დ. მარინო | 6:7, 6:4, 6:0 |
| ლარსონი-ვორაკოვა | 3:6, 6:2, 4:6 |
| როდიონოვა-მალეკი | 7:5, 3:6, 1:6 |
| **WTA. ბუდაპეშტი** | |
| პენგი-ნირიჩი | 6:1, 6:3 |
| არნი-კუსტოვა | 3:6, 6:0, 6:3 |
| კასტანიო-კუკოვა | 6:0, 6:3 |
| ჩაკვეტაძე-კორიტცევა | 6:2, 6:0 |

TV პროგრამა

**6 ივლისი. სამშაბათი**

**I არხი**

21:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010.
22:20 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. 1/2 ფინალი. ურუგვაი-ჰოლანდია (LIVE).
00:30 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010.

**მზე**

13:00 იმედის ფსონი.

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

07:30 გასული სეზონის ქრონიკა. საფრანგეთის ჩემპიონატი. პსჟ-მარსელი.
09:15 საფეხბურთო კლუბი მსოფლიოს ჩემპიონატზე.
10:00 გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. ვოლფსბურგი-მანჩესტერ იუნ.
12:00 საფეხბურთო კლუბი მსოფლიოს ჩემპიონატზე.
12:45 გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-სევილია.
14:30 გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. იუვენტუსი-ბაიერნი.
16:20 გასული სეზონის ქრონიკა. იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-მილანი.
18:05 გასული სეზონის ქრონიკა. საფრანგეთის ჩემპიონატი. ბორდო-მონპელიე.
19:55 გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-ლივერპული.
21:40 საფეხბურთო კლუბი მსოფლიოს ჩემპიონატზე.
22:25 გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. მარსელი-რეალი.
00:30 საფეხბურთო კლუბი მსოფლიოს ჩემპიონატზე.
01:15 გასული სეზონის ქრონიკა. იტალიის ჩემპიონატი. ვერდერი-შტუტგარტი.
03:00 გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. ალმერია-ბარსელონა.
04:45 ინგლისის ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა.
05:45 გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-არსენალი.

**EUROSPORT**

10:30 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.
11:00 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. II ეტაპი. ბრიუსელი-სპა.
12:10 ველოსპორტი. პლანეტა არმსტრონგი. ტელეჟურნალი.
12:15 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.
12:45 ნიჩბოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. II დღე. ესპანეთი.
13:30 ძალლები. აშშ. ტელეჟურნალი.
14:30 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.
15:00 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. II ეტაპი. ბრიუსელი-სპა.
16:10 ველოსპორტი. პლანეტა არმსტრონგი. ტელეჟურნალი.
16:15 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. III ეტაპი. ვანზი-არენბერგი (LIVE).
19:30 ტამესივარი (ნივთების მსხვრევა). მსოფლიოს ჩემპიონატი. ტელეჟურნალი.
20:00 ახალი ამბები.
20:05 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.
20:15 ქვა, მაკრატელი, ფურცელი. აშშ-ის ჩემპიონატი.
21:00 ახალი ამბები.
21:05 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.
21:15 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. III ეტაპი. ვანზი-არენბერგი.
22:00 ახალი ამბები.
22:05 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.
22:15 პროფესიული კრივი. WBO-ის სატიტულო ბრძოლა. ნახევრადმძიმე წონა. მარკო ჰუკი (გერმანია)-ვ. მაიტო (აშშ). გერმანია.
23:00 პროფესიული კრივი. WBO-ის სატიტულო ბრძოლა. ნახევრადმჩატე წონა. ს. ძინზირუკი (უკრაინა)-დ. დოუსონი (ავსტრალია). აშშ.
00:30 ახალი ამბები.
00:35 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.
01:10 ახალი ამბები.
01:15 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. მიმოხილვა.
01:40 ველოსპორტი. პლანეტა არმსტრონგი. ტელეჟურნალი.
01:45 ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. ტელეჟურნალი.
02:15 ავტოსპორტი. რენოს მსოფლიო სერია. მიმოხილვა.
02:45 მულტისპორტი.
03:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.

ამბები

კალათბურთი

## სამმაგი გაცვლა მზადდება

ამერიკული პრესის ცნობით, „გოლდენ სტეიტ უორიორზი“, „მინესოტა ტიმბერვულვზი“ და „ნიუ იორკ ნიქსი“ სამმხრივ გაცვლას ამზადებენ, რომლის მიხედვითაც ცენტრი **ელ ჯეფერსონი**, შესაძლოა, „უორიორზის“ მოთამაშე გახდეს, ფორვარდი **დევიდ ლი** „მინესოტაში“ გააგრძელებს კარიერას, ხოლო მცველი **მონტა ელისი** „ნიქსში“ გადავა.

კვირას ლი მინესოტაში ჩავიდა და კლუბის ხელმძღვანელობას შეხვდა, მაგრამ ისიც ცნობილია, რომ „მგლებს“ სახელფასო ბიუჯეტში მხოლოდ 7 მილიონი დოლარი აქვთ თავისუფალი.

## ლებრონი 7 ივლისს იტყვის

„კლივლენდ კავალიერზის“ ლიდერმა **ლებრონ ჯეიმსმა** ჟურნალისტებს აცნობა, რომ თავისი მომავალი კარიერის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას 7 ივლისს გააცნობს საზოგადოებას.

ლებრონი დარჩენილ დროს მშობლიურ ქალაქ აკრონში საწვრთნელ ბანაკში გაატარებს. ტრენინგკემპი 7 ივლისს დასრულდება და ჯეიმსის საბოლოო არჩევანსაც სწორედ ამის შემდეგ შევიტყობთ. დღეისთვის, ლებრონს თავიანთ რიგებში „კლივლენდი“, „ნიუ ჯერსი“, „ჩიკაგო“, „მაიამი“ და „კლიპერსი“ იწვევენ.

ფორმულა 1

## ავსტრიაში რბოლა არ იქნება

როგორც უკვე ვწერდით, ვალენსიის გრან-პრის დროს გაჩნდა ჭორი იმის შესახებ, რომ **ბერნი ექლსტოუნი** 2011 წლისთვის კალენდარში ავსტრიის ეტაპის დაბრუნებას აპირებს, რომელიც ერთ-ერთ აზიურ რბოლას შეცვლის. „A1-რინგი“ კალენდრიდან 2003 წელს ამოიღეს, მაგრამ 2008 წელს ტრასის მასშტაბური რეკონსტრუქცია დაიწყო, რომელიც „რედ ბულის“ მფლობელმა **დიტერ მატეშიცმა** დააფინანსა.

მაგრამ მატეშიცმა Salzburger Nachrichten-ისთვის მიცემულ ინტერვიუში უარყო ავსტრიის გრან-პრის დაბრუნება: *„ეს სისულელეა. სამწუხაროდ, მსგავს ჭორებს გაზეთები სწრაფად იტაცებენ ხოლმე. შემიძლია გითხრათ, რომ არც ბერნიმ და არც მე ამის შესახებ არაფერი ვიცით. ასეთ ჭორებს საფუძველი არ გააჩნია“.*

ავტოსპორტი

## რალფმა შანსი ვერ გამოიყენა

შაბათს გერმანელმა პილოტმა **რალფ შუმახერმა** კარიერაში პირველი პოული მოიპოვა DTM-ის სარბოლო სერიაში. მაგრამ მეორე დღეს უმცროსმა შუმახერმა ვერ შეძლო ამ უპირატესობის რეალიზება და „ნორისრინგზე“ მხოლოდ მე-11 ადგილი დაიკავა. ფორმულა 1-ის ექვსი გრან-პრის გამარჯვებულს სტარტზე ფალსტარტი ჰქონდა და ჯარიმა მიიღო, გამარჯვება კი ზედიზედ მესამედ **ჯეიმი გრინმა** მოიგო.

„ფორს ინდიას“ სარეზერვო პილოტმა **პოლ დი რესტამ** მეათე ადგილი დაიკავა, **დევიდ ქულთარდმა** - მეცამეტე.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კრისტიანო რონალდოს რეკორდი

## მსოფლიოს ყველაზე ძვირად ღირებული ფეხბურთელი მეძავებისთვის საკუთარ თვითმფრინავს გზავნიდა



გერმანულმა ტაბლოიდმა „ბილდმა" დაითვალა, რომ ცოტა ხნის წინ მადრიდის „რეალის" ვარსკვლავმა **კრისტიანო რონალდომ** საიუბილეო - მე-200 ქალი აცდუნა, რითაც დაამხო გერმანელი **ლოთარ მათეუსის** რეკორდი. როგორც სექსარქივარიუსები ამტკიცებენ, ამ კოლექციაში ყოველი მეათე - რუსია. რონალდოს ახალი მეგობარიც - სუპერმოდელი **ირინა შეიკი** ამ ეროვნების გახლავთ.

თუმცა „რუსი ქალის" ცნებას კრისტიანო რონალდოსთვის მეტად ფართო გაგება აქვს. ამ სიაში შედის ბულგარელი სტრიპტიზიორი **სილვია ჩერვენკოვა**, პოლონელი მომღერალი **ნატაშა ურბანსკაია** და უნგრელი **კატუ დობო**, რომელსაც არასლავური წარმოშობა აქვს. საინტერესოა, რომ აღმოსავლეთ ევროპიდან და ყოფილი საბჭოთა კავშირიდან ყველა შეყვარებულს ფეხბურთელი **იულიას** ეძახის - იმ ქალის საპატივცემულოდ, რომელიც კრისტიანომ (მაშინ ის მხოლოდ 15 წლის იყო) 2000 წლის ზაფხულში მადეირაზე გაიცნო. მართალია, იულია სარატოველ ბიზნესმენზე იყო გათხოვილი, მაგრამ მაინც ვერ შეიკავა თავი მომავალი ვარსკვლავის წინაშე, რომელიც მაშინ პლაჟზე პირსახოცების დამტარებელი გახლდათ.

ქალმა საკუთარ ბუნგალოში შეათრია ბიჭი და მაშინვე „გააუპატიურა", შემდეგ მთელი კვირის განმავლობაში 100 დოლარს უხდიდა რონის თითო შეხვედრისთვის. როგორც კრისტიანოს ბავშვობის მეგობრები ამტკიცებენ, სწორედ ამ სარატოველმა გოგონამ აქცია პატიოსანი ოჯახიდან (მამა - ხარაზი, დედა - მზარეული) გამოსული ბიჭი ნამდვილ პლეიბოიდ.





### შეხვედრა სექსშოპში

სარატოველი ქალის გვარი ბოლომდე უცნობი დარჩა. სამაგიეროდ, ჟურნალისტებმა შეიტყვეს იმ ქალბატონის ვინაობა, რომელმაც რონალდოს „რუსი ქალების" მიმართ ინტერესი გაუღვივა - უკრაინელი **ალიონა ჰეინსი**. ის ოდესაში დაიბადა, ცოლად ინგლისელს გაჰყვა და მანჩესტერში დასახლდა, სადაც გეების სექსშოპში მუშაობდა. წესით, ისეთი პლეიბოი, როგორიც რონალდოა, ასეთ ადგილებს ახლოსაც არ უნდა ეკარებოდეს, მაგრამ პორტუგალიელს ყოველთვის ჰქონდა უცნაური ჩვევები, მაგალითად, ყოველდღიურად ფეხების პარსვა. ალიონას მაღაზიაში ფეხბურთელი... მამაკაცის ვარდისფერი ტრუსების შესაძენად მივიდა. თავიდან უკრაინელმა რონალდოში მორიგი მდიდარი გეი ამოიცნო, მაგრამ ათ წუთში კრისტიანომ საპირისპირო დაუმტკიცა ქალს.

30 წლის ალიონასთან რომანი წელიწად-ნახევარი გაგრძელდა. შეყვარებულები SMS-ისადმი მიდრეკილებამ დაღუპა. რონი ყოველდღე უგზავნიდა შეტყობინებებს ალიონას, გამყიდველს კი ხშირად მათი წაშლა ავიწყდებოდა. საბოლოოდ, უკრაინელის ქმარმა ყველაფერი შეიტყო. საბედნიეროდ, ის რონალდოს გუნდის - „მანჩესტერ იუნაიტედის" ფანი აღმოჩნდა და ფეხბურთელს სამაგიერო არ გადაუხადა, ცოლი კი ავსტრალიაში წაიყვანა.

### მეძავები ფინალის წინ

რონალდოს სიაში შედის ორი მოსკოველი მეძავი - მათი გზები 2008 წლის მაისში, ჩემპიონთა ლიგის ფინალის წინ გადაიკვეთა. მაშინ ბრძენმა მწვრთნელმა სერ **ალექს ფერგიუსონმა** თავისი გუნდის განერვიულებული ლიდერის დაწყნარება გადაწყვიტა და მოსკოვის სასტუმროს ხელმძღვანელობას ორი მეძავის მონახვა დაავალა. გოგონები - ერთი ქერა და მეორე შავთმიანი - საიდუმლოდ შეიყვანეს რონალდოს ნომერში. ხუთი ათასი ევროს ოდენობის ჰონორარი გოგონებმა პატიოსნად გამოიმუშავეს: მეორე დღეს კრისტიანო ერთ-ერთი საუკეთესო იყო მოედანზე.

გადატვირთული გრაფიკის მიუხედავად, პორტუგალიელი მეძავების სამსახურით დღემდე სარგებლობს. როცა მას მოწყენილობა დაუვლის, მადრიდის აეროპორტიდან პირად თვითმფრინავს გზავნის ლონდონში ბრაზილიელი **ფერნანდას** ჩამოსაყვანად; ან მილანში - იტალიელი **ვინჩენცასთვის**; ან პარიზში - ყოფილ სანკტპეტერბურგელ მოდელ **ნატაშასთვის**, რომელიც ახლა ელიტური მეძავია.

ნატაშას ორალური ოსტატობისთვის „თაფლის პირი" შეარქვეს. ჩვეულებრივ, რონი თავის მეძავებს ტრაპზე ხვდება და პირდაპირ თვითმფრინავის სალონში ეძგერება მათ.

### ჯაკუზი პერისისთვის

ორი წლის წინ, რონალდომ ჰოლივუდში პენტჰაუსი შეიძინა - დამწყები მსახიობებისა და მოდელების სკოლასთან ახლოს, სადაც მოსწავლეთა კონტინგენტის ნახევარს საბჭოთა კავშირის ყოფილი რესპუბლიკების წარმომადგენლები შეადგენენ. ყოველ საღამოს, რონი ოთხ-ხუთ გოგონას არჩევდა და საკუთარ ვილაში მიჰყავდა ისინი. იქ გოგონებს შამპანურით უმასპინძლდებოდა, იმ დროს, როცა თავად მხოლოდ არაყს სვამს და შავ ხიზილალას აყოლებს. ამის შემდეგ ორგია ფეხბურთელის საყვარელ ჯაკუზიში გრძელდებოდა. თუ ჭორებს დავუჯერებთ, ამ აბაზანის სტუმრები ყოფილან **კიმ კარდაშიანი** და **პერის ჰილტონი**. სხვათა შორის, პერისმა ისე გაატარა ღამე რონალდოსთან, რომ ვერც კი იცნო თავისი კავალერი, მეორე დილას კი აღშფოთებული იყო იმის გამო, რაც პორტუგალიელმა უთხრა - სექსი რუსებივით კარგად გამოგდისო.

ჰილტონი ვერ წარმოიდგენდა, რომ კრისტიანო ამ დროს კომპლიმენტს ეუბნებოდა.

**გია თვალაბეიშვილი**



